ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

8 ნოემბერი, 2013 წ. | №69 (3679) | გამოცემის 77-ე წელი | ფასი 1 ლარი

თამაზ წივნივაძე

თითქმის ყველაფერზე და სინამდვილეში არაფერზე!

როგორც „წმინდა წერილი“ იტყობინება, ღმერთმა სამყარო 7 დღეში შექმნა!

ბატონმა ივანიშვილმა კი ახალი საქართველოს მშენებლობას მხოლოდ 5 დღე მოანდომა!

პირველ დღეს სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნების გზით ჩამოიშორა!

მეორე დღეს ახალი პარლამენტი დააკომპლექტა!

მესამე დღეს გიორგი მარგველაშვილი ქვეყნის პრეზიდენტად აგვარჩევინა!

მეოთხე დღეს მთავრობის წევრებს ახალი პრემიერ-მინისტრი წარუდგინა!

მეხუთე დღეს კი ხელები მოიფშვნიტა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და, როგორც ჯაფით დამაშვრალ ადამიანს სჩვევია, საკუთარ თავს დასვენების უფლება მისცა!..

ჩვენ კიდევ დიდი თავსატეხის წინაშე დაგვაყენა! –

მიდი და არკვიე ახლა, ჩვენს ტურფა საქართველოში პრეზიდენტია ქვეყნის პირველი პირი თუ პრემიერ-მინისტრი?!

კიდევ უფრო ძნელი გასარკვევი ის არის – პრემიერ-მინისტრის საყვარელი მეუღლეა ქვეყნის პირველი ლედი თუ პრეზიდენტის საყვარელი ქალბატონი?!

დღესავით ნათელი კი ერთი რამ არის – ყველაფრის უფროსად ჯერჯერობით ივანიშვილი რჩება!

ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ კაცის გარეშე, ხელს ვერ გაანძრევს ვერც ერთი ხელისუფალი!..

ასევე, ამ კაცის გარეშე, პირს ვერ გააღებს ვერც ერთი პასუხისმგებელი პირი!..

და, რაც მთავარია, ივანიშვილისგან დასტურის მიუღებლად, ციხეში ვერ ჩაჯდება მიხეილ სააკაშვილი!..

* * *

თავის ძირითად ფუნქციას (ლიტერატურას!) დაუბრუნდება „ლიტერატურული საქართველოც“!

ამიერიდან ბულბულის სტვენა და შაშვის გალობა უფრო ხშირად შემოგესმებათ ამ გაზეთის ფურცლებიდან, ვიდრე მისი რედაქტორის ხაფი ხმა და საბრძოლო ყიჟინა!..

ამჯერად ეს „სამშვიდობო სერიალები“ ბრწყინვალე პოეტი ქალის, **მანანა ჩიტიშვილის** ლექსით „შაშვი გალობს“ დავიწყოთ!..

აქვე, ამავე ნომერში, თავიანთ ლექსებს „ვაჟი პოეტებიც“ დააგუგუნებენ!..

მანანა ჩიტიშვილი

შაშვი გალობს

ტყემლის ტოტზე შაშვი გალობს,
თაფლ-ბადაგში ნისკარტს ილბობს,
ზოგჯერ შაირს ჩამომარცვლის,
ზოგჯერ უცხოდ მუნასიბობს.

ტყემლის ტოტზე გალობს შაშვი,
ირინდება ირგვლივ არე...
შაშვო, შავი გიხდება, თუ
ვინმეზედ ხარ მგლოვიარე.

შე ჩამქრალო ნაღვერდალო,
დაგელოცოს მოდგმა, გენი,
შევარცხვინე შენთან ყველა
მუტრიბნი და მეჩანგენი.

ჰანგო, ღვთაებრივო ჰანგო,
ალბათ უფლის კალთას იშვი,
უსმენს არე განაბული
ბაღის ჩემის სარაჯიშვილს.

უნდა ყოველს გაერიდო,
როგორც ჭკვიანს, ისე - ობროდს,
ახალი დღის მოლოდინში
ამ შაშვივით იგალობო.

ისე უნდა იგალობო,
ნიჭი უნდა გეყოს ესდენ,
ხმაში წვეთდეს გოლეული,
ყელშიც ბულბულები გესხდნენ.

უნდა ისე იგალობო,
ყურს კი არ ატკბობდე მხოლოდ,
გულისგულში ძარღვი როა,
აის ძარღვი შეათრთოლო.

ტყემლის ტოტზე შაშვი გალობს,
თაფლ-ბადაგში ნისკარტს ილბობს,
ზოგჯერ შაირს ჩამომარცვლის,
ზოგჯერ უცხოდ მუნასიბობს.

►► გაგრძელება მე-3 გვ.

ქართველ ერს, რომელსაც მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ქარ-ცეცხლსა და ბრძოლაში მოუხდა ვინაობისა და თავისთავადობის შენარჩუნება, დღეს დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული ბოროტი სული სატანისტური შემართებით თავს ესხმის და მის გადაგვარებას და მოსპობას ლამობს... კოსმოპოლიტურ-მასონური ძალების მიერ მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართველი ხალხის ფიზიკური თუ სულიერი გენოციდი. საგულისხმოა, რომ ჩვენი ერი ძალმომრეობით ფიზიკურად არაერთგზის წელში გადატეხილი, კვლავაც ფეხზე წამომდგარა, მაგრამ საგანგაშო ის არის, რომ თუ სულიერად გააჩანაგეს, გადააგვარეს და აზროვნება შეუცვალეს, ეს უკვე ქართველობის საბოლოო განადგურების ტოლფასი იქნება. ამიტომაც ეს სატანის შთამომავალნი, რომელთაც ეროვნება არ გააჩნიათ, განსაკუთრებული ძალისხმევით უტევენ ჩვენს სარწმუნოებას, ენას, მამულს, განათლებას, ხელოვნებას, მეცნიერებას... ერთი სიტყვით, ზოგადად კულტურას. მათ სწადიათ, დაანგრიონ ის საძირკველი, რაზედაც აშენებულია ქართველი ერის ტაძარი...

სამწუხაროდ, ეს ბრძოლა დემოკრატიული ზიზილ-პიპილოებით შენიღბული, შეუიარაღებელი თვალისთვის უჩინარია და ამ მიზეზით უფრორე საშიში. ასე რომ, ამჯერად ხმლის ქნევით ვერას გავხდებით. ახლა კალამმა უნდა გაჭრას. ქართველმა მწერლებმა უნდა თქვან მამულიშვილური სიტყვა, დაიბრუნონ თავიანთი კუთვნილი ადგილი, მეწინავე მედროშეობა, ისტორიულად ოდითგანვე რომ ეკავათ ღირსეულად.

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია, რომლის უმთავრესი ამოცანაა ქართული ფასეულობების, ღირებულებების, სულიერების გადარჩენა და დაცვა. სწორედ ამ მიზეზით ქართველმა მწერლებმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, მეცნიერებათა ქურუმებს, იმ მოღვაწეებს, რომელთაც ქართული სულიერება ამშვენებთ და სამშობლოს ბედი აღელვებთ, სთხოვეს ამ კეთილშობილურ ბრძოლაში თანადგომა. იმედია, ეს სულიერი კავშირი და ერთიანი ძალისხმევა ქართულ სახელმწიფოებრიობას გადაარჩენს!..

ქვემორე გთავაზობთ იმ ღვაწლმოსილ მეცნიერთა გვარ-სახელებს, რომლებიც სიამოვნებით დათანხმდნენ მწერალთა შეთავაზებას. აი, ისინიც:

1. აკადემიის პრეზიდენტი **გიორგი კვესიტაძე**
2. აკადემიკოსი **როინ მეტრეველი** (ვიცე-პრეზიდენტი)
3. აკადემიკოსი **თემურ ნანეიშვილი** (ვიცე-პრეზიდენტი)
4. აკადემიკოსი **ზაზა ალექსიძე**
5. მწერალი-აკადემიკოსი **ჭაბუა ამირეჯიბი**
6. აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული**
7. მწერალი-აკადემიკოსი **ბაჩანა ბრეგვაძე**
8. აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე**
9. აკადემიკოსი **რისმაგ გორდეზიანი**
10. აკადემიკოსი **აბესალომ ვეკუა**
11. აკადემიკოსი **ფრიდონ თოდუა**
12. აკადემიკოსი **გუჩა კვარაცხელია**
13. აკადემიკოსი **ჯუმბერ ლომინაძე**
14. აკადემიკოსი **გურამ ლორთქიფანიძე**
15. აკადემიკოსი **პარმენ მარგველაშვილი**
16. აკადემიკოსი **მერაბ მერაბიშვილი**
17. აკადემიკოსი **ელგუჯა მეძმარიაშვილი**
18. აკადემიკოსი **დავით მუსხელიშვილი**
19. აკადემიკოსი **ოთარ ნათიშვილი**
20. აკადემიკოსი **ირაკლი ჟორდანია**
21. აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე**
22. აკადემიკოსი **აპოლონ სილაგაძე**
23. აკადემიკოსი **თენგიზ ურუშაძე**
24. აკადემიკოსი **ვახტანგ შამილაძე**
25. აკადემიკოსი **რომან შაქარაშვილი**
26. აკადემიკოსი **ვაჟა შენგელია**
27. აკადემიკოსი **გოჩა ჩოგოვაძე**
28. აკადემიკოსი **გივი ცინცაძე**
29. აკადემიკოსი **ჯონი ხეცურიანი**
30. აკადემიკოსი **ელგუჯა ხინთიბიძე**
31. აკადემიკოსი **რამაზ ხუროძე**
32. აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე**
33. აკადემიკოსი **ლაურ (ლავრენტი) ჯანაშია**
34. აკადემიკოსი **ლევან ჯაფარიძე**
35. აკადემიკოსი **ოთარ ჯაფარიძე**

მწერალთა საყურადღებოდ!

ძვირფასო მწერლებო!

ლიხს იქითურნო და ლიხს აქეთურნო!

აქა-ურნო და იქა-ურნო!

ზემო-ურელნო და ქვემო-ურელნო!

ამბავი მოვიდა, რომ ამხანაგ მიშველაძეს მოუნდომებია თქვენი დაშინება (დაშანტაჟება) კავშირიდან გარიცხვით!

განა არ იკითხეთ: როგორ შეუძლია ერთ მიშველაძეს და ხუთიოდე „ბუდაყს“ მწერალთა კავშირის 250 თუ 300 წევრის გარიცხვა?..

უფრო ადვილი არ არის 250-მა თუ 300-მა მწერალმა გარიცხოს ერთი მიშველაძე და 5-იოდე „ბუდაყი“ მწერალი, რომლებიც ვერ გრძნობენ, დრონი და მოვლენები რას გვკარნახობენ?!.

თუმცა არც მწერალთა ეროვნული აკადემიის და არც მწერალთა კავშირის წესდებაში არ წერია, რომ მწერალს რომელიმე სხვა ორგანიზაციაში ყოფნა ეკრძალება! მწერალი თავისუფალია არჩევანში, იგი უნივერსალია და მას შეუძლია, სადაც უნდა და როგორც უნდა, იქ და ისე განევრიანდეს.

გასაკვირია, როგორ ბედავს უტიფარი მიშველაძე, მწერლობას ასეთ რამეს კადრებდეს, ემუქრებოდეს და ცხოვრების განრიგს უდგენდეს?!

ჩვენი ამოცანაა: საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია იქცეს ერთგვარ ოაზისად XXI საუკუნის სულიერი და ზნეობრივი კვდომის უდაბნოში... ჩვენი ამოცანაა: გადავარჩინოთ და დავიცვათ ყველა ნიჭიერი მწერალი-მწიგნობარი და გავაჯანსაღოთ ერის საარსებო სივრცე – ზოგადად! მწერალს (თუ ის ჭეშმარიტი მწერალია) აქვს საამისო ვალი და მისია!

აკადემია არ უპირისპირდება მწერლობას! პირიქით, იწვევს ღირსეულთ და მოიხმობს თავისთან: ყველას, ყველა თაობის, ყველა ჟანრის ჭეშმარიტ მოღვაწეს...

მწერალთა ეროვნული აკადემია ერთია! იგი უნდა იქცეს ქართული ისტორიული სამწერლო – მწიგნობრული აკადემიების ღირსეულ მემკვიდრედ; ჩვენ ახლა ვიწყებთ რთულ პროცესს – საკმაოდ წარმატებით და აქტიურად, ბევრი რამ იხვეწება და უფრო დაიხვეწება!

აკადემია არ შეზღუდავს მწერლურ ასოციაციებს და გაერთიანებებს – პირიქით – ის შემოიკრებს ნიჭიერ (პატრიოტ) მწერლებს – როგორც სპორტსმენებს იწვევენ უმაღლეს ლიგაში...

აკადემია იქნება მამულის და ერის ინტერესთა დაცვის „ზიკურატი“, რომელიც, თავის მხრივ, დაიცავს და აღადგენს მწერლის სტატუსსა და ავტორიტეტს – მისცემს მას „არსობის პურს“.

ვინ უკრძალავს მწერლებს მწერალთა ეროვნულ აკადემიაში შესვლას? – საიდან მოდის ეს სიშლეგე?

„მიშველაძეებს“ ჩაუდენიათ ასეთი რამ – ლექსო დორეული „გაურიცხავთ“ მწერალთა კავშირიდან – მათი უზნეობის მიმართ გამოხატული პროტესტისთვის და სიტყვის შებრუნებისთვის! ეს 22 წლის უნიჭიერესი შემოქმედი ახლა აკადემიის ახალი თაობის ლიგის ლიდერია და შესანიშნავად უძღვება ნიჭიერი თაობის შემოქმედებით პროცესებს!

მიშველაძეს და რამდენიმე „ბუდაყს“ სასამართლო სკამზე დაჯდომა მოუწევს ამისთვის და იმისთვისაც, თუ რა ძარცვა-გლეჯაც მოუვლინეს მათ მწერალთა ქონებას – რა უზნეობანი და გადაცდომანიც უქციეს წესად მწერალთა ამ გაერთიანებას და, ბოლოს და ბოლოს, უღირსებო თავლად აქციეს ამ „სოლომონის მკვდრებმა“!!.

ახლა „მიშველაძეები“ „ხელს უშლიან“ მწერლებს და მწერლობას, რომელთაც სურთ, „საკუთარ თავს“ დაემგვანონ და მიუახლოვდნენ აკადემიას! – ეს არ გამოუვათ...

და ბოლოს, ჟურნალ „რეიტინგში“ ამოვიკითხე „მიშველაძის შიზოფრენიული ტექსტი“, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ, თურმე თავის დროზე მე, ჯემალ დავლიანიძეს, ალეკო გაბელაიას და კიდევ რომელიღაცა მწერალს ის მწერალთა კავშირიდან გაგვირიცხავს!.. მე ვერ ვიხსენებ, ეს როდის და როგორ მოხდა, მაგრამ, თუ მართლაც იყო ასეთი რამ, ძალიან კარგი გვიქნია! ჩვენ ერთხელაც ყველანი მივალთ მწერალთა ყრილობაზე და ამ უზნეობას დავასრულებთ...

ძვირფასო მწერლებო! იყავით იქ, სადაც გნებავთ, როგორც გინდათ! სადაც ზნეობრივი და კომფორტული იქნება თქვენთვის – იქ იყავით!

ჩვენი მისიაც სწორედ მწერლის და მწერლობის დაცვა და გაძლიერებაა, უპირველეს ყოვლისა, რომ შემდგომ თვით მწერალმა დაიცვას და მოუაროს საკუთარ სამშობლოს.

ამიტომაც ჩვენ ვამზადებთ საგანგებო „ფონდებს“, დაცვის სხვადასხვა სისტემას მწერლებისთვის, ვფიქრობ, ამას შევძლებთ!

პატივისცემით

მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,
აკადემიის ტრადიციათა ცოდნის კათედრის გამგე

კოგა არაბული

▶▶ პირველი გვერდიდან

ᲬᲕᲘᲛᲐ ᲯᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲗᲐᲜ

შორით გორაკები მრეში,
წვიმა ჯვრის მონასტერს ბანდა,
იბერია სიცხადეშიც
უფლის დასიზმრებულს ჰგავდა.

წმინდა კვართის ფერი ჰქონდა
რტოებს აყვავებულ ტყემლის
და ქართლს წვიმა დასდიოდა,
როგორც ღვთისმშობელის ცრემლი.

ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

გმსახურებ შენ და
სულიწმინდის მშვენიერ მუზებს,
ვერავინ მკადრებს –
ამ მთა-ველის ღირსი არ ხარო,
თუ დავცემულვარ,
მხოლოდ შენს წინ დავმდგარვარ მუხლზე
და თავი ახლაც
შენს კალთასთან მინდა დავხარო.

მეჯლისობს ქარი,
მკლავს შემოხვევს ალვებს გრაციებს,
ხვალ რომ ვერ ვნახავ,
იმ ვარდსა და სოსანზე ვნაღვლობ...
როცა მოვკვდები,
ამ მწვერვალთა თოვლად მაქციე,
შენც რომ გიმზერდე
და ცასთანაც რომ ვიყო ახლო.

ᲢᲘᲠᲘᲤᲘᲡ ᲚᲐᲜᲓᲘ

სარკმლიდან მოჩანს ტირიფის ლანდი,
ნოემბრის ცივი წვიმით სოველი...
არც ყველაფერი არ ვარგა ცხადი,
არც სიზმარს უნდა ჰგავდეს ყოველი.

რაფაზე წითლად ღაღანებს ბალბა,
გულს ახალისებს, ჯავრით შელესილს,
მე მხოლოდ შენით გავხდები ალბათ
უფრო დამთმობი და უკეთესი.

გადაიკარა და ქარი ჩადგა,
წვიმის სურნელი სივრცეს ანაზებს...
მშვენიერია ღიმილი, მაგრამ
ცრემლსაც თავისი აქვს სილამაზე.

ვმალავდი სევდას, გულზე მოწოლილს
და ცაში მთვარის გზებით მიმყავდი,
მე არ ვიცოდი, შენ თუ მოგწონდი,
შენ არ იცოდი, მე რომ მიყვარდი.

შენ ხარ თუ ნაზი ტირიფის ლანდი
თრთის ფანჯარასთან წვიმით სოველი,
არც ყველაფერი არ ვარგა ცხადი,
არც სიზმარს უნდა ჰგავდეს ყოველი.

ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ

წაიყრის წყარო ყინულის ლაგამს,
შენც გამოჩნდები ცაზე, მარიხო,
ლამაზი იყო აპრილი, მაგრამ
შენზე ლამაზი მაინც არ იყო.

ალისფერ ვარდებს ნიავი ფურცლავს,
ნუ შეაშფოთებ, ქარო, არჯალო,
ლამაზად გალობს ეს შაშვი, თუმცა
ჩემზე ლამაზად მაინც არ გალობს.

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ ᲥᲡᲐᲜᲖᲔ

მე რად ჩამესმის ტირილად
ჩუმი დუდუნი მდინარის,
ძახველი მწიფს, თუ ფერდობზე
სისხლი ჩანს ჩამომდინარი.

ნისლს რად იბურავს ცისკარი,
უწინ სინათლის მფინარი,
მუხა რად შემომწყრომია,
რას მემდურება ჩინარი?!

სისხლო, შენც გამწყალებიხარ,
კიდევ თუ გნახო მძინარი...
რა ძნელსაცქერი ყოფილა
მტერი,
შენს კართან მცინარი.

ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ „ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲧᲐᲧᲐᲩᲝᲔᲑᲘ“

ნეტავ ეს ცეცხლის
არის ნარჩენი,
თუ არაგვისპირს
მზის სხივი დარგეს?!
ერთი შეხედეთ,
არდასარჩენი
ყაყაჩო
როგორ მახარბებს ბაგეს.

რა სხვანაირი
თრთოლა და ეშხი,
რამდენი წვა და
ვნება რამდენი...
არაგვისპირთან,
ჩამავალ მზეში,
როკავს ყაყაჩო, -
მინდვრის კარმენი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ

არ ვგავარ ბედის მადლიერს,
ვერ ავამღერე ჭიბონი,
გულიდან სისხლის მაგიერ
ლექსის წამსკდება სტრიქონი.

სული, პწკარებით ორსული,
ყვავილობს მარტის იებით,
მტერსა და ავის მოსურნეს
ლექსითაც ვიგერიებდით.

ლოცვად, ჩვენს ჭირთა ზიარად,
იდგა რუსთველი თეთრწვერა,
მარტო უფლისგან კი არა,
ჯვარი მისგანაც გვეწერა.

ვარ პილიგრიმი მოხეტე,
შენთვის სხვა ბედი მეწადა...
ღმერთო, ქართულ ლექსს მოხედე
საქართველოსთან ერთადა.

* * *

როგორ მსურს ახლა
შენს გვერდით ჯდომა,
რომ ქარმა ფოთლის
კალთა მიგვხუროს,
როგორც სტენდალის
მშვენიერ რომანს,
მე შენს სიჩუმეს
ისე ვკითხულობ.

რა ეშმაკური
სიანცით გვზვერავს
ტოტზე გასული
ვარდის ხვეული,
ჩამივლი შორით
და გაგთქვამს მზერა
ჩემსკენ ბავშვივით
გამოქცეული.

ᲒᲐᲜᲐ ᲗᲣ ᲙᲝᲪᲜᲐ ᲛᲔᲬᲐᲓᲐ

ჩამომელეწა საწუთრო,
ვით პონტო ან კართაგენი,
ასპანას მავნო ავსულმა,
გზას მაინც გამოვაგენი.
გნახე,
გეხვივნა სწორფერნი,
ვით როშკის ციხის გამგენი,
განა თუ კოცნა მეწადა, -
ჯავრმა გაგლიჯა ბაგენი.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲩᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

* * *

ხელებს სინორჩე ვარდთა ენებათ,
ახლა კი მიმჭკნარ ფურცლებს კრეფავენ,
წარსულმა ნლებმა, როგორც მერნებმა,
ჩაიქროლეს და თვალს მიეფარნენ.

შენს გზაზე მხოლოდ ეკალი დარგეს,
სულ მუდამ ჟამი გედგა უდარო,
სადღა იპოვი იმნაირ ბაგეს,
ერთხელ კოცნას რომ შეემუდარო.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲨᲣᲠᲓᲐ

სული ვერც რით დავიამე,
რა ვქნა, დროის ქარი ბურდავს,
თუ ვინმესი მშურდა რამე,
მხოლოდ სიყვარული მშურდა.

არც ზღაპრული სიბრძნის სარკე,
არც ალმასი, თლილი წმინდად,
სხვისი ოქრო-ვერცხლისაკენ
თვალი არც როს წამივიდა.

თუმცა ქარი ავად ქროდა,
ჟამიც თონესავით ხურდა,
ყელს რომ მკლავნი გეხვეოდა,
აიმ მკლავებისა მშურდა.

ᲨᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲪᲘ

გაოქროსფერდა ტირიფის ჭალა,
ეხვევა ნისლი - უთქმელი ფიქრი,
შენ ხომ არ იცი, რა ტკივილს ვმალავ
ამ მოჩვენებით სიმშვიდის იქით.

იასამანი თუმც აღარ ყვავის,
თრთის შემოდგომის ნაზი ფერები,
ვერ მოვიტყუე ვერასდროს თავი
ნაუცბათევი ბედნიერებით.

დრომ მრავალგვარად მტეხა და მთალა,
იყო სიავეც და იყო ლიქნიც,
შენ ხომ არ იცი, რამდენ ცრემლს ვმალავ,
ამ ნაძალადევ ღიმილის იქით.

ᲡᲐᲦᲕᲗᲝ ᲡᲐᲒᲖᲐᲚᲘ

სხვა რაღა გითხრა
ან რა ბროლის კოშკები დავდგა,
ვერ გეცრუები ვერც მერმისში
და ვერც ამჯერად,
განფენილია ამ ლექსებში
ერთიან რადგან,
რაც განმიცდია,
რისიც მჯერა ანდა არ მჯერა.

ვარ მარტოსული,
ლექსთან ერთად ეს ხვედრი მერგო,
ასეა ყველა,
ერთადერთი მე არ გეგონო...
ქარი გადამხმარ ლელიანში
დაქრის და შლეგობს,
თითქოს ლერწამი
სტრიქონებად უნდა შეკონოს.

არ ვყვედრი ბედს, რომ
ვარდზე მეტი ძეძვი მაჩვენა,
მეც ამადევნა წუთისოფლის
გრიალს და გაგანს,
დედამიწაზე მომავლინა
როცა გამჩენმა,
ლექსი მისაგზლა,
სტრიქონებით ამივსო აბგა.

როგორც ყოველთვის,
ახლაც ჩუმი ცრემლებით ვტირი,
ვარ დიდი ტაძრის უპოვარი,
ღარიბი მნათე,
შებინდებისას ლოცვად ვდგები
მარტვილი მწირი
და სანთლებივით
უფლისათვის
სტრიქონებს ვანთებ.

ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც!

ბაია ამაშუკელი

ჩვენი სპორტსმენების ოლიმპიადაზე წასვლა-არწასვლის ფონზე – ყურადღების მიღმა გვრჩება მთავარი. ადრეც დავწერე და კვლავაც გავიმეორებ, რომ ქართულ ენაში აღმატების გამოსახატავად „უ“ წინსართი გვაქვს. რაც როგორც ცუდზე, ასევე კარგზე აღმატებასაც გულისხმობს. საქართველოს მიმართ გამოყენებულ მრავალ ეპითეტს შორის – „უ-ლამაზესი, უ-კიდეგანო, თვალ-უ-წვდენელი“, მის ხალხზე- „უ-ლაღესი, უ-ლამაზესი, უ-ღალატო, უ-ერთგულესი“, ქართველებს, სხვა ეროვნებებისგან გამორჩეულ ბევრ სხვა თვისებებს შორის (სიბრიყვემდე მისული სტუმართმოყვარეობა, ტოლერანტობა და გულუხვობა), ჩვენდა სამწუხაროდ, „უ-მადურობის და უ-ზნეობის“ თვისებაც აღმოგვაჩნდა?! ეს თვისებაც, იმ ადამიანების მახასიათებელად იქცა, რომლებიც სწორედ „უ-მადობას“ არ უჩივიან და ზნეობის საპირისპიროდ, სწორედ ამ გაზრდილი მადის დასაკმაყოფილებლად „უ-ზნეობას“ მისდევენ. „ზნეობაც“ მორალთან ერთად, ეთიკაში შემავალი ფილოსოფიური კატეგორიაა. მიუხედავად ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების არაცვალებადი ხასიათისა, სხვადასხვა სოციალური წყობის დროს, მმართველი ელიტა, ყოველთვის მის სათავისოდ შეცვლას ცდილობდა და ცდილობს. სხვა საკითხია, რამდენად გამოსდიოდა ეს?! ასე იყო მონათმფლობელობის, ბურჟუაზიისა და კომუნისტების დროსაც. თუმცა, მას შემდეგ, რაც საბჭოეთში ტროცკისტი ბოლშევიკების შთამომავლები გადაშენდნენ, ვხედავდით, რომ ე.წ. „კომუნისტები“, „მორალსა და ზნეობასაც“, ბევრად მეტად მისდევდნენ, ვიდრე მას დღევანდელი „დემოკრატიული აშშ-ის პოლიტიკა“ გვთავაზობს! უზნეობას „უ-ზნეობა“ ერქვა და არა „გამოხატვის უფლება და ადამიანის უფლებების დაცვა“; ქალს – ქალი, მამაკაცს კი – მამაკაცი. გენდერს რაც შეეხება, ერთ უღელში შებმული ცოლ-ქმრის – „მეუღლეების“, „დედაკაცის“, „დედა-ბოძის“ და სამშობლოს დასაცავად ხმალაღმართული ქალი მეფეების და გმირი ქალების არაერთი მაგალითის მოყვანაც შეგვიძლია ჩვენი ისტორიიდან. დღევანდელი გენდერი კი, მხოლოდ მამაკაცისთვის ოჯახის მარჩენალის ფუნქციის და ოჯახის სარჩენად „საშოვარზე გასული ქალისთვის“ დედობის ფუნქციის დასაკარგავად არის საჭირო. ალბათ აღარც თანამდებობებზე მომუშავე მრავალრიცხოვან ქართველ ქალთა ჩამოთვლაა საჭირო.

ყბადაღებული ოკუპაციის ფონზე სწორედ ამ „უ-მადურად“ ქცეულ ხალხის ნაწილს ავიწყდება, რომ ტერიტორიულ ოკუპაციაზე საშიში და ვერაგი ის „სულიერი ოკუპაციაა“, რომელსაც ამიერკავკასიის რეგიონზე გავლენის მოსაპოვებლად, (საბჭოეთის დაშლიდან მოყოლებული) ეს ვეებერთელა ქვეყანა თავისი „გავლენის აგენტების“ ხელით დასავლეთი საქართველოში ეწევა. კავკასიიის რეგიონში, ევრაზიის გასაყარზე, საქართველოს წამყვანი ფუნქციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასზე გავლენის მოსაპოვებლად იმპერიებიც ხომ საუკუნეების განმავლობაში იღვწოდნენ. ჰიტლერიც ამისთვის მოილტვოდა კავკასიისკენ „ედელვაისის“ ოპერაციით და სტალინმაც (კავკასიის როლის შესახებ რომ იცოდა) სწორედ ამისთვის გაგზავნა ალპინისტები და მთამსვლელები „ფაშისტური სვასტიკის“ კავკასიონიდან ჩამოსახსნელად. გურჯიევმაც, ჩანს, ტყუილად არ უთხრა ჰიტლერს: „ნათელი მხოლოდ იალბუზზეა, გერმანიის თავზე კი წყვდიადს ვხედავ“. იალბუზი კი (თუ ნაციონალებმა ისიც ინვესტორს არ მიჰყიდეს) საქართველოს კუთვნილებაა. იმ დროს, რა დროსაც ნაციონალურმა მოძრაობამ სრულიად საქართველოს კულტურული, ეკოლოგიური, ეთნიკური (სხვადასხვა ჯურის ადამიანებისთვის ქართული მიწების მიყიდვა) და ამით დემოგრაფიული ოკუპაციის ხელშეწყობა მოახდინა, დღეს „ტერიტორიულ ოკუპაციაზე“ ამდენი წლის „მდუმარებაში მყოფი“ ენჯეოებისგან საუბარი „უ-კიდეგანო უ-ზნეობაა“!. პირადად ჩემთვის სოჭის ოლიმპიადაზე საუბარი ის „ეკალია“, რომელსაც მშობლები „სოჭის“ საქართველოს კუთვნილებაზე მონათხრობით პატარაობიდან „მარჭობდნენ გულში“. „უ-ზნეობაა“ დღეს ოკუპაციაზე ლაპარაკი იმ ჟურნალისტებისგან, ენჯეოებისგან, „ცნობადებისა“ თუ პოლიტოლოგებისგან, ვინც 9 წელია ნაციონალებისგან საქართველოს სულიერი, ზნეობრივი, ეთნიკური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული ოკუპაციის მომსწრე იყო და დუმდა; ეს ხომ ის ჟურნალისტებია, რომლებმაც ე.წ. „ვარდების რევოლუციაში“ მონაწილეობის შემდეგ სხვადასხვა ტელეკომპანიაში, ბანკებსა და უწყებებში მაღალანაზღაურებადი სამსახურები მიიღეს. ამ დროს კი მათი და რიგი პოლიტიკოსების ხელშეწყობით მოყვანილი ნაცმოძრაობა ქართველ ხალხს ძარცვავდა, ხოცავდა, მიწაწყალს უყიდდა, ქართული კულტურის, ეროვნული მემკვიდრეობის ოკუპაციას ეწეოდა. რატომ არ გაიღო ხმა დღეს ასე „მოტლიკინე“ არც ერთმა ორგანიზაციამ, „ცნობადმა“ სახემ თუ ჟურნალისტმა მაშინ, როდესაც ზუსტად იმავე მოტივით (კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად) კოდორის, დალის ხეობაში შევარდა ქართული სახელმწიფო შენაერთი. მაშინ, როდესაც, ოქრუაშვილის დავალებით, მიძინებული „ქართულ-ოსური“ კონფლიქტის ხელახლა გასაღვივებლად ლოკალური სროლები დაიწყო სამაჩაბლოში?! გამოიძიონ ჟურნალისტებმა, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების შეწყვეტისას, სამშვიდობოების ჩაყენებასთან ერთად იქ სახელმწიფო შენაერთების შეუსვლელობის ხელშეკრულება გაფორმდა. ამასთან, გაეროში აშშ-ისა და რუსეთის შეთანხმებით, სწორედ რუსეთის და არა სხვა ქვეყნის სამშვიდობოები ჩააყენეს სამაჩაბლოს საზღვართან. ორივე შემთხვევაში (კოდორისა და სამაჩაბლოს) სწორედ სახელმწიფო შენაერთების შეყვანაში გვედავება რუსეთის მხარე და, რამდენადაც სამწუხაროდ უნდა მოგვეჩვენოს,- ისინი ამაში მართლები არიან! აი, საიდან იღებს სათავეს „მცოცავი ანექსია“ და არა დღეიდან, როდესაც დიცთან გადმოწიეს საზღვარი. რატომ დუმდით ამაზე? რომელი „ენჯეოშნიკი და ცნობადი“ ჟურნალისტი (ერთეულთა გამოკლებით) ჩავიდა ჩვენი დახოცილი ბიჭების ცხედრების გამოსაყვანად?! რომელმა ჟურნალისტმა, რომელსაც ქართული ენის დაცვა პროფესიით ევალება, ამოიღო ხმა, როდესაც „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ქართველი კლასიკოსების კაბინეტები გააუქმა „თხების მწყემსმა“ ხუბუამ და მხცოვანი პროფესორები ქუჩაში გამოყარა? როდესაც ლომაიამ ჰაგიოგრაფიას „ნაგავზე გადასაყრელი“ უწოდა?! როცა „ლიტერატურული საქართველოს“ და „ასავალ- დასავალის“ რედაქციები დაარბიეს?! (თუ ეს გაზეთები, მათი ეროვნულობის გამო თქვენი დამკვეთის მითითებით „შავ სიაში“ გყავდათ შეყვანილი?!) თუ მაშინ ეს ე.წ. „ჟურნალისტური სოლიდარობა“ არ მოქმედებდა?! რომელმა აიმაღლეთ ხმა პრემიერ ჟვანიას, გურამ შარაძის ბურუსით მოცულ მკვლელობაზე, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, გიორგი გამცემლიძისა და ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობაზე?! (ნათია მიქიაშვილს არ ვგულისხმობ). სად იყო ამ „ენჯეოშნიკების“ და ჟურნალისტების „სოლიდარული ჯაჭვი“, როდესაც ფერიის მთის მშენებარე ეკლესია დაანგრიეს, სამთავროს მონასტერში შევარდნენ, გზებზე დადგმული ჯვრები პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილის პირდაპირი დავალებით დათხარეს?! რატომ არავინ აპროტესტებთ იმ სიცრუეს, რასაც ნაცმოძრაობა წინასაარჩევნო კლიპებში აპიარებს, „რომ (თურმე) ივანიშვილის მთავრობამ გააუქმა სოციალური დახმარებები და გლეხობას მუშაობის უფლება წაართვა?!“ დაგავიწყდათ „იმედში“ გასული სიუჟეტი – 2000 ლარის სანაცვლოდ, გლეხს ვაზი რომ ააკაფინეს?! თუ „ოცნების“ მრავალათასიან მიტინგებზე გასული ხალხის დასასჯელად ნაცმოძრაობამ სოციალური დახმარებები რომ გააუქმა, ის აღარავის გახსოვთ?! ან ის რამ დაგავიწყათ, წყალი 5 თეთრი და გაზი ხუთი თეთრი – „ქდმ“-ს წინასაარჩევნო ლოზუნგი რომ იყო და არა „ოცნების“?! ერთი „ენჯეოშნიკი“ ახალგაზრდის გამოსვლა მოვისმინე: „მეზობელი რომ გცემს, მასთან როგორ უნდა ჩახვიდეო“?! ჯერ ერთი, „რუსეთის ოლიმპიადაზე“ არ ჩავდივართ და ეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაგეგმილია! თანხმობა რომ მივეცით, მაშინ არ იყო საქართველოს საზღვრები გადმოწეულიო, – ასეთი არგუმენტიც გაისმის. საზღვარიც და „ზნეობის მიჯნაც“ მაშინ გადმოიწია, როდესაც ქართველმა „მაშასადამე ევროპელობა“ საამაყოდ მიიჩნია! როდესაც ამ „მაშასადამეობის“ გამო, ვითომ ევროპული, ქართველისთვის მიუღებელი ღირებულებები მოგვახვიეს ძალად თავს. მეორეც: „გარეული მტერი“ რომ გინგრევს სახლებს, ის მაინც „გარეულია“, მაგრამ „შინაურმა მტერმა“ რომ დაგინგრია სახლები, მშობლიური მიწიდან აგყარა და ის მიწა უცხოელს მიყიდა, გაგანადგურა, გაგაუპატიურა, გცემა, მოგწამლა, ხელკეტი და რეზინის ტყვია არ დაგაკლო და მოგკლა კიდეც – „ამ მტრის“ ჭკუაზე რატომ დადიოდით აქამდე?! თუმცა, სამწუხაროდ, „ენჯეოების“, ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილიც, ნაცმოძრაობის მსგავსად, დღეს „გარედან დაფინანსებული ჭკუით“ მოქმედებენ! ებრაელი ხალხი 40 წელი დაჰყავდა მოსეს აღთქმულ მიწაზე მისაყვანად, მაგრამ, მიუხედავად მშობლიური მიწის არარსებობისა, სულიერება და რწმენა არ დაუკარგავთ. ბიბლიაც გვასწავლის: „უმჯობეს არს ერთი ასოთაგანი მოიკვეთო, ვიდრე სულიერად წარწყმდე“-ო. ჩვენ კი ამ „დაფინანსებული მე-5 კოლონის“ დამსახურებით, რომელსაც კოლეგები ტელევიზიით გაპიარებაშიც უწყობენ ხელს, ერის გადამრჩენ სულიერებაზე უარის თქმისკენ და გაურკვეველი ღირებულებების აღიარებისკენ მოგვიწოდებენ, რითიც სწორედ ქართველი ხალხის „ზნეობრივ და სულიერ ოკუპაციას“ უწყობენ ხელს. აშშ-მა ტერორიზმის საბაბით, რუსეთმა კი ახლა „არასამთავრობო ორგანიზაციების“ უცხო ქვეყნის ფულებით დაფინანსება აკრძალა. ჩვენ კი, საკმაოდ „რეიტინგულად წოდებული“ ტელეარხებით, სოროსის დაფინანსებულ ფილმებს და გამოძიებებს გვიჩვენებენ და, ფაქტობრივად, უცხოურ გრანტებზე ცხოვრობს დღეს ბევრი ორგანიზაციაც!

განათლების, ინტელიგენციისადმი დამოკიდებულებისა და იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილზე ბევრად თავშეკავებული იყო, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ნაციონალებისგან მოკლულ ზურაბ ჟვანიას დამსახურებაა ამ ე.წ. „ენჯეოების“ საქართველოში დამკვიდრებაც. დღევანდელ „ლიბერალ ჟურნალისტებსა და სახეებს“ მართლმადიდებლობაზე და საქართველოზე ილიასეული მოსაზრება რომ გაახსენო (ვიცი, რომ) სასაცილოდაც არ ეყოფათ, იმიტომ, რომ ზუსტად ისევე სძულთ ყველაფერი ქართული და ეროვნული, როგორც ნაცმოძრაობას და მის მომყვანებს! იმიტომ, რომ ზუსტად ისევე განირთხმებიან უცხოელი დამფინანსებლის წინაშე, როგორც საქართველოში ჩამოსული, მათგანვე გასაკიცხი „კომუნისტური ნომენკლატურის“ წინ განირთხმებოდნენ ხოლმე მათი მსგავსნი. ყბადაღებულ „თავისუფლებაზე“ საუბრის ფონზე, არც ისინი იყვნენ თავისუფალნი და არც ესენი არიან იმიტომ, რომ „სხვის დავალებას“ ასრულებენ და უფლის ნებით მოქმედების უფლებას დამფინანსებელი არ მისცემთ. მონად დაბადებული „საბჭოეთის“ დროსაც მონა იყო და დღესაც, როდესაც ყველაფერი „წაღმა-უკუღმა დააყენეს“. ამაში კი, სწორედ ასეთ „ცნობადებს“, ენჯეოშნიკებს, პოლიტიკოსებს და ჟურნალისტებს უდევთ ლომის წილი. როგორ შეიძლება „პირზე რძეშეუმშრალმა“ ახალგაზრდამ მთავრობას და საზოგადოებას სულ ჭკუა არიგოს და „სწორი ქმედებისკენ“ მიუთითოს. სულ ცოტა, რაღაც ცხოვრებისეული გამოცდილება ხომ უნდა გააჩნდეს ადამიანს, სხვა რომ დაარიგოს! მხოლოდ „რადიოსავით რაკრაკი“, ინგლისური სიტყვების „რახარუხი“, კომპიუტერის ცოდნა და სოროსის გრანტებზე აღმოცენება საზოგადოების არბიტრის ფუნქციას არავის ანიჭებს. ან რა ქართულით მეტყველებენ ეს ჩვენი „ცნობადი ჟურნალისტები“, ან პოლიტიკური დებატების (პოლიტიკოსებისგან ერთმანეთის ლანძღვის) მეტი საზოგადოებისთვის და ერისთვის საჭირო გადაცემების მოფიქრების უნარი როგორ არ მისცათ ღმერთმა?! რაღაცები, შესაძლოა, მეც არ მომწონდეს, მაგრამ დღეს რომ დატაკებიხართ ბიძინა ივანიშვილს, ასეთი „გუნდური შემართებით და კონსოლიდაციით, სააკაშვილზე დატაკებას რატომ ვერ ბედავდით?! რომელმა „ენჯეომ“, ჟურნალისტმა, პოლიტიკოსმა და პოლიტოლოგმა მოახერხეთ ნაცმოძრაობის „ხერხემალში გადატეხა?!“ მართალია, ამ „ხერხემლის გადატეხა“ ხალხის დამსახურებაა, მაგრამ იგივე ხალხი არავის გაჰყვა ივანიშვილის გარდა. 9 წელი ნაცბანდას ვიტანდით და ერთ წელიწადში მოვინდომეთ ცხრა წლის აწეწილის და კარგად დაგეგმილის დალაგება?! თუ ვენდეთ ამ კაცს, ბარემ ბოლომდე – მიშას და ნაციონალების საბოლოო წასვლამდე – ვენდოთ. დღეს მაყვირალი „ენჯეოები“, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები მანამდე რატომ ვერ ბედავდნენ ამდენს? სამწუხაროდ, „გაცნობადებულებმა“ მოახერხეს ის, რომ მართლაც და „განთქმულ ქართულ სტუმართმოყვარეობას“ სრულებით მახინჯი ფორმა შესძინეს. სტუმარიც, იმის სტუმარია, რომ სტუმრობის შემდეგ თავის სახლში უნდა დაბრუნდეს. საქართველოში სტუმრად ყოფნის დროს კი მასპინძლის ოჯახის ფუნქციებში არ უნდა ჩაერიოს და თითი არ უნდა უქნიოს. ჩვენ კი ფაქტობრივ სტუმრებს – როგორც უცხოელ ელჩებსა და მრჩევლებს, ისე ჩამოსულ უცხოელებს – ლამის „ფეხის გასაწმენდ ხალიჩად“ გავეგოთ. ეს უკვე სტუმართმოყვარეობა აღარ არის! მონობაა! ავტობუსში უფულობის გამო უბილეთოდ მყოფ შენს მოქალაქეს ასმაგ ჯარიმას რომ გამოუწერ, იგივე ფაქტზე კი უცხოელს ხმას არ გასცემ ამას „უ-თავმოყვარეობა და უ-ღირსობა“ ჰქვია. იმის გამო, რომ უცხოელი და ზანგია, გნებავთ აფროამერიკელი, უნივერისტეტში ზაფხულში ფეხზე რომ გაიხდის, ამაზე დუმილი „არასტუმართმოყვარეობაა?!“ რატომ არ უნდა დაიცვას საქართველოში ჩამოსულმა ყველა უცხოელმა ის წესები, რაც ჩვენთან არის მიღებული?! ან რომელ უცხოურ ქვეყანაში გამგზავრებენ უბილეთოდ საზოგადოებრივ ტრანსპორტში? (თუმცა აფრიკელებიც „აფროამერიკელები“ მას შემდეგ გახდნენ, რაც აშშ-მა, სამუშაოდ ზანგები მონებად ჩამოიყვანა.)

დღეს ზოგიერთი „ცნობადი“ ფილოსოფოსი ავრცელებს მოსაზრებას, რომ თურმე ნაციონალობა (საფრანგეთის მოდელის მიხედვით) დაბადების ადგილმდებარეობით განისაზღვრება, რაც იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთში დაბადებული არაბიც და ზანგიც (საფრანგეთისგან ალჟირის კოლონიად ფლობის ხარკი) ფრანგია. ეს მოსაზრება საქართველოში

▶▶ გაგრძელება მე–6 გვ.

როგორი არ უნდა იყოს ადამიანი

(საქართველოს საპატრიარქოს საყურადღებოდ)

ჯემალ დავლიანიძე

ჩვენს სამშობლოს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი განადგურებით ემუქრებიან. მთელი ჩვენი ისტორია მეტყველებს, რომ მტერს, გარდა მიწა-წყლისა, უძვირფასესი მონაპოვარი, ხელი ხელს საგოგმანები საგანძურის – კულტურისა და სარწმუნოების ამოძირკვა ჰქონდა ჩაფიქრებული!

ამის საწინააღმდეგოდ, ქართველებს მარადიულად დაგვეკვება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც დღესაც გრძელდება. მტრის სურვილი ძველია, აღსრულების ხერხები კი გაცილებით დახვეწილი და ეშმაკური. ყოველივეს ხელს უწყობს ის, რომ ძირითადი მტერი გაუჩინარებულია და სანატრელია აშკარად მოსული, იარაღასხმული მოძალადე. ათასგვარ ინსტანციებში დამუშავებულ გეგმას უკვე ჩვენივე მოძმეთა მეოხებით ასრულებენ. ხელისუფლებაში მოჰყავთ ურწმუნო, ანტიქართველი, ბოროტებასთან წილნაყარი, ანგარებით აღვსილი პიროვნებები და ყოველივე, რასაც ისინი სჩადიან, ჩვენვე გვბრალდება! უფრო მეტიც – იმგვარ იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან, ხალხი ისტერიამდე მიჰყავთ და საკუთარ ქვეყანას, საკუთარ ერსა და ბერს ალანძღვინებენ!

ამ შავი საქმის შემსრულებელი სპეცადამიანები, კასრში ჩაყრილ, საკუთარ მოძმეთა მჭამელი ვირთაგვებივით გამოჰყავთ.

ერთ-ერთ ამგვარ სპეცარსებას წარმოადგენს რევაზ მიშველაძე, რომლის მრუდე საქმეების მცირეოდენი ნაწილი უკვე გაგაცანით.

მიშველაძე, საბჭოეთის ეპოქაში, კგბ-ს ერთ-ერთ სპეცგანყოფილების დავალებას პირნათლად ასრულებდა. იმდენად მნიშვნელოვანი აგენტურის ქსელში გახლდათ ჩაბმული, რომ დღესაც შეუძლებელია მისი ჩინის დადგენა. სავარაუდოდ, გენერალი თუ არა, პოლკოვნიკი ნამდვილად იქნება!

ეს სპეცპერსონა, მთელი თავისი დღენი და მოსწრება, აშკარად თუ ფარულად, მეცნიერის თუ მწერლის რანგში მუშაობდა ორი ძირითადი მიმართულებით: აგიტაცია-პროპაგანდა გაეწია კომუნისტური პარტიის ღია თუ ფარული დადგენილებებისათვის და სასტიკი ომი ეწარმოებინა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ.

საამისო მაგალითები მისი „ნაწარმოებებიდან“ ამ წიგნის ფურცლებზე უკვე გაგაცანით, როცა სოცრეალიზმის გამო თვით ისეთ მწერალსაც კი აბეზღებდა და უჩიოდა, როგორიც ბრძანდება ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი! თუმცა, მიშველაძეს ძალუძს, ყოველივე ამის შემდგომ, მუხლიჩოქა ეახლოს ბატონ ჭაბუას, აქოს, ადიდოს და საკუთარი ბნელი მიზნების განსახორციელებლად შუამდგომლობა თხოვოს. მან სირცხვილის გრძნობა, როგორც ჩანს, ადრეულ სიყმაწვილეშივე მარადიულად გააქირავა.

ორიოდ წლის წინ მან თავის ცისფერ „მწერის გაზეთში“ დაბეჭდა ჯღაბნილი, რომელსაც თვითონ უწოდებს ნოველას, სათაურად დაასვა „თავების ჭრა ძნელი საქმეა“ და არნახული ცინიზმით აღწერა საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ასი ათასი მართლმადიდებლის თავის კვეთა!

რამდენჯერაც წავიკითხე, ვერასგზით ვერ წარმოვიდგინე, რომ ამ საზიზღრობის ჩამდენი ადამიანია! ეს უფრო მაიმუნის ნახელავია და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიტყვა „მაიმუნი“-ც კი არ მემეტება ამ სულიერებისაგან მთლად დაცლილი საბაზრე ხორცის ნაჭრისადმი! მიშველაძემ იმდენი ქნა, ადამიანის გასაკიცხად, მოგონილი, არც ერთი საგინებელი სიტყვა აღარ მემეტება!მათ შორის: არც ურჩხული, არც წურბელა, არც ეშმაკის ფეხი, არც მტერი... თვით ვამპირიც კი არ მსურს ვუწოდო! მაშ რა? – იკითხავს მკითხველი! ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა – ერთადერთ სახელწოდებას მივაგენი! ეს არის „პარაზიტი“!

მიშველაძე, როგორც ჩანს, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა ბავშვობიდანვე. რაც შემდგომ გააგრძელა უნივერსიტეტში და მწერლობაში! იგი ერთ-ერთი უძვირფასესი რგოლი იყო ქვეყნის საწინააღმდეგოდ გაშლილ ბრძოლაში, რომელსაც სპეცაგენტურა ეწეოდა! კომუნისტების შემდგომ, მან თავისი შრომა-საქმიანობა წარმატებით განაგრძო და უდიდესი როლი ითამაშა 1991-1992 წლებში მოწყობილ სამხედრო გადატრიალების მომზადებაში, განხორციელებაში და შემდგომ კი უკანონო ხელისუფლების ლეგიტიმაციაში! საამისოდ უამრავი დოკუმენტური მასალაა წინამდებარე ჩემს წიგნში, რომელსაც ჰქვია „როგორი არ უნდა იყოს ადამიანი“. მიშველაძის ერთ-ერთი ერთგული მონა და მხმარებელ-ხმარებული თავდიშვილი კი მიწოდებს ცილისმწამებელს, მაგრამ საამისოდ არავითარი არგუმენტები არ გააჩნია! რანაირად ვარ ცილისმწამებელი, როცა მიშველაძის ნაწერებიდან მომყავს მაგალითები? ვგონებ, ამ მურმან თავდიშვილს, დედის გინებით აიძულებს თავისი მბრძანებელი: დავლიანიძე ცრუობს, ასეთი წიგნები მე არ დამიწერია, ჩემს სიტყვას ენდე, არც გაბედო გადამოწმება, უნდა დამიჯეროო!

ასეა თუ ისე, მიშველაძემ უსასრულოდ გაიხარა, როცა 2003 წელს ნაცმოძრაობამ სახელმწიფო გადატრიალება ანუ ვარდების რევოლუცია მოაწყო! თავისი საძმო იცნო და ცხრა წელიწადი განცხრომაში გაატარა! ნაცმოძრაობამ პირველივე დღეებიდანვე ეროვნულობის მოშლით, ყოველგვარი ქართული ღირებულებების განადგურებით დაიწყო ქვეყნის მართვა. მამულს, ენას და სარწმუნოებას შეუტიეს თუ არა, მიშველაძეც იქ გაჩნდა! როგორც თევზმა წყალში, ისე იგრძნო თავი და 2012 წელს, როგორც კი დარწმუნდა, მომავალ არჩევნებში ისევ ნაცები გაიმარჯვებენო, ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია, ყველაზე უძვირფასესის და ყველაზე სათაყვანებელის – ჩვენი სარწმუნოების შესაბღალად უცბად შეთითხნა ე.წ. ნოველა „თავების ჭრა ძნელი საქმეა“.

რაო, ბატონებო, რატომ არ გაუხარდებოდათ ეკლესიის, ჯვრების შემმუსვრელ ნაციონალებს ამგვარი „ნაწარმოები“. არც მეტი, არც ნაკლები – ამგვარი რამ რუსთაველის პრემიის ლაურეატისგან იყო უძვირფასესი, თორემ სხვა რა თავში სახლელად უნდოდათ?

მიშველაძეს უთუოდ ხელს უწყობდა ის ფარული ძალა, რომელსაც სპეცსამსახური ჰქვია! როგორც კი საქმე მისჭირდებოდა, ამუშავდებოდა მექანიზმი და სათანადო, ოფიციალური ჟურნალ-გაზეთები და სახელმწიფო პროპაგანდის მანქანა უკვე შიშველ მიშველაძეს ისევ შემოსავდა. მას ხომ ეროვნულობისთვის მებრძოლი მწერლის იმიჯი შეუქმნეს, რომ მერე, საჭიროებისამებრ, აეყვირებინათ და ხალხი ეცდუნებინათ!

და, ნაცებისგან გათამამებულმა მიშველაძემ, ქართული სიწმინდეების ხელყოფა გაბედა! მისი ეს მცდელობა ზუსტად იმ ჯაჭვის შემადგენელი ნაწილია, საქართველოში ჰომოსექსუალიზმის, კაცის კაცზე ქორწინების და ათასი სისაძაგლეების დანერგვას რომ უდებს სათავეს! აშკარაა: დემონური ბნელეთი ექსპერიმენტებს ატარებს! საამისოდ მთავარია, რომ პრეცედენტი გაჩნდეს! მთავარია – მოისინჯოს, აბა, ქართველობა როგორ მიიღებს, რა რეაქცია ექნება! მთავარია, ატყდეს ვაი-ვაში, გაიმართოს დისკუსია! დაიბეჭდოს სათანადო წერილები! პოლემიკაში ჩაებას ახალგაზრდობა, რომლის გარკვეული ნაწილი უკვე აღზარდა ნაცმოძრაობამ და რომელიც უკვე მზადაა დაიცვას მიშველაძის ნამოქმედარი!

რითიო, – დაინტერესდება მავანი! რითი, ბატონებო და, ადამიანის უფლებათა დაცვით! რაო, მიშველაძე განა დემოკრატიულ ქვეყანაში არ ცხოვრობს და სრული უფლება არა აქვს, როგორც მწერალმა, დაწეროს ნოველა? რატომ არ შეიძლება ნაწარმოების გმირმა ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ თბილისში ოდესღაც სულაც არ ცხოვრობდა ასი ათასი კაცი? მტერი რანაირად მოჭრიდა თავს ამდენ ადამიანს? მით უმეტეს, ჯალათები განა არ დაიღლებოდნენ? მაშასადამე, ეს არის სიცრუე და, რაღა თქმა უნდა, წმინდანებიც არ არსებობენ! ესე იგი – ეკლესია ხალხს ატყუებს!

მიშველაძე ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში წინათ ხომ ბოლშევიკებს უწყობდა ხელს, ახლა უკვე ნაცმოძრაობას და მის მესვეურებს ემსახურება!

მართლაც, მიშველაძის ეს მკრეხელობა დაიბეჭდა თუ არა, მსწრაფლ ატყდა ხმაური (რომელიც ნაცებისთვის სანუკვარია!)! მოსახლეობის ყურამდე მივიდა: თურმე ეჭვის შეტანა შეიძლება საქართველოს ეკლესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაშიო! ასეთი ცნობილი მწერალი და მეცნიერი ეჭვობს და სინამდვილეში, – ნეტავ რამდენი ადამიანი ბინადრობდა იმდროინდელ თბილისშიო?

მიშველაძემ ხუთიანზე შეასრულა სპეციალური დავალება და შემდგომ, დისკუსიაშიც კი მიიღო მონაწილეობა! უფრო მეტიც, ისე გათავხედდა, შენიშვნა რომ მისცეს, თავის მართლებასაც არ დასჯერდა, პირიქით – შეტევაზე გადავიდა და, რაც ყველაზე საოცარია, თვით მწერლებშიც კი გამოუჩნდნენ დამცველები!

სულაც არ მიკვირს, რომ მიშველაძის მიერ აღზრდილ თაობას საქართველოს მტრებისგან დიდი ხელშეწყობა აქვს! ვისაც ჩვენი ქვეყნის გარყვნა-გათახსირება და დაქუცმაცება უნდა, ის ხომ უარყოფს ყოველივე ჭეშმარიტ ეროვნულს და მიშველაძეებს აძლევს გასაქანს! აშკარაა, ე.წ. მეოთხე ხელისუფლება თითქმის მთლიანად ხელში ჰყავთ მომწყვდეული და საკუთარ შეკვეთებს აჭახრაკებენ!

ამისი დამამტკიცებელია თუნდაც ის, რომ რამდენიმე თვის წინ შექმნილ საქართველოს მწერალთა ეროვნულ აკადემიას არც ერთი ჟურნალისტი, არც ერთი ტელევიზია თუ რადიო ყურადღებას არ აქცევს!

სამაგიეროდ, ფართო ასპარეზს აძლევენ და პროპაგანდას უწევენ ნებისმიერ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსება-გამოჩენას!

თუ ე.წ. წამყვან სახელმწიფოთა საიდუმლო დაზვერვას სურს, ცხოვრებიდან საერთოდ ამოშლიან ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელსაც კი საქართველოს გადარჩენის თაობაზე ერთი სიტყვა წამოსცდენია!

საქართველოში მართლმადიდებლობას ენით აუწერელ დისკრედიტაციას უწევენ. პირდაპირ შეიძლება ითქვას – გაშლილი ფრონტია და უწყვეტელი შეტევაა! ვინც ამ შავ საქმეში მონაწილეობს, ყველა გამოჩინებულია და პატივცემულია! აშკარაა – ე.წ. დიპკორპუსის და საიდუმლო დაზვერვის წარმომადგენლებს შედგენილი აქვთ სპეციალური კატალოგი, სადაც შეტანილია ყოველი ადამიანი, ვისაც საქართველოს დაცვა განუზრახავს! ამ ადამიანებისათვის და მათი შვილებისათვის, საიდუმლო ინსტრუქციების და საბაზო მონაცემების წყალობით, გადაკეტილია თვით სამსახურის საპოვნელი გზა-ბილიკები! გამიზნულად ტოვებენ უსახსროდ, ულუკმაპუროდ, რომ საზღვარგარეთ გაიხვეწონ, ფართობი გაათავისუფლონ უცხო ჯილაგის ანდა სულგაყიდული ადამიანებისათვის! ამითი ორი კურდღლის დაჭერა ხდება: არასასურველ პირს თავიდან იშორებენ, ქვეყანას აცარიელებენ ეროვნული სულისკვეთების ადამიანებისგან და ადგილს უთავისუფლებენ საზღვარგარეთელ ჯამაათს!

ნათელია, მიშველაძეები შემთხვევით არ თხზავენ ისეთ საზიზღრობებს, როგორიცაა „თავების ჭრა ძნელი საქმეა!“ ამიტომაა, რომ მიშველაძისნაირ ეგზემპლარებს ნებისმიერ საუკუნეში, თვით დიდი არეულობისას, მტრის ხელი ეხმარებოდა და მარადიულად უზრუნველყოფილებიც იყვნენ!

მიშველაძეს ულხინდა კომუნისტობისას! ულხინდა სამხედრო გადატრიალების შემდეგ! ულხინდა სააკაშვილის პერიოდში და... მხოლოდ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას გაუჭირდა! თუმცა... მღრღნელთა თვისებებით აღჭურვილს, იგივე ბნელი ძალა მაშინაც ხელს უწყობდა მაძღრად ეცხოვრა!

მიშველაძეები მუდამ უძვირფასესი დასაყრდენები ბრძანდებიან შემოსეული მტრებისათვის და რადგან საქართველო ოდითგანვე ძალადობას განიცდის, ასეთი შხამიანი ქვეწარმავლები მუდამ ხელშეწყობილნი არიან და კიდეც მრავლდებიან!

წინა წერილებში შემთხვევით არ მოვიხსენიე მიშველაძის მუშაკობა: საქართველოს გერბიდან როგორმე წმინდა გიორგი მოეშორებინა! ეს ამბავი მჭიდროდაა დაკავშირებული ასი ათასი წმინდანის შეურაცხმყოფელ „ნოველასთან“, სადაც „ნასედკა“ ავტორი მოლას ლოცვას, მინარეთიდან რომ მოისმის, გალობად აღიქვამს!

P.S.

ღმერთო, რამდენ ჟურნალისტს უდიდებია მიშველაძე! რამდენ მწერალს უთქვამს მასზე კარგი მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან მოეშორებინათ ეს აბეზარა ბუზანკალი! ფიქრობდნენ ასე: ვიტყვით ერთ-ორ სიტყვას, თანაც კარგს ვიტყვით ამ გაიძვერაზე, მერედა რაო? ახლა, იქნებ კიდეც ნანობენ? იქნებ სინდისი ჰქენჯნით? თუმც, რა, აბა, ბიჭები არიან და თქვან სიმართლე მიშველაძის შესახებ! უცბად გამოუხტებათ მიშველაძე და დაიყვირებს საკუთარ „მწერის გაზეთში“ (№1, 2002 წ., გვ.6):

„მე საბრძოლველად მოედანზე გამოსული კაცი ვარ, თქვენ სადღაც ჩირგვებიდან წკავწკავებთ (მწერალთა კავშირის წევრებს მიმართავს! ჯ.დ.) ან ხელისუფლების სანეხვეზე ზიმზიმ-ფუთფუთებთ... მე ჩემი სამოცი წიგნი მიმშვენებს მხარს, თქვენ კი წერილების თითო-ოროლა კრებული. მე საქართველოში ყველა ლიტერატურული პრემიის მფლობელი ვარ, თქვენ – არც ერთის. თქვენ ლიტერატურულ ცხოვრებაზე იოტისოდენა გავლენა არ მოგიხდენიათ, მე უამრავი მიმბაძველი მყავს. თქვენ ერთი ახალგაზრდა მწერლისთვის არ გაგიწალდავთ გზა, მე ორმოცი წლის განმავლობაში უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედი გამოვიყვანე ასპარეზზე. ნახეთ მათი პირველი წიგნები ჩემი წინასიტყვაობებით და დარწმუნდებით. ისინი თქვენ მწერალთა კავშირს არ გააკარეთ, სამაგიეროდ მე მივიღე ახალ, ჭეშმარიტად ეროვნულ შემოქმედებით კავშირში, რომელსაც „საქართველოს მწერალთა დარბაზი“ ჰქვია.

მიშველაძეს ეშმაკი უწყობს ხელს და ის ეშმაკი უბერებელია!

იხოხებს, იხოხებს, იმლიქვნელებს მიშველაძე და, როგორც ადრე, იმავე ხერხებით გავა ფონს.

აი, ნახეთ ისევ ის „მწერის გაზეთი“ (№1, 2002 წ.) რას წერს მიშველაძე ამაყად:

„ჩემს ნოველებზე ნაფიც კრიტიკოსებზე რომ არაფერი ვთქვათ, ქების წერილები აქვთ დაწერილი... (გვარ-სახელებს არ ჩამოვთვლი. არც გარდაცვლილების შეწუხება მსურს და არც ცოცხლების! ჯ.დ.).

▶▶ გაგრძელება. დასაწყისი „ლს“ 52–68

▶▶ გაგრძელება მე–6 გვ.

◀◀ მე-5 გვერდიდან

თქვენზე?

მოდით ჩემთან და გიჩვენებთ ჩემს წიგნებს, გამოცემულთ იაპონურ, ვიეტნამურ, ინგლისურ, სპარსულ, ესპანურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ბულგარულ, რუსულ, უკრაინულ, აფხაზურ ენებზე.

თქვენ? თქვენი წიგნები რომელ ენებზე ითარგმნა? სად ხართ საერთოდ! საიდან კნავით?

ხომ ხედავთ, თქვენ რომ ქართველ მწერალს მთელ საქართველოს აძულებთ თქვენი არაეროვნული პოზიციით, მე მაშინ ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საზოგადოებას ვქმნი და პარლამენტში ხმალს ვიქნევ. ქართველი ერის გუშაგად ვდგავარ, დაჩაგრულს ვექომაგები, საკითხს ვსვამ, რუსის საოკუპაციო ჯარი გავიდეს საქართველოდან-მეთქი!

თქვენ, ხელისუფალთა უბეში გამოზრდილნო, ქვეყნის გადარჩენისთვის თითი თითზე არ დაგიკარებიათ!

ქართული ლიტერატურის ბედაურები ჯერ არ დავხოცილვართ, რომ თქვენ დაგრჩეთ მოედანი!“

ვეჟო, მოგწონთ რეზოიას მონოლოგი?

და, იმ მწერლებს, ვისაც იგი მიმართავს, ხმა უნდა მიეცათ მისთვის, მწერალთა კავშირის მდივანი რომ გამხდარიყო?

ანდა, ზემოთ ჩამოთვლილ ცნობილ თუ უცნობ მწერლებს, რამ დააწერინათ ქებათა-ქება მიშველაძისა? რითი აიძულა მიშველაძემ? ვითომ სჭირდებოდათ უნივერსიტეტის პროფესორი აბიტურიენტებისათვის? იქნებ მიშველაძის შემოქმედებაზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ?

იქნებ მართლაც ეროვნული მოღვაწეა ეს რეზო მიშველაძე?

ამ კითხვებს პასუხის გაცემა ესაჭიროება და კიდეც ვპასუხობ!

და, ჩემი პასუხი მხოლოდ მიშველაძეს კი არა, არამედ იმ საზოგადოებას ეკუთვნის, ვინც აღზარდა, ვინც პური აჭამა, ვინც წყალი დაალევინა, ვინც მწერალი შეარქვა და ვინც აქო მიშველაძე!

რა თქმა უნდა, იძულებული ვარ, ვუპასუხო მიშველაძესაც და საზოგადოებასაც!

მე პატიებას არ ვითხოვ იმ დაუნდობლობისთვის, რასაც გამოვიჩენ, რადგან მიშველაძე პირიქით, – სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული სიკეთესთან, სამშობლოსთან, ეროვნულობასთან და გეგმაზომიერად მუშაობდა საქართველოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ!

ამაში მას ხელს უწყობდა თვით საზოგადოების დიდი ნაწილი!

და, არა მხოლოდ საზოგადოება!

მიშველაძეს ხელს უწყობდნენ საკავშირო სპეციალური ორგანოები, რომელთა ჩარევის გარეშე, საბჭოთა მწერლის, მით უმეტეს, ქართველი საბჭოთა მწერლის წიგნები, არც ერთ ქვეყანაში არ შეიძლებოდა თარგმნილიყო სპეციალური, საიდუმლო სანქციების გარეშე!

მინაწერის მინაწერი:

უნდა შევნიშნო, რომ რეზო მიშველაძის მიერ ზემოთ ჩამოთვლილ, გარდაცვლილ და ცოცხალ მწერლებს მართლა შეუწევიათ თუ არა ორიოდ სიტყვა ე.წ. მწერლისთვის, ზუსტად არ ვიცი! იქ ჩემი მეგობრებიც არიან მოხსენიებული და სულაც არ მსურს, რომელიმე განვსაჯო. თუ მიშველაძე, ჩემდა სამწუხაროდ, ამჯერადაც ცრუობს, მაშინ საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის და „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, ბატონ თამაზ წივწივაძეს მიბაძონ, რომელმაც გაზეთში („ლიტერატურული საქართველო“, 53, 2013 წ.) გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „დავდივარ... ვწუხვარ და მენანება“. იგი საბჭოთა საქართველოში არსებულ შოთა რუსთაველის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის ხელმძღვანელებს, მურმან ლებანიძეს და ტარიელ ჭანტურიას ასე მიმართავს:

„ჩემს სამარცხვინო საქციელზე უნდა გიამბოთ, რომელმაც უშუალო გავლენა მოახდინა თქვენდამი რწმუნებული კომიტეტის ერთი მეტად სერიოზული საკითხის გადაწყვეტაზე!

საქმე რევაზ მიშველაძისთვის რუსთაველის პრემიის მინიჭებას ეხება.

საჯაროდ ვგმობ რა იმჟამინდელ ჩემს საქციელს, მზად ვარ, ყოველივე ეს ნებისმიერ საჯარიმო პირობებში მოვინანიო!

საქმე ის გახლავთ, რომ კომიტეტის წევრების ხმათა დიდი რაოდენობა ამ პრემიის მაძიებელ რევაზ მიშველაძეს, მე თვითონ მოვუპოვე!“

წერილის ამ ნაწყვეტიდან ჩინებულად ჩანს, რომ ბატონი თამაზ წივწივაძე, სხვა კეთილშობილ თვისებებთან ერთად, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანია!

ვითომ არ გახლავთ ამგვარი ნაბიჯი მისაბაძი?

დასასრულს, მინდა გითხრათ, რომ მკრეხელური „ნოველის“ შესახებ დაწვრილებით შემდეგში მოგახსენებთ!

▶▶ გაგრძელება შემდეგ ნომერში

◀◀ მე-4 გვერდიდან

დასანერგად მზადდება და ერთხელაც საქართველოში უთავბოლოდ გაცემული მოქალაქეობის მოწმობების გამო, ინდოელებზე, ირანელებზე, ზანგებზე (უკაცრავად – აფროამერიკელებზე), ჩინელებზეც გვეტყვიან, რომ ისინიც თურმე ქართველები ყოფილან?! იმიტომ, რომ საქართველოს მოქალაქეობა აქვთ. იოჰან ფრიდრიჰ ბლუმენბახმა (გერმანელი რასოლოგი და ხუთი რასის თეორიის ავტორი) დაასკვნა, რომ ევროპული რასა სათავეს კავკასიიდან იღებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „კავკასია“ ადრე მხოლოდ ცაგერის რაიონში მდებარე „ხვამლის“ მთას ეწოდებოდა და რეგიონზე შემდეგ გავრცელდა, ევროპელები კავკასიელები ვერ უნდა გამოვიდნენ. არადა, ევროპელების კი არა, უკვე ეგვიპტის ფარაონების „კავკასიურ“ წარმოშობაზე მსჯელობენ თავად უცხოელი მეცნიერები. „სააკაშვილისეული სინგაპურიზაციის“ პრინციპი და დავალებაც სწორედ ის გახლდათ, რომ „კავკასიელი კავკასიელი“ ისევე ათქვეფილიყო გენეტიკურად, როგორც „ევროპელი და ამერიკელი კავკასიელები“ არიან ათქვეფილნი. შემდგომ უკვე ძნელი გასარჩევი და დასამტკიცებელი გახდება, „რომელი კავკასიელი უფრო მეტად არის კავკასიური გენის მატარებელი.“ მანამდე კი, „დასავლური ლიბერალიზმის“ სახელით, საერთოდ მოსპობენ იმ ქართულსა და „კავკასიურს“, რა განსხვავებაც ჩვენსა და დასავლეთს შორის არსებობს. ამიტომ, სანამ ჯაჭვების, „წრეებისა და ალყების შემორტყმას“ დააპირებენ, ჯერ ის გაიხსენოს ყველამ, თავად რა გაუკეთებიათ ნაცმოძრაობისგან საქართველოს ოკუპაციის საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება ოლიმპიადაზე წასვლა-წაუსვლელობას, რვა წელი სპორტსმენების ფორმიდან ამოვარდნის ნაცვლად, პროტესტს თუ ვაპირებთ – სწორედაც რომ მონაწილეობა და გამარჯვებაა საჭირო! ეს იქნება გმირობა, ვაჟკაცობა და არა დამალვა. ან 2008 წლის მსგავსად, მაკ-კეინის გასახარებლად რუსეთთან დაჯინება. მით უფრო, ამ დაჯინებით, 20 წლის განმავლობაში ჯერ არაფერი მოგვიგია „შეშფოთება-აღშფოთების“, სიტყვიერად ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღიარების, „ჰუმანიტარული წყლის“ გამოგზავნის და ზნედაცემულობის დაცვის მოთხოვნის გარდა!

ამ სტატიის გამო ჩემს მარგინალიზებასაც ტყუილად ნურც ერთი ტელეარხი და ჟურნალისტი შეეცდება. არც ერთს არ გითქვამთ ჩემდენი სიმართლე და თანაც იმ დროს, როცა ეს საქართველოს სჭირდებოდა. არც რუსოფობი ვყოფილვარ არასდროს და არც ამერიკანისტი. ყოველთვის საქართველოს ინტერესების გვერდით ვიდექი და ვიდგები. აკი ამიტომაც არის, რომ ამდენი „გაყიდული სახეების, ცნობადების“, ჟურნალისტებისა და „ნავიდან ნავში“ მოხტუნავე პოლიტიკოსების სიმრავლეში ჩემთვის ადგილი და სამსახური არც ახლა მოიძებნა! მაგრამ განსხვავებით ბევრისგან, ყოველთვის თავისუფალი ვიყავი და ვარ. როგორც დავდექი ივანიშვილის გვერდით – ისე ვიდგები ახლაც! შეეშლება და მასაც ვამხელ! პოლიტიკოსი არა ვარ და არც იმის თქმისა მეშინია, რომ, 2003 წელს „პროამერიკულად მოსული“ და დღეს „პრორუსულად გადაკეთებული“ პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, არასდროს მომწონდა აშშ-ის კურსი, რადგან: „არავის ძალუძს ორი ბატონის მონობა: რადგან ან ერთს შეიყვარებს და მეორეს შეიძულებს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზღებს. ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც (მათე 6, 24/ ლუკა 16, 13)“. „უ-მადურობაა“ სწორედაც, რომ, რადგან ბევრმა ისე სწრაფად ვერ მიიღო ის შედეგი, რასაც ელოდა, ივანიშვილის „ვწვდეთ კისერში“. 9 წელი დამცირებას, ღირსების აყრას, გაუპატიურებას, მონურ მორჩილებას ეგუებოდით და ერთი წელი რა გახდა?! მოვა 27 ოქტომბერიც და გამოჩნდება „თეთრი და შავი“. მერე კი, ვინ რისი მაქნისია, ისიც გამოჩნდება?! ■

მცირე მიმართვა ბაჯონ ზაზა აბაშიძეს

მსურს, გაუწყოთ ზოგიერთი რამ ახლახან გამოცემულ წიგნზე „საქართველო და ქართველები“, რომლის ანოტაცია გვამცნობს, რომ იგი განკუთვნილია „მოსწავლეების, სტუდენტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის“. წიგნს სამი ავტორი ჰყავს, ერთ-ერთი თქვენ ბრძანდებით, მაგრამ, ამავე დროს, წიგნის რედაქტორიც თქვენ ყოფილხართ და, ბუნებრივია, წიგნის მთელ შინაარსზეც პასუხისმგებელი. ამიტომაც მოგმართავთ თქვენ.

გაოცებული დავრჩი წიგნის მესამე თანაავტორის, ო. ჯანელიძის „მიგნებებით“, რომელთაც ის ამზეურებს თავში „დისიდენტური მოძრაობა.“ იგი წერს: „საქართველოში დისიდენტ თანამოაზრეთა პირველი გაერთიანება „ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფის“ სახით ჯერ კიდევ 1974 წელს წარმოიშვა. მასში შედიოდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გივი მაღულარია, თეიმურაზ ჯანელიძე და სხვ. 1976 წელს მათ დააფუძნეს „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“, რომელსაც უფრო მოგვიანებით „ჰელსინკის კავშირი“ ეწოდა“.

ამ წინადადებაში რიგი შეცდომებისაა ჩახლართული, რაც ჭეშმარიტი ისტორიკოსისათვის უპატიებელია. „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფში“ შედიოდნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე, ბეგო ბეჟუაშვილი და ირაკლი კენჭოშვილი (იხ. საქართველოს მოამბე, №2, 1976). „ჰელსინკის ჯგუფის“ ჩამოყალიბებისას მათ დაემატათ იმხანად საქართველოში მყოფი ძმები გოლდშტეინები - გრიგორი და ისაია. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ გივი მაღულარია ან თეიმურაზ ჯანელიძე არ გვეხმარებოდნენ და ხელისუფლებისადმი მიმართვებზე ხელს არ აწერდნენ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ ჯანელიძე არასოდეს ყოფილა რეპრესირებული და მას ერთი წერილიც არ გამოუქვეყნებია დისიდენტურ ჟურნალებში. როგორც ჩანს, ო. ჯანელიძემ იმიტომ დაასახელა თავისი ნათესავი, რომ თავისივე თავი შეექო. ვინც დაინტერესდება საქართველოში დისიდენტური მოძრაობის ნამდვილი ისტორიით, მან უნდა მოიძიოს იმდროინდელი პრესა. 1977 წელს „ახალგაზრდა კომუნისტის“ მარტის მიწურულს გამოცემულ ნომერში ყველა დაინტერესებული იხილავს, რომ ხელისუფლება გვლანძღავს ასეთი მიყოლებით: „ზვიად გამსახურდია, ვიქტორ რცხილაძე, მერაბ კოსტავა“. არც ციხეგადასახლებას გადაურჩა წინამდებარე წერილის ავტორი, რის დამადასტურებლადაც რედაქციას გადავეცი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მიერ გაცემული ცნობა (29 იანვარი, 1998წ., №16/1-რ-კ), რომლის აღება თავის დროზე პენსიისთვის დამჭირდა.

არც ის გახლავთ სწორი, ვითომც „ ჰელსინკის ჯგუფს“ „უფრო მოგვიანებით „ჰელსინკის კავშირი“ ეწოდა“. ეს „უფრო მოგვიანებით“ თუ 12-13 წელს გულისხმობს, ამაზე რა მოგახსენოთ და მაშინ ამ „კავშირის“ შესახებ არც მე და არც ბეგო ბეჟუაშვილს არაფერი გვსმენია. როგორც მახსოვს, „ჰელსინკის კავშირის“ გაჩენისას მერაბ კოსტავა უკვე გარდაცვლილი იყო.

ვიქტორ რცხილაძე



საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო

„29“ იანვარი 1998 წ. ეგზ. № 1

№ 16/1 - რ-კ ქ. თბილისი

ცნობა

ეძლევა მოქ. ვიქტორ გიორგის ძე რცხილაძეს დაბ. 1941 წ. ქ. თბილისში, მასზედ, რომ ნამდვილად დაპატიმრებული იქნა 1978 წ. 25 იანვარს საქართველოს სსრ ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების მიერ და შემდგომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1978 წლის 6 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71-I (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების ან ცალკეული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზნით, გავრცელება იმავე მიზნით ცილისმწამებლური მონაჭორისა, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილებას, აგრეთვე იმავე მიზნით ასეთივე შინაარსის ლიტერატურის გავრცელება, დამზადება ან შენახვა) მუხლის საფუძველზე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით შემდგომი გასახლებით – 2 წლით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი ჩაეთვალა პირობითად სამი წლის გამოსაცდელი ვადით და დაეტოვა გასახლება 2 წლით.

გასახლებას იხდიდა ყაზახეთის სსრ ტალდი-კურგანის ოლქის კარაბელის რაიონში.

განყოფილების უფროსი ი. მირონოვი

მწერალთა ეროვნული აკადემიის განცხადება ანუ სანამდე, ბატონებო!

უკვე ყელამდე ხართ ჩაფლული საკუთარ ნაგავში (თუ მეტში არა!) და ისე ფართხალებთ, მიმოისვარა ირგვლივ ყველა და ყველაფერი, საშინელი სუნი ძაღს თქვენს ირგვლივ.

უსინდისობასაც კი გააჩნია ზღვარი!

უსინდისობაც კი იხევს ხანდახან უკან!

გოეთეს მეფისტოფელიც დაირცხვენდა, ბატონებო, იმგვარ საქციელზე, რასაც თქვენ ჩადიხართ!.

მოდით, ცოტათი მუხრან მაჭავარიანს დავესესხოთ:

„ქართველი ამას იკადრებს? – არა!“

და იქვე მივაშველოთ პერიფრაზი:

„მწერალი ამას იკადრებს? – არა!“

დასკვნის სახით კი შეგვიძლია ვთქვათ:

„მავანი ამას იკადრებს? – კიი!“

წივწივაძის აკადემია იშლებაო!“ – ბრძანებთ.

ისე დაეშალა ჩვენს ავადმაწყევარს ისედაც გატიალებული შარა-ღობე, დღევანდელ მწერალთა კავშირს რომ არტყია გარს და ისიც მშვენივრად უწყით, ვისი დამსახურებაცაა ყოველივე!

ვისი?

ვისი და თქვენი! – მწერალთა კავშირის ჭეშმარიტი მწერლებისგან შეძულებული ხალხისა!

სხვანაირად როგორ მოგმართოთ?.. იქნებ სიმართლე გემწვავათ და ახლა კანჭებს მაღლა იწევთ, სუსხიანი ჯინჭარი არ მოგვხვდესო.

მოგხვდებათ, ბატონებო, უცილობლად!

მოდით, ცოტათი უკან დავიხიოთ და თვალი გავადევნოთ მწერლობისა და მწერალთა კავშირის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს.

სულ თოთხმეტი მწერალია გაერთიანებული მწერალთა აკადემიაშიო! – ჯიუტად იმეორებთ და გაქირი ვირივით ადგილიდან ფეხს არ იცვლით.

არა!

სულ თავიდან, ანუ პირველად, იყო – სამი!

და მერე – ათი!

თხუთმეტი!..

ორმოცდაათი!..

ასი!..

ორასი!..

სამასსაც გადავცდით უკვე!

აღარ ვუმატებთ იმ მწერლებს, თავადვე რომ დატოვეს (თუ დაატოვებინეს!) მწერალთა კავშირი!

აღარაფერს ვამბობთ იმ სამას ახალ წევრზეც, საკუთარი მშვენიერი წიგნებით და ღამაზი მწერლობით რომ შემოგვიერთდა.

ჰოდა, ადგა ეს ამდენი ხალხი ერთ უღრუბლო დღეს და ჩამოაყალიბა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია!

ყრილობაც მოიწვია!

და დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ძლივს დაითანხმა თამაზ წივწივაძე სათავეში ჩადგომოდა ამ მართლაცდა მამულიშვილურ მოძრაობას.

რამეთუ: თუ ასე დამცირებული და ღამის გაქრობამდე მისული ქართული მწერლობა ფეხზე არ დადგა, საქართველოს საშველი არ დაადგება!

ეს ყველამ კარგად უწყის, თქვენს გარდა!

ლოგიკურად გაჩნდა კითხვებიც:

1. ესადაგება თუ არა ის ძველი, პოსტსაბჭოური მწერალთა კავშირი დღევანდელი მწერლობის მოთხოვნილებას?

პასუხი ერთადერთია: – არა!

2. რა გააკეთა მწერალთა კავშირის ორი წლით ვადაგადაცილებულმა ხელმძღვანელობამ მწერლებისთვის?

პასუხი: – არაფერი!

3. აკისრია თუ არა მას ამის გამო პასუხისმგებლობა?

პასუხი: – უზარმაზარი!

და იქვე, ისევ ყელყელაობენ სხვა კითხვებიც, ოღონდ იურიდიულად საკმაოდ დამძიმებული:

4. სად გააქრო მწერალთა კავშირის „ხელმძღვანელობამ“ ის მილიონნახევარი დოლარი, გამომცემლობა „მერანში“ კუთვნილი ფართის საფასურად რომ აიღო?

5. სად გააქრო და როგორ გაყიდა იგივე „ხელმძღვანელობამ“ ის უამრავი ქონება, მწერალთა კავშირს რომ ეკუთვნოდა?

6. როგორ მოხდა, რომ ეს „კაცია-ადამიანები“, ენთუზიაზმზე რომ მუშაობდნენ კავშირში, უცბად უზარმაზარი ქონების და აგარაკების მფლობელნი აღმოჩნდნენ?

კითხვა კიდევ მრავალია, რომელსაც თავის დროზე აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი და გაეცემა კიდევაც!

აი, სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი!

სწორედ ამ დღის ეშინიათ მწერალთა კავშირის „მესვეურებს“ და ათასნაირ ხრიკს იგონებენ კლასიკურად დამძიმებული თავის „ყულფიდან“ დასაძვრენად.

ამჟამად ერთ-ერთ ასეთ „ტრიუკზე“ მოგახსენებთ:

გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა იმ სამასამდე მწერლის სია, რომლებმაც საკუთარი სურვილი გამოთქვეს მწერალთა აკადემიაში გასაწევრიანებლად. ჩვენ გაგვაჩნია ამ მწერალთა საკუთარი ხელით დაწერილი განცხადებები და გვაქვს პირადი თანხმობა.

იქამდე კი განვიხილოთ „მწერლის გაზეთში“ (9, 1-30 ნოემბერი) გამოქვეყნებული განცხადება:

„ვაცხადებთ, რომ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ე.წ. „მწერალთა აკადემიის“ სიაში აღმოვჩნდით გაუგებრობის ნიადაგზე. ახლა, როცა საჭიროა პრინციპული არჩევანის გაკეთება, ჩვენ ვემიჯნებით აკადემიას (რაკი იგი მწერალთა ალტერნატიულ კავშირად ჩამოყალიბდა), ვრჩებით მწერალთა ტრადიციული კავშირის წევრებად და არსად წასვლას არ ვაპირებთ“ – ბრძანებს „მწერლის გაზეთი“.

არავითარი შერლოკ ჰოლმსობა არ ჭირდება იმის მიხვედრას, რომ ეს განცხადება მოგონილია, ყალბია და მის ავტორს კონკრეტული სახელი და გვარი გააჩნია.

ან კი როგორ მოხდა, რომ ორმოცამდე კაცმა ზუსტად ერთნაირი განცხადება დაწერა, ცალ-ცალკე კი არა – ერთად და მიართვა სოსო სიგუას: აბა, შენ იცი, სოსო, შენმა „კაიკაცობამ და პატიოსნებამ“, როგორმე გვიხსენი რევაზ კვერენჩხილაძის მიერ „აკადემიის“ კაკანათში მიტყუებული მწერლებიო!

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ პროტესტით მიმართეს იმ მწერლებმა, რომლებიც რევაზ მიშველაძის ფოკუსით, „მწერლის გაზეთში“ გამოქვეყნებულ სიაში აღმოჩნდნენ.

სამართლიანი აღშფოთების საფუძველი კი ის გახლდათ, რომ მათივე სიტყვებით: არავითარი განცხადება არ დაუწერიათ, არც არც პირად და არც სატელეფონო საუბარში მსგავსი სურვილიც კი არ გამოუთქვამთ.

ჩამოგითვლით ამ მწერალთა სახელებსა და გვარებს (ვინც „ლიტერატურული საქართველოს“ ახალი ნომრის გამოსვლამდე ჩვენთან დაკავშირება მოასწრო:

1. გასვიანი აკაკი
2. თავაძე გიზო
3. თევზაძე აკაკი
4. ივარდავა დილარი
5. კობერიძე ნოდარი
6. კორინთელი კამილა
7. მამულაშვილი ზურაბი
8. პაპიაშვილი თამარი
9. საბაშვილი შალვა
10. სივსივაძე ბეჟანი
11. სიყმაშვილი თინათინ
12. ტოგონიძე შოთა
13. შანიძე ნოდარი
14. ფხოველი ჯარჯი
15. ჩალაბაშვილი თემური
16. ჭეიშვილი გონერი
17. ჭეიშვილი რეზო
18. ჭილაშვილი ქეთევანი
19. ხარაიშვილი ავთანდილი

ძალიან სერიოზულად ვაფრთხილებთ მწერალთა კავშირის „ხელმძღვანელებს“: შეეშვით მწერლების დაშინებას კავშირიდან მათი გარიცხვით!

ამის ნება თქვენთვის არავის მოუცია და საკუთარ თავზე ძალიან ბევრს ნუ იღებთ!

თუკი, თქვენივე სიტყვებით, ამა წლის 25 ოქტომბერს მწერალთა კავშირის გამგეობამ (15 მომხრე, 2 წინააღმდეგი) გადაწყვიტა „სადამსჯელო ზომები“ მიეღო მწერალთა ეროვნულ აკადემიაში გაწევრიანებული მწერლების წინააღმდეგ, კატეგორიულად მოვითხოვთ, გამოაქვეყნოთ ეს ოქმი, გამომსვლელთა სიტყვები და ბოლოს:

ვიმეორებთ:

ჩვენ არ ვტოვებთ საქართველოს მწერალთა კავშირს!

ჩვენ ამავე დროს ვერთიანდებით საქართველოს მწერალთა ეროვნულ აკადემიაში!

და, ვემზადებით მწერალთა საერთო ყრილობისთვის, რომლის მოწვევის თქვენ ასე სასტიკად გეშინიათ, რადგან იქ მართლაც ჭეშმარიტი და საღი აზრი გაიმარჯვებს!

და მიეზღვება უფალს უფლისა და კეისარს კეისრისა! ■

გაჰომეროსობის კანდიდატი



გიორგი ოზაანელი

,ძველ საბერძნეთში შვიდი ქალაქი იჩემებდა ჰომეროსის მშობლიური ქალაქის სახელს – სმირნა, როდოსი, კოლოფინი, სალამინი, ქიოსი, არგოსი, ათენი. მაგრამ ამ დავამ ჩვენს დროში აზრი დაკარგა: დღეს ჰომეროსი თანაბრად ეკუთვნის არა მხოლოდ ამ ძველ ქალაქებს და სრულიად საბერძნეთს, არამედ მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს”.

ჰომეროსის ბიოგრაფიიდან

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მე-7 ტომი 1984 წელს გამოვიდა. ჯემალ მეხრიშვილმა როგორც კი მიიღო ეს ახალი ტომი, ინტერესით დაუწყო ფრთხილი გადაფურცლ-გადმოფურცვლა. ციმბირში და კერძოდ, ბაიკალისპირეთში მოგზაურობისას რაკი გულით შეიყვარა ბუნების ეს ნამდვილი საოცრება, მსოფლიოში ყველაზე ღრმა ტბა, ამიტომ შედარებისთვის მიჩიგანს დაუწყო ძებნა.

ჰოდა, სწორედ სტატიის ,,მიჩიგანი” თავზე მოჰკრა თვალი მწერალ **რევაზ მიშველაძის** ფოტოსურათს. აბა, ის რაღა მწერალი იქნება, მსგავს შემთხვევაში კოლეგის ასავალ-დასავალით არ დაინტერესდეს და მისი მოკლე ბიოგრაფიული სტატია სულმოუთქმელად არ წაიკითხოს!

ჯ. მეხრიშვილი უსაზღვროდ მოიხიბლა რ. მიშველაძის დაბადების ადგილით - **„ქ. სოხუმის რაიონი, სოფელი ბაბუშერა!”** უცაბედობის განცდას ის უფრო ამძაფრებდა, რომ სტუდენტობისას, ზურგჩანთითა და საძილე ტომრით ორი ღამე ბაბუშარაშიც ჰქონდა გათენებული და კარგად ახსოვდა სამურზაყანოს დაბლობზე, მდინარე პატარა კოდორის მარჯვენა ნაპირას მდებარე ეს ულამაზესი ზღვისპირა სოფელი. თუმც ცოტა შეაკრთო ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს პატარა შეცდომებმა: უნდა იყოს **ბაბუშარა** და არა **ბაბუშერა**, თანაც ეს სოფელი ქ. სოხუმის კი არა, **გულრიფშის** რაიონს ეკუთვნის, როგორც ეს ამავე ენციკლოპედიის მე-2 ტომის სტატიაში **,,ბაბუშარა”** არის აღნიშნული...

ზღვისპირა სოფელი ჯ. მეხრიშვილის შთაბეჭდილებას უფრო ამაღელვებელს ხდიდა, ვინაიდან თვით მისი მშობლიური ოზაანი ცივგომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთის კალთაზე მდებარეობს, ალაზან-ივრის შუამდინარეთში, სადაც ზღვა, ტბა ან რამე ხელოვნური წყალსაცავი-გუბურა კი არა, თვით ეს მდინარეებიც 40-55 კმ-თია დაშორებული და უწყლოობით გატანჯულ აქაურებს თუგინდ ერთი მორცხვი ფშანი ათადანბაბადან ფუჭ ოცნებად ჰქცევიათ. ხოლო ამგვარი მკრეხელური ოცნებისთვისაც კი თითქოს განგებას ქიზიყის სოფლები თაკარა მზითა და გვალვიანობით დაუსჯია!...

* * *

ამ შემთხვევიდან საუკუნის მეოთხედმა გაიარა. 2010 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა გამოსცა ,,უახლესი ქართული პროზის ანთოლოგია”. სარედაქციო კოლეგიის შვიდივე წევრს თურმე ერთხმად დაეწუნებინა ჯ. მეხრიშვილის ხუთგვერდიანი მოთხრობა და ანთოლოგიაში არ შეეყვანათ. ამის მიუხედავად, კ. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზია-ბიბლიოთეკაში შემთხვევით თვალი რომ მოჰკრა ახალგამოსული ანთოლოგიის ვეებერთელა მკვრივყდიან ტომს, კოპწია მაგიდასთან მოკალათდა და კოლეგების პატივისცემის ნიშნად მათ ნაწარმოებებსა და ბიოგრაფიებს თანმიმდევრული თვალიერება დაუწყო.

ანთოლოგიაში რ. მიშველაძის დაბადების ადგილად **ქ. ქუთაისი** იყო მითითებული!

ჯ. მეხრიშვილმა ეს რომ ამოიკითხა, გველნაკბენს დაემსგავსა: აბა, მე ბაბუშარა საიდან მახსოვს, ალბათ, სულ გამოვჩერჩეტებულვარ, თორემ სად სოფელი **ბაბუშარა**, სად – ქალაქი **ქუთაისიო!!!**

მაღაზია–ბიბლიოთეკაში ქართული ენციკლოპედია არ ჰქონდათ, იქვე რომ შეემოწმებინა. ცოცხალ-მკვდარი შინ როგორ მივიდა, აღარ ახსოვს. თაროზე ჩარაზმულ ენციკლოპედიის ტომებს შიშით ვერ უახლოვდებოდა – ხელის ხლება და მისი მეხსიერების გადაგვარების დადასტურებაც ერთი იქნებოდა! მაგრამ წინ ვინ დასდგომია სკლეროზს, ამნეზიას, სიბერეს, სიკვდილს – სიმართლისთვის თვალი უნდა გაესწორებინა! გადაფურცლა მე-7 ტომი და ჰოი, საოცრებავ – რ. მიშველაძის დაბადების ადგილად აქ მართლაც **,,ქ. სოხუმის რაიონის სოფელი ბაბუშერა”** იყო მითითებული!

ქიზიყელმა უცებ ისეთი შვება-აღმაფრენა იგრძნო, თითქოს გახურებული საკირედან ჯაჭვებით ისევ უკანვე ამოაქანესო! მაშასადამე, მეხსიერებას ჯერ არ უღალატია – ოდესღაც წანაკითხი ზუსტად ხსომებია!.. თავგადარჩენის ამ ამაღელვებელ წამებს ახლა ნამდვილი ჯადოსნური, დაუჯერებელი თვალახელაც დაერთო: ოცდამეერთე საუკუნეში მწერალი თავისი კოლეგის გაჰომეროსების მოწმე ხდებოდა! მართლაც: რ. მიშველაძე ცოცხალი და საღ-სალამათია, დასავლეთ საქართველოს ედემური კუთხეები კი მისი დაბადების ადგილს უკე ერთმანეთს ეცილებიან!!! საუკუნეების შემდეგ რაღა იქნება – მაშინ, ალბათ, მთელი დასავლეთ საქართველოს დასახლებული პუნქტები ჩაებმებიან პირველობისთვის გაჩაღებულ უშეღავათო ბრძოლაში!..

აი, რას ნიშნავს სიცოცხლეშივე გახდე შენი ხალხის უსაყვარლესი მწერალი და თითით საჩვენებელი კლასიკოსი!..

უცაბედი აღმაფრენა-ზეიმურობით გაკელაპტრებული ოზაანელი, ვინ იცის, ასე რამდენ ხანს იდგა. მერე, მოულოდნელად გულისხმაში ჩავარდნილი, გატოკდა და მუხის შეჩვეულ მორგვზე საწყლურად დაეშვა.

– ეეეჰ, ჩემითანა მაჩანჩალა მწერალმა იკითხოს, თორემ...–ბოლოს დამნაშავესავით თავჩამოგდებით ჩამომარცვლა და ყინვადაკრულ ვერხვის ფოთოლივით მოიხრუსტა, - ქიზიყის ანუ ორი რაიონის – დედოფლისწყაროსა და სიღნაღის სოფლები ერთმანეთს შეეცილონ კი არა, იქნებ ოზაანსაც ეწუნებოდეს ჩემი იქაურობა! ■

ჩუსტად, ჩუსტად, ჩუსტად!



გოგი ხარაბაძე

ის არ იყო მეგაპოლისი, ის იყო იდეალური ქალაქი, მშობელივით თბილი და ძვირფასი.

კულტურა თუ სადმე არსებობდა, იქ არსებობდა.

მთავარი ქუჩა – ეს იყო სამყაროს ჭიპი, კულტურული მიკროკოსმოსი. ჩვენ თვალწინ დადიოდა სათაყვანებელ ადამიანთა, ხელოვანთა და მოღვაწეთა კოჰორტა – ცოცხალი პანთეონი.

მიმზიდველი და ლაზათიანი იყო აივნიანი ქალაქი თავისი ღირსებებითა და მანკიერებებით, სიქველეებითა და ცოდვებით.

დრომ ნანგრევებად აქცია ჩემი იდეალური ქალაქი, დავიწყების სქელმა ფენამ დაფარა ის ადამიანური ურთიერთობები, ის ჩვენი ტკბილ-მწარე „ნინევია“, რომელიც აღარასოდეს აღდგება, აღარასოდეს განმეორდება.

მას მხოლოდ მეხსიერება თუ აღადგენს.

და აი, ვიხსენებ.

ასე მგონია, არქეოლოგი ვარ, სიყვარულის არქეოლოგი, რომელიც რუდუნებით იღებს მიწიდან უძველეს ნივთებს და თან ფრთხილობს, ეშინია, ხელში არ შემოემსხვრას წარსულის მყიფე დოკუმენტები.

სახლი რუსთაველზე

მე ვდგავარ მთაზე, მე ვდგავარ მარტო,
და მთვრალი ახალ სანახავითა,
რითი გაგართო, როგორ გაგართო
ჩემო იარალი, ის დრო წავიდა...

გალაკტიონი.

რუსთაველზე ერთნაირად არ თენდება. თენდება ისე, როგორც იქ მოსიარულე ათენებს დილას...

ამ ქუჩაზე თუ გამზირზე, რა ვიცი, რამდენ თაობას ჩაუვლია და რამდენი ჩაივლის კიდევ.

„თაობა მიდის, თაობა მოდის“

...და ყოველ ახალ მოსულს თან მოაქვს თავისი თავი – სული, სათქმელი, აზროვნება, ფასეულობა.

თავისას ქმნის – ისტორიას, ქვეყანას, ქალაქს, ქუჩას...

ისეთ წესსა და კანონს ამკვიდრებს, ისეთ სიტყვას ამრავლებს, რომლისაც სჯერა;

ისეთ სახლს აშენებს, ისეთ ხეს ახარებს, ისეთი სამოსით იმოსება, როგორი გემოვნებაც აქვს;

ისეთ ქალს აყოლებს თვალსა და გულს, ისეთ კაცს უხრის ქედს, რომელიც მისი რჩეულია;

ისეთ სალამს ამბობს, ისეთ სიმღერას მღერის, ისეთ სასმელს აჭაშნიკებს, რომელიც გულს ულაღებს;

ისეთ ანაბეჭდს ტოვებს, რამსიმაღლეც არის!

რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ჩემს რუსთაველს ეხება, ჩემი მოგონებების გაელვებაა რუსთაველის გამზირზე...

სახლი, რომელშიც დავიბადე, ეს 42 წელს, გაგანია ომის დროს მოხდა, ახლა რომ ფოსტის დიდი შენობაა, რუსთაველის გამზირზე, მის ადგილას იდგა, 33 ნომერში.

ჩვენი ფანჯრები და რკინის რიკულებიანი აივანი, მაშინ – პურის მაღაზიას, დღეს – რესტორან „მარკო-პოლოს“ უყურებდა შიგ თვალებში.

მახსოვს გათენება, რიბირაბო და გრძელი რიგები ომის შემდგომი შავი პურის ულუფისთვის.

დილით მზე შემოჩახჩახდებოდა ჩვენს მაღალჭერიან ორ ოთახში, ღამით კი „საქინფორმის“ შენობის თავზე მოკიაფე რუსულენოვანი გაზეთის, „Заря Востока“-ს რეკლამა გვიჭვრიტინებდა.

სამსართულიანი, საგულდაგულოდ შებათქაშებული სახლი, თავისი აივნებით, სადარბაზოებით, სხვენითა და ეზოთი, რომელთა ყველა ლაბირინთი ათვისებული გვქონდა ბავშვებს, მთლიანად ჩვენი „ზონა“, ჩვენი სამფლობელო იყო.



თბილისური ეზოებისა და სახლების თავისებური წყობა თვითონ გიყენებდა პირობებს, გკარნახობდა ცხოვრების ღია წესს. საერთო მარტო აივანი, საპირფარეშო ან სამზარეულო კი არ იყო, არამედ ცხოვრება. ყველაფერი ვიცოდით, რაც ერთმანეთის თავს ხდებოდა. ეტყობა, იმდროინდელი მმართველი პარტიის ინტერესებშიც შედიოდა გამადიდებელი შუშის ქვეშ რომ ეცხოვრათ კომუნიზმისაკენ მწყობრი ნაბიჯით მიმავალ მოქალაქეებს და ვცხოვრობდით კიდეც... თუ ამას ბავშვის ფართოდ გახელილ თვალებსა და უზომო ცნობისმოყვარეობას დავამატებთ, საინტერესო ნაზავს მივიღებთ. თითოეული მეზობლის საცვლები ვიცოდი ზეპირად. არა, ვინმეს კი არ ვუთვალთვალებდი, ყველაფერი თავისთავად ხდებოდა, ჩემს თვალწინ ფენდა მათ გასაშრობად პატრონი.

სუფთა იყო, განათებული, მოვლილი რუსთაველის გამზირიც და იმ შენობების ფასადებიც, რომლებიც მას ამშვენებდა, ჩვენი სახლიც, მათ შორის. რაც შეეხება „არასაპარადო“, უკანა, ბნელ მხარეს, აი, ნამდვილი შეულამაზებელი ცხოვრება იქ დუღდა. სახლს ქამარ-ხანჯალივით ერტყა ხის ფართო აივანი, სადაც ჩვენი და დანარჩენი მეზობლების კარები გადიოდა. კბილის ექიმი ლევინი, ანჯაფარიძეები, ხეჩინაშვილები, კობრავები, გულულოვები, ყრუ-მუნჯი „პრაჩკა“, „ბანდერშა“ ფლორა, თამბაქოს ფაბრიკის შეძლებული თანამშრომელი, რუსთაველის თეატრის მსახიობი, პოეტი თავისი ულამაზესი ცოლით; რუსები, სომხები, ქურთები, ებრაელები – ჭრელი, შერეულ-არეული ხალხი და მათი ყოველდღიური, თბილისური თანაცხოვრება. პატარა ეზოც სავსე იყო ჭორებით, მორიგეობით გაფენილი სარეცხით, ოთახებში „კერასინკებზე“ მოთუხთუხე კერძების სურნელით, რუსულ-ქართული შეძახილებით – „მაწონი“, „სტარი ადიოჟ პაკუპაიუ“, „ყვავილების მიწა“, „ბუტილკი, ბუტილკი“, „ბატი-ბუტი“. „კერასინ, კერასინ.“ „კერასინკა“ მაშინ სხვა ფუნქციასაც ითავსებდა. ხშირად მინახავს სხეულის გასათბობად ზედ გადამდგარი ქალი, რომელიც ბავშვისთვის ჯერ გაუცნობიერებელ, გაუღვივებელ ეროტიულ ვნებებს აღძრავდა.

დილა დახვეული კიბის თავში მდებარე ერთადერთ საპირფარეშოში რიგის დაკავებით იწყებოდა და ქუჩაში შეგროვილი, ბოლოწატეხილი ბიჩოკების ქაჩვით მთავრდებოდა ბნელ სადარბაზოებში. ასეთი სამი ჰქონდა ჩვენს სახლს. სამივე ჩაბნელებული და შარდის სუნით აქოთებული. ორი რუსთაველზე გადიოდა, ერთი – ორასმეტრიან „სამხედრო“ ქუჩაზე, რომელსაც ტრამვაის ლიანდაგი გასდევდა.

ყურთასმენა ჰქონდა წაღებული იქ მოგრიხინე დაღლილ ტრამვაის. მაგრამ მისი გამოჩენა ჩვენთვის – ბიჭებისთვის სხვა რამეს ნიშნავდა. ტრამვაიზე შეხტომა-ჩამოხტომა შიშის დამარცხების, ვაჟკაცობის გამოცდის საშუალება იყო.

ძალაც გვერჩოდა და ჩვენც ვერჩოდით ტრანსპორტის ამ „უწყინარ“ საშუალებას. რუსთაველის მხარეს თავისთვის მოძრავი ავტობუს-ტროლეიბუსები ნაკლებად მიმზიდველი იყო ამ მხრივ. აი, ბერიასდროინდელ, შავად მბზინავ „ემ-1“-სა და ბრეზენტის სახურავიან ვილისებზე კი ნამდვილად გვრჩებოდა თვალი. თუმცა მათზე ოცნებასაც ვერ ვბედავდით, იმდენი რამე გვაკლდა, ომისშემდგომ თბილისში. კი იყიდებოდა ჯიხურებში გაზეთები – „პრავდა“ და „კომუნისტი“, საკომისიოებში – ანტიკვარი, ვიღაცის ნახმარი ავეჯი და ძვირფასი ნივთები. მაღაზიებში წიგნები, ფართლეული და სხვადასხვა სახის საბჭოთა ნაწარმი, მაგრამ ტანსაცმლის, ფეხსაცმლის მაღაზიები მაგალითად, თითქმის არ იყო, თუ იყო, ისიც ცარიელი. ამიტომ წელიწადის სამ დროს – მაისიდან – ოქტომბრამდე – ფეხშიშველები, ფოხანების ამარა დავტანტალებდით. ყველაზე სასიამოვნო გართობა, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მუზეუმის, „იმელის“ შენობის გრანიტის იატაკზე სრიალი იყო, წვიმიან დღეებში. სათამაშოები წამლადაც არ იშოვებოდა. ბურთი შორიდან გვქონდა დალანდული. და ხელში რომც ჩაგვვარდნოდა, რუსთაველზე ვინ გვათამაშებდა? თუმცა, ერთხელ მეც მიყიდეს „კამერა–აბალოჩკა,“ ასე ვეძახდით ტყავის ბურთს, რეზინის

მხატვარი ***კოტე ჯაფარიძე***

გასაბერი კამერით , და დავიძარით „იმელის“ პირდაპირ, ჩიხისკენ. ერთი კარი – სამხატვრო აკადემიის კიბე იყო, მეორე – ზურგით უყურებდა გამზირს. ასე რომ, გოლი რუსთაველზე მეცა მაქვს გაჭედილი... მერე, იმ ჩიხში „სარდაფის“ თეატრსაც დავაარსებთ და „ბიბლუსის“ წიგნის მაღაზიაც გაჩნდება, სადაც აუდიო-ბიბლიის წარდგინება მოეწყობა, ჩემი წიგნებისაც.... მაგრამ ეს, ნახევარი საუკუნის შემდეგ, სხვა სახელმწიფოსა და სხვა საუკუნეში მოხდება...

ზღაპრის წიგნების უქონლობის გამო, ბავშვობამ უზღაპროდ ჩაიარა. მეზღაპრის ფუნქციას მშობლები ან იღებდნენ საკუთარ თავზე, ან არა. ჩემებმა ეს ეტაპი გამოტოვეს და სამი წლისას პირდაპირ „არწივი ვნახე დაჭრილი“ და „შვლის ნუკრი“ მაჯახეს.

ამიტომაა, ალბათ, რომ ნაკლებად მიყვარს ზღაპრები, თუმცა განსაკუთრებულ პატივს მივაგებ დიდ მეზღაპრეებს, რომელთა კალამსაც ეკუთვნის ყველაფერი საუკეთესო, რაც დაწერილა.

მამაჩემი 50-იან წლებში ცეკავშირის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნეს. მაშინ ეს დიდი და ძლიერი ორგანიზაცია იყო. თბილისის გარდა, საქართველოში ყველა სავაჭრო ობიექტი მათ ეკუთვნოდათ. ჰოდა, სადაც ვაჭრობა, იქაც მამაძაღლობა და, ეტყობა, მამაჩემს კბილი მოუსინჯეს, ჯერ არ იცოდნენ მისი უმწიკვლო პატიოსნების ამბავი და საახალწლოდ კარაქი და ბაბთიანი ბატკანი გამოუგზავნეს. სამაგიეროდ, დედაჩემი იცნობდა კარგად საკუთარ მეუღლეს და არ მიიღო ჩამოსულები. ისინიც იძულებული გახდნენ ძღვენი აივანზე, ჩვენი ბინის წინ დაეტოვებინათ. დაბრუნდა ღამით მამაჩემი სამსახურიდან, მაშინ ღამის 12 საათამდე მუშაობდნენ და ცოლს საქციელი მოუწონა. კარაქის ბედი მე არ მაღელვებდა, ბავშვობიდან მეზიზღებოდა ეგეც და „რიბი-ჟირიც“, მაგრამ აი, საწყალი ბატკანი, რომელიც მთელი ღამე ბღაოდა, დიდად მედარდებოდა. მამაჩემმა გამოთვალა მომსყიდველის ვინაობა, მეორე დღეს დილით მოვიდა კუდამოძუებული თანამშრომელი და, რაც მოიტანა, უკან წაიღო. ძალიან გაგვიჭირდა მეც და მეზობლებსაც ბატკანთან განშორება. იმათ მწვადი ენანებოდათ, მე ბატკანი, ცოცხალი არსება, რომელიც იმ უჩვეულო გარემოში, რუსთაველის გამზირზე, ხის იატაკს მიშტერებული მთელი ღამე წუხდა და შველას ითხოვდა. ■

●

– რატომაა საქართველო
მუდამ ასე კარღია?
– იმიტომ, რომ სულ სტუმრობენ,
იმიტომ, რომ კარგია!

●

ცოლი კი არა – ზეცოლი! –
ოსტატი მხრებზე ზეწოლის...

ჩაი, ჩაი, ჩაი...

დღეში რამდენს – ვუძლებ ტკივილს,
დღეში რამდენს – ვიტან ჩეფირს,
რა ძნელად და რა იოლად –
ვარსებობ და ვიტანჯები...

ცისკარი

დაფრთხიალებენ ჩიტები –
ისმის ხმატკბილი ჰიტები!

●

– მე შენი ძუძუ ხელში მჭერია...
რა გითხრა! – ახლა შენი ჯერია!

ბალანსის თემაზე

(იუმორესკა)

რა გიყოთ, მიშა ბატონო,
ვიცით ეს არითმეტიკა:
ფული ბიძინას ბევრი აქვს,
მარა შენ ლარით მეტი გაქ!

დღის/ღამის/ რეჟიმი

– წესადა მაქვს: დღის მანძილზე
გულ და ნერვებდაწყვეტილი –
დარაჯივით ავდგე ღ ა მი თ,
ვიშრომო და...
დავწვე დ ი ლ ი თ...

●

– ჩათლახებს ვკარგავ!
ვიტოვებ კარგ კაცს!
ვიტოვებ კარგ კაცს! –
სამშობლოს კ ა რ კ ა ს ს!

●

ნაძირალას, მოღალატეს,
უღირსს
კაცს სამშობლო ჩირადაც არ
უღირს!

●

იმ წუხანდელი ქარიშხლის მერე
ახლა ცა ისე მოწმენდილია –
თითქო დახვრეტას გვიპირებდნენ
და
გამოგვეცხადა მოწმედ ილია.

●

დაქალი შემხვდა წელან ბავშვობის,
გადავეხვიე... გადამეხვია...
სულის ჭრილობა გადავუხვიე!
სულის ჭრილობა გადამიხვია...

სასიცოცხლო ლექსპრომტი

კარგი რაღაცაა! –
სიცოცხლე საჭიროა! –
სიცოცხლე საჭიროა
თუნდაც საჭორაოდ!

●

– დიდი სიახლე მედიცინის! –
ეს ალბათ შენც გეცოდინება:
ფრანგმა ქირურგმა ერთ ფრანგ
პოეტს
გადაუნერგა... მოთმინება!

გაგზავნილი ბარათის ნაწყვეტი

– გამახარებ, თუ ამოხვალ
ამ წუმპიდან – ამ ომიდან,
და თუ ჯილდოდ ომის ალაფს –
შენს სიცოცხლეს ამომიტან...

●

მთლად მსოფლიო მწერლობაში
გვაქვს ადგილი საპატიო –
რუსთველით და აკაკით და
ვაჟათი და საბათიო.

●

დალია, ვინც კი ჯარისკაცია,
დალია ყველამ, ვინც სარდალია!
დალია ყველამ! – მე ასე ვიცი!
სირცხვილი მისი, ვინც არ დალია!

●

– სხვაა ცრემლი ფარისევლის
და სულ სხვაა მართლის ცრემლი!
დღეს რა დღეა, იცი, ალბათ –
იოანე ნათლისმცემლის...

●

ვნება გამიჩნდა გალასთვის
სამაგიეროს გადახდის:
ავდექი წუხელ, სიზმარში,
და მეოცედან გადავხტი!

●

– მინდა გიხილო – ედემის ბაღში
შენებურად რომ გადმოგოგდები!
ერთი სული მაქვს, ერთი სული
მაქვს,
ერთი სული მაქვს – როდის
მოკვდები!

წვეთი ვეფხისტყაოსნიდან

ისე გამოიყურება –
ვერც შეატყობ დავარს ხნეს! –
გეგონება – თმახუხუჭა –
დღეს პირველად დავარცხნეს...

●

– თუმც არა მაქვს მერსედესის,
ვოლვოსა და ჯიპის ფული –
საწყალ პოეტს რომ ეყოფა –
ყოველთვის მაქვს ჯიბის ფული!

●

– შეუძლია? – სამოთხეში
კაცს რაიმეს მიქარვა!
– შეუძლია!
– შენ რა იცი?
– როგორ, მე სულ იქ არ ვარ?!

●

გათიშოს ვინმემ ამ ორის გული –
სულაც არ არის გამორიცხული!

... მკაცრია, მკაც-რი, ამურის გული! –
მართლა გათიშა ამ ორის გული...

რეპლიკა

– ცრუ სიმღერით, ცრუ ლექსით და
იდიოტურ მაგ რეპით
ვის ატყუებთ! ისე, ბლეფში
მაგრები ხართ, მაგ-რე-ბი!

ისევ: გოდოს მოლოდინში

გოდო – წარმომადგენელი
ულეველი არმადის –
საწყენია: რახანია
ვერ მოდის თუ არ მოდის...

ადამიანი, საერთოდ,
თუმცა ყველა ცოდოა, –
სუყველაზე ცოდო მაინც,
ჩემი აზრით, გოდოა...

●

საქართველო ბოლომდე
გაატარებს ამ ხაზს! –
მუდამ გვერდით ედგება
ძმებს – ოსსა და აფხაზს!

ვაშა ირლანდიელებს

გთხოვთ, გაიხსენოთ, მცირე
ერებში
ვის ყავს მწერლები, თანაც
ეგეთი:
ჯონათან სვიფტი,
ოსკარ უაილდი,
ჯეიმს ჯოისი,
სემუელ ბეკეტი!

დიალოგი

– სამოთხეში როდის ანდა
როგორ უნდა მოვხვდეთ?
– ამისათვის, შვილო ჩემო,
საჭიროა, მოვკვდეთ!

●

– ჩვენი არსებობის გარანტია
ივანიშვილის გრანტია!

●

ვერ მოექცა იმ დღეს ზურა
საკუთარ თავს მთლად კაცურად –
მოისროლა საბანი და
მცხეთის მიწა წაიხურა...

●

– მეძინა შენთან, და სიზმარში
მეძინა სხვასთან...

●

– აყოლილები მოდერნის მოდას –
დღეს სულ ახალი თაობა მოდის...
და კვლავ გრძელდება ცვლა მოდით
მოდის!
ისე, მაგარი თაობა მოდის!

ხელჩაქნეული ლექსპრომტი

– ერთი სული მაქვს, როდის
მოვკვდები
და სამოთხეში შენთან მოვხვდები...

კეისრული

(ვენი. ვიდი. ვიკი)

– ის ეძინა დიდ ხანი,
მე გეძინა ცოტ ხანი!
გამეღვიძა! მამინდა!
მიველ! ნავხე! მოთხანი!

●

სანამ ის ასი ჩათლახი
აფხაზი რუსეთს ლიქნის –
რუსის იქნება აფხაზიც
და აფხაზური ლ ი ხ ნ ი ც!

დღიურებიდან

დღეს კამიუს „სამუშაო
კაბინეტში“ შევიჭერი –
ხან – თავიდან, ხან – ბოლოდან
ვატრიალე „შავი ჭირი“...

ყოველი ამაო...

საფლავების ცუდი ქვითა,
საფლავების კაი ქვითა –
საბოლოოდ ყველაფერი
გასწორდა და გაიქვითა...



ტარიელ ჭანტურია

●

ნაციონალები მართლა
მაგრად შეხვდნენ გამოწვევებს! –
წველეს, წველეს საქართველო
და ბოლომდე გამოწველეს...

●

ყველა ქმარი – ქმარია?
ყველა ცოლო – ცოლია? –
მაგალითი ცოლ-ქმრობის –
ი ლ ი ა დ ა ო ლ ი ა !

სადღეგრძელო

– ბიჭია თუ გოგოა თუ
ქალია თუ კაცია –
გაუმარჯოს ყველას ერთად,
ვინც ბრძანდება ცაცია!

ეჭვიანი ლექსპრომტი

ერთად დასეირნობენ
ის ბოზი და ეს ბოზი!
ამ ტანდემს რომ ვუყურებ,
მახსენდება ლ ე ს ბ ო ს ი !

●

. . . მეც მათ მიპატიჟებაზე
სისხამ დილით ვდგებოდი –
მაღვიძებდნენ კირკეგორი,
კაფკა, კოკტო, კეპოტი...

●

დიდებული ეს ლექსები
ედგარ ალან პოესია! –
ჩახედავ და უკვე იცი,
ხალხს რად უყვარს პოეზია!

●

პოკერისტმა ცნობილმა
ცოლს საკუთარს უბლეფა!
უღალატოს ქმარს ბლეფისტს –
ცოლსაცა აქვს უფლება!

ბორია მჭედელი

მთელი კვირა რკინა კვერა,
როგორც იქნა, გამოკვერა!
წავიდა და
იპოვა და
ცოლის კურო გამოყვერა!

რუსთაველის თეატრი

რა დიდია ჩვენს ყოფაში
ამ ბრწყინვალე დასის როლი:
გვაგრძნობინა – რა მწარეა
და რა ტკბილიც – დასასრული...

მეხსიერების თემაზე

ხომ ვივიწყებ ბრიყვის პასკვილს!
ხომ ვივიწყებ წაგებულ ფულს!
ასე რატომ ვერ ვივიწყებ
სუფსის პირს და ჭალის ბულბულს...

ლუპიანა

გივი ალხაზიშვილი

ლუპიანმა მწერალმა ამბავი მოიტანა: ლევან ბუტკელი გამოჯანმრთელდა; მართალია, ცოტა გამოლენჩებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ აშკარად უკეთესადაა, დიდის ამბით დაუბრუნდა თავის საკანცელარიო საქმეს და ახლა შეიძლება მშვიდად მოკვდეს კაცი იმის იმედით, რომ ბუტკელის ნეკროლოგი განაღდებული ექნება. ლუპიანა მთელ დღეებს მწერების შესწავლასა და თვალიერებაში ატარებდა. დიდ ხანს დარდობდა ტარაკანის მარცხენა მეორე ფეხზე, ხოლო მაისის ხოჭოს ბზუილი საამურად ჩაესმოდა ტახტზე მითვლემილს და იმ ბაღს ახსენებდა, სადაც ბავშვობაში ტოლებთან უყვარდა თამაში. ღატაკი ცხოვრება ლუპიანასაც შეეხო და ერთი მისი ყოფილი სატრფო, რომელიც ძლივს მიათრევდა უზარმაზარ ჩემოდანს /უკანალს/ და შემთხვევით შემოხვდა პარნასკავშირისკენ მიმავალს, ძლივს შეიცნო და გალუპებული თვალით ჩააშტერდა ჯერ სახეში, მერე კი ჩემოდანიც დაუთვალიერა. უბედურებაა, გაიფიქრა, ამასთან რა მაწვენდა/?! ქალიც იმავეს ფიქრობდა, ოღონდ ოდნავ განსხვავებულად, რას დამგვანებია ეს უბედური?! გაახსენდა აღმუვლებული ლუპიანა და ჩაიცინა. ქალი პროზაიკოსად თვლიდა თავს, თუმცა, სამოცდაათი წლისას სამი უსუსური ნოველა ჰქონდა დაწერილი, მაგრამ, რახან პარნასკავშირის წევრი იყო, ზნაჩიტ, მწერალი ბრძანდებოდა, რადგან იქ ასე იყო მიღებული. ისე, კაცმა რო თქვას, ბუტკელს უფრო ეკუთვნოდა პარნასკავშირის წევრობა, ამდენი ნეკროლოგისა და სახოტბო, საიუბილეო მისალოცების ავტორს, ვიდრე ამ მოსულელო მწერლუკებს.

ლუპიანამ ბუტკელს ურჩია ცალკე წიგნად გამოეცა – პირველ ტომად ნეკროლოგები, ხოლო მეორეში შეეტანა საიუბილეო მისალოცები. მაშინ ბუტკელმა დაირცხვინა, მაგრამ იდეა მოეწონა და სპონსორის ძებნაც დაიწყო. ლუპიანამ რომ ეს გაიგო, უფრო წააქეზა: „მიაწექი მაგ საქმეს, უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ, ამდენ მწერალს ერთად გააცოცხლებ, იმდენს კიდევ მიულოცავ!“

ლუპიანა თან ამ თემაზე ფიქრობდა, თანაც ყოფილ სატრფოს სტანდარტულად შესციცინებდა. გაზონზე ფრთამოტეხილი პეპელა აღმოაჩინა და ისედაც არასასურველ ქალს სასწრაფოდ გამოეთხოვა და გაზონისკენ გაეშურა. პიჯაკის წინა ჯიბიდან ლუპა დააძრო, სულ რომ თან დაჰქონდა ბოლო დროს, და პეპლის თვალიერებას შეუდგა. საწყალი, დარდობდა ლუპიანა. მერე პოლიციელი გამოჩნდა და გაზონიდან გამოსვლა უბრძანა: „თქვენ აზიანებთ ახლად დარგულ მცენარეებს, მოქალაქევ, გადმოდით გაზონიდან!!“ „დაჭრილს ვეხმარები, როგორ მიბედავთ?!“ მომაკვდავი პეპელასკენ გაიშვირა ხელი. „რა დაჭრილი, რის დაჭრილი, ნერგები დააზიანეთ და უნდა დაგაჯარიმოთ“. ლუპიანამ შენიშნა, პოლიციელს ცხვირზე გრძელი თმა ჩამოკონწიალობდა, მოუბოდიშა, სტაცა ხელი და ელვის სისწრაფით მოაძრო თმა, რომელიც, თუ ლუპიანას დავუჯერებთ, სიგრძით ათიოდე სანტიმეტრს აღემატებოდა. პოლიციელი გაოცებული შეჰყურებდა უცნობ დამნაშავეს, რომელმაც ახლა ყურზე სტაცა ხელი და თან გაიძახოდა: „ეს უფრო გრძელი უნდა იყოს!“ პოლიციელმა, როგორც იქნა, თავი დაიხსნა გიჟისგან, ასე თვლიდა იგი, და გაიქცა ქუჩის მეორე მხარეს. ლუპიანა დაედევნა: „ყურზე უფრო გრძელი თმა გაქვთ, ვიდრე ცხვირზე“. ამ სცენას შორიდან ადევნებდა თვალს ქალბატონი, სამი უსუსური ნოველის ავტორი, შესანიშნავად, საკუთარი გამოცდილებით იცოდა ლუპიანას აკვიატება და არაფერი გაკვირვებია, თანაგრძნობით შესცქეროდა პოლიციელს.

ლუპიანას შეეძლო ახლად ნაოპერაციევ კოლეგაზე ეთქვა: „აი, ამას გული დაუჟანგდა და სამი დღის წინათ გაუქლიბეს; თურმე სამი საათი ქლიბავდა ორი ექიმი, თან მორიგეობით. ერთი რომ დაიღლებოდა, მეორე ჩაენაცვლებოდა და ხეხავდნენ და ხეხავდნენ, სულ ხრჭიალი გასდიოდა დაჟანგულ გულს.“ ლაპარაკს უცბად შეწყვეტდა, როცა რომელიმე ფეხ- თუ ფრთამოტეხილ მწერს შენიშნავდა, ლამის მოთქვამდა მათი სიბრალულისგან და შინ მიჰყავდა პირველადი დახმარების აღმოსაჩენად. გამოგიტყდებით, რომ ლუპიანას ადამიანებზე მეტად მწერები უყვარდა და თვითონაც მწერივით ცხოვრობდა იმ სიტყვიერ ნაგავში, რაც გონებაში უფუთფუთებდა საძულველი ადამიანების დასაცინად, დასამცირებლად თუ გასაკილად.

როცა ვინმე შეხვდებოდა, დიდი ამბით მოიკითხავდა, თან სახეს უთვალიერებდა გულდასმით და უცებ, გაუფრთხილებლად ჩააფრინდებოდა გაოგნებულ თანამოსაუბრეს წამოზრდილი თმის, მუწუკის თუ ჩვეულებრივი ფერიმჭამელას მოსაშორებლად.

როგორც ახლახან შევიტყვე, ტარაკანების დაწყვილებაზე ხუთასგვერდიანი წიგნი დაუწერია და თან დაუკვეხნია: „ახლა მაისის ხოჭოზე ვწერ ვრცელ რომანს“.

ერთხელ მთაწმინდის პანთეონში შევხვდით. 26 მაისის მზიანი, თბილი დღე იდგა, კოლეგებს ვესაუბრებოდი. უცებ მომვარდა და ხელკავით, ლამის ძალით გამიყვანა, „რაღაც უნდა გაჩვენო, წამომყევი.“ საფლავებ შორის ორი თავისუფალი ადგილი მაჩვენა – ერთი მომცრო, ხოლო მეორე ოდნავ დიდი და ყურში ჩამჩურჩულა: „აქ იმას დავმარხავ, რომ მოკვდება, ხოლო იმ პაწაწინა ადგილას – იმ ცეროდენას.“ ორი ძალიან კარგი პოეტი დამისახელა, რომელთაც ბრალს დებდა, რომ იგი რუსთაველის პრემიაზე გააშავეს. შურისძიებით უბრწყინავდა თვალები და წვრილად აღწერდა ჯერ ერთის და მერე კი შემდეგის დაკრძალვის დეტალებს. „აი, აქ ჩაეტევა ის დედამოკლული“! მაშინ ორივე ცოცხალი იყო, ახლა ერთიღა დარჩა ცოცხლებში და იმის გასანადგურებლად წამების სიტყვიერ ვარიანტებს იგონებს და მთელი ეშხით ჩართულია თხრობაში.

გამოგიტყდებით, რომ გვიან მივხვდი, თვითონ, ყოველგვარი მეტამორფოზის გარეშე, ორ-ფეხა ხოჭოდ ქცეულიყო და მწერის საცეცებივით მარჯვედ იყენებდა ზიზღით გაჟღენთილ სიტყვებს, ამავე საცეცებით ძვრებოდა მათ სხეულებში და თან იმდენად აქტიურად, საუბრისას ველარავის ამჩნევდა, გარდა საკუთარი წარმოსახვისა.

მოულოდნელად დავემშვიდობე და ვთხოვე, როცა ბუტკელი ნეკროლოგებისა და საიუბილეო მისალოცი წერილების რჩეულს გამოსცემდა, აუცილებლად ეცნობებინა ჩემთვის, რომ არ გამომპარვოდა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა და უიმწიგნებოდ არ დავრჩენილიყავ.

გზად სიტყვა დამაწია: „ჩემი წიგნი არ გაინტერესებს მწერებზე?“ თანხმობის ნიშნად თავი უხალისოდ დავუქნიე და, რაც პირზე მომადგა, ეს მარტივი კითხვითი წინადადება გახლდათ: „რა უნდა ჩემგან ამ მეტარაკნეს?! მართლა მაგრად გამიტარაკნა საქმე ამ ბითურმა!“ ■

მწოლ-კმარი

სოფლის განაპირას, ტყის სიახლოვეს, ერთ პატარა სახლში უცნაური მწოლ-კმარი ცხოვრობდა. შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ არას დარდობდნენ და იყვნენ ასე უშვილძიროდ. დღისით ცოლ-ქმარი ერქვათ, ღამით კი მწოლ-კმარი. დროდადრო დღისითაც მწოლ-კმარი იყვნენ და ღამითაც, მაგრამ შვილი არა და არ უჩნდებოდათ, ამიტომაც თანდათან გაუქრათ კიდეც მოლოდინი და ისე ერთობოდნენ. ცოლმა დაარქვა თავის ქმარს კმარი, რადგან, როგორც დაასკვნა, მრავალი გართობის შემდეგ თვითკმარი გახლდათ და ეს მეტსახელი ზედგამოჭრილი ჩანდა მისთვის, მწოლიც თვითონ მოუგონა საკუთარ თავს, ოღონდ არავინ, კმარმაც კი არ იცოდა.

კარსმომდგარი ტყის შრიალი ღია ფანჯრებში შემოდიოდა და შემოჰქონდა ასწლოვანი ხეების სუნთქვა, ფოთლების, მერქანთა, კენწეროთა სურნელი და კიდევ რაღაც ან იქნებ ვიღაც, რასაც თუ ვისაც სახელს ვერ არქმევდა თვლემამორეული ქალი.

ერთხელ მწოლმა ისეთი სიზმარი ნახა, რომ ნამდვილისგან ვერ გამოარჩია. მიდიოდა ტყისპირა ჩირგვნარში ბილიკ-ბილიკ ფიჩხის მოსაგროვებლად, როცა სადღაციდან ხმა შემოესმა და სიტყვები მკაფიოდ გაიგონა:

თუ შვილი გინდა მოგცე, შედი ქოხში, გზად რომ დაინახავ და მეტყევის მოსვლას დაუცადე,

მისგან მოგეცემა შვილი, შენ ქმარს კი ნურაფერს ეტყვი.

ჩაფიქრდა ქალი, შეწუხდა, აღარ იცოდა, რა ექნა, შვილი ისე უნდოდა, ისე ენატრებოდა, დედობის მადლი შეეგრძნო, რომ თითქმის გადაწყვიტა, იდუმალ ხმას მინდობოდა. კარგა ხანს ორჭოფობდა, ფეხი უკან რჩებოდა, მაგრამ ნელ-ნელა, ძალაუნებურად, მაინც ქოხისკენ მიიწევდა. ამ ყოყმანსა და იმის ფიქრში, ქმარს როგორ ვუღალატოო, მიადგა კიდეც ქოხს, შეაღო კარი და შეაბიჯა. მიიხედ-მოიხედა და, რადგან უქმად დგომა არ უყვარდა, შეუდგა იქაურობის მილაგებასა და დაგვას. სადილიც გაამზადა, ხმიადი გამოაცხო, დოქით ღვინო შემოდგა ტაბლაზე და ტახტზე წამოწვა. ისე გაშინაურდა, თვითონაც უკვირდა, აქ ხომ არ ვცხოვრობდი ადრე და ველარ ვიხსენებო.

ქალმა ფეხის ხმა გაიგონა თუ არა, ტახტიდან წამოხტა და იქვე უხერხულად აიტუზა.

შემოვიდა მეტყევე, ქალს შეეგება:

– აი, შენც შინა ხააარ. მოდი, ხელი დამაბანინე.

ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ტყისპირა სახლში და ქალს ვერ გაერკვია, როდის იყო შინ, იქ თუ ამ სახლში, რადგან არც მეტყევე ეუცხოვებოდა და არც კმარი, ოღონდ არ იცოდა, მეტყევეც კმარი იყო თუ უკმარი. სურვილი უცებ გაუჩნდა ქალს, ისე, რომ მოელოდა კიდეც ჟამის ისე წადინებას, რომელსაც ორივე გადაჰყვებოდა უჩინარ დროში. ასეც მოხდა, მაგრამ ქალი იმ დროში ჩარჩა, სადაც გააღწია მეტყევესთან ერთად და, როცა თვალი გაახილა, ტახტზე იწვა, ოღონდ არა მეტყევის ქოხში, არამედ იმ სახლში, საიდანაც გაურკვევლი დროის წინათ გავიდა და, როდის და როგორ დაბრუნდა, აღარ ახსოვდა. კმარი შინ იყო და მწოლი რომ ტახტზე დაინახა, მიელაქუცა, მაგრამ მწოლი იმ ბურანიდან ჯერ ვერ გამოსულიყო და კმარი ცივი უარით გაისტუმრა.

– ავად ხომ არა ხარ? – იკითხა გაკვირვებულმა და პასუხს აღარ დალოდებია, ეზოში ისე გავიდა გულის გასაქარვებლად.

ქალი ჩამოცურდა ტახტიდან, მაგიდას მიუჯდა და უნებლიეთ ამოიღიღინა, რაც კი სათქმელი ჰქონდა,

თვითონ რომ ესმოდა მხოლოდ და სხვას არავის და კიდევ იმას, ვინც არ ჩანდა, და იქვე იგულისხმებოდა. ხვდებოდა, რომ თვითონ აღარ იყო მწოლი და არც მისი ქმარი გახლდათ კმარი. საღამოს ისევ მიელაქუცა კმარი, მაგრამ ისევ უკუაქცია მწოლმა და ამის შემდეგ იგი აღარც გამოჩენილა.

ქალი ყოველდღიურად აუყვებოდა ტყისპირა ჩირგვნარს, დაადგებოდა ტყისკენ მიმავალ ბილიკს, მიაღწევდა მეტყევის ქოხამდე, შეაღებდა კარს და შეაბიჯებდა, მერე კი იწყებდა იმის ლოდინს, ვინც მოვიდოდა და ვისთან ერთადაც გადააღწევდა იმ დროში, საიდანაც აღარ უნდოდა გამოსვლა.

ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ერთხელაც იქ არ დარჩა სამუდამოდ, საითაც მიდიოდა ბილიკით, ყოველდღიურად რომ გაივლიდა მეტყევის ქოხამდე და ვეღარც ბალახსა და ყვავილებს იხსენებდა, ვეღარც მეტყევის ალერსს, აღარც თავი ახსოვდა, რადგან დაეკარგა და იმ დროს შეემატა, რომლის სახელი არავინ იცის და თანდათანობით რომ ყველას ისაკუთრებს.

მიემატები შენც იმ დუმილს თანდათანობით,

რომელიც გაჩნდა არქაული სიკვდილის შემდეგ... ■



(გაგრძელება)

დიდი ხანია, ლიტერატურამ ჟურნალ-გაზეთებიდან ინტერნეტ სივრცეში გადაინაცვლა. ახლა გაცილებით უფრო მეტი მხატვრული ნაწარმოები თავსდება სხვადასხვა საიტზე, ვიდრე - პრესის ფურცლებზე.

ამ პროცესმა ერთი დადებითი ასპექტი მართლაც მოუტანა ლიტერატურას – ერთმანეთთან უფრო დააახლოვა ავტორი და მკითხველი და მათი ურთიერთობა უფრო ინტერაქტიული გახადა.

დღესდღეობით, საინფორმაციო ბაზარში სოციალური ქსელების აბსოლუტურმა მონოპოლიამ ყველა ბეჭდური გამოცემა აიძულა, რამენაირად დაკავშირებული იყოს სხვადასხვა საიტთან. სწორედ ამ მიზნით თავსდება „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული მასალები სხვადასხვა ინტერნეტსაიტებზე.

დარწმუნებული ვართ, გაზეთის მკითხველს ძალზე აინტერესებს, თუ რა გამოხმაურებები აქვს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიებს სოციალურ ქსელში.

სწორედ ამიტომ, შევქმენით ყოველთვიური რუბრიკა – **მკითხველის ხმა** – რომლის ფარგლებშიც ჩვენი გაზეთის მკითხველს საშუალება მიეცემა, ბეჭდური სახით გაეცნოს კონკრეტულ ნაწარმოებზე ინტერნეტმკითხველის გამოხმაურებას.

„ლიტერატურული საქართველოს“ ამ წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ლექსო დორეულის კრიტიკული წერილი: „ვირის კავშირი ლირასთან“, რომელიც 1 თვის განმავლობაში ლიდერობდა ორი ყველაზე პოპულარული ლიტერატურული საიტის – urakparaki.com და literature.lit.ge – თავფურცელს. ხსენებული წერილს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. მათმა დიდმა ნაწილმა კი გაიზიარა კრიტიკოსის მიერ გამოთქმული მოსაზრებები (შეგახსენებთ, რომ ლექსო დორეულმა მწერალთა კავშირის მიერ ჩატარებულ ახალაგზრდა პროზაიკოსთა კონკურს „ალავერდის“ კორუმპირებულობა გამოამჟღავნა და საზოგადოებას ამცნო უპრეცედენტო პლაგიატისა და ჟიურის წევრთა გაუგონარი არაკომპეტენტურობის შესახებ, რაც გამოიხატა ცნობილი არგენტინელი მწერლის, ალვარო იუნკეს ცნობილი მოთხრობის – „საფრთხობელები“ – ზემოხსენებული კონკურსის კრებულში დაბეჭდვასა და მისი საუკეთესო ოცდაათეულში ვერმოხვედრაში) მწერალთა კავშირთან მიმართებით. თავისი აზრი გამოთქვა უამრავმა ნეიტრალურმა მკითხველმა და მწერალმა. კომენტარების საერთო რაოდენობამ კი რამდენიმე ასეულს გადააჭარბა.

„ლიტერატურული საქართველოს“ დღევანდელ ნომერში მკითხველს სტილის სრული დაცვით ვთავაზობთ ამ გამოხმაურებების მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილს.

ლექსო, შენს გვერდით ვართ! ეს მწერალთა კავშირი ერთი დიდი ცირკია! ძალიან მაგარ კრიტიკას წერ, სულით და გულით შენთან ვარ!

შენი ბასრი კრიტიკული ენის ამბავი რომ ვიცი, დარწმუნებული ვარ, ბატონ დავითს კარგი დღე არ დაადგება, წირვას გამოუყვან, როგორც ბევრს დამართე. ზოგს აკანკალებს უკვე შენი კრიტიკის გაგონებაზე.

ავტორი: **მიხეილ ჭიჭინაძე**

ჩემთვის ძალზე გულსატკენია ის ფაქტები, რომელიც მოყვანილია პოეტ ლექსო დორეულის პრობლემურ და დამაფიქრებელ წერილში, ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, არ გახლდით ახალგაზრდა მწერალთა გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის ჟიურის წევრი, მაგრამ პოპულარიზაციას ვუწევდი და ვგულშემატკივრობდი მას, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას და ამასთან დავამატებ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ჟიურის თითოეულმა წევრმა.

ავტორი: **დავით შემოქმედელი**

ამ ფაქტზე, რა თქმა უნდა, კამათიც არ შეიძლება და ძალიან კარგია, რომ ლექსომ, ახალგაზრდა, უნიჭიერესმა შემოქმედმა ამოიღო ხმა, რათა მომავალშიც იგივე არ განმეორდეს. სიმართლე გითხრათ, მეც მაწუხებს კონკურსების ბედი და მინდა ყოველთვის მაღალი კლასის პროფესიონალები იყვნენ ჟიურიში. უმრავლესობას, სამწუხაროდ, ყველაზე უკეთესი შემოქმედი გვგონია თავი და ვერ ვეგუებით კონკურსებში წარუმატებლობას. ვერცერთი კონკურსი რომ ვერ გამოდგება მწერლის შემოქმედების შემფასებლად, ცხადია, მაგრამ იმის აღიარებაც უნდა შეგვეძლოს, რომ ვიღაცამ ჩვენზე უკეთესი ლექსი დაწერა. ახლახან „ხვარამზეობის“ კონკურსში, 15 პოეტის ლექსში, ჩემიც მოხვდა და გამიხარდა. სამაგიეროდ, ვერ მოვხვდი სამეულში. გულწრფელად ვთვლი, რომ ოთხივეს (გრანპრი) ლექსი სჯობდა ჩემს ლექსს და, ამდენად, გულიც არ დამწყვეტია. უნდა მივეჩვიოთ, რომ ვიღაც ჩვენზე უკეთესია.

ავტორი: **მარინა თექთუმანიძე**

რა თქმა უნდა, ვეთანხმები ლექსოს და არა მარტო ვიზიარებ მის აზრს, არამედ ახალგაზრდა შემოქმედთა კავშირის სახელით მოვუწოდებ ყველა შესაბამის ორგანიზაციას, რომლებმაც ხელი შეუწყო ამ ავადსახსენებელი კონკურსის („ალავერდის“) დაფინანსებას, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს უნიჭობის ზეიმი!

ავტორი: **ჯარჯი შუქიაური**

ლექსო, შენი სტატია ძალიან მაგარია! კარგი იქნება, თუ დისკუსიის მასშტაბები გაიზრდება და რაც შეიძლება მეტი ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდები მიიღებენ მონაწილეობას, ბოლოს და ბოლოს, შენმა ზუსტად ნათქვამმა სიმართლემ, შესაბამისი ნაყოფი ხომ უნდა გამოიღოს!..

თითქმის ყველაფერში გეთანხმები, მაგრამ რამოდენიმე კითხვა მაქვს შენთან: როდესაც ჟიურიში (მხატვრული ტექსტის შემფასებელთა რიგებში) არიან ისეთი ლიტ. იმბეცილები, როგორებიცაა: (სახელებსა და გვარებს არ ჩამოვთვლი, მეტისმეტი გასაგებობისა და უფროს-უმცროსობის მარადიული, დაუწერელი კანონის გამო! თუმცა ყველას არც ვგულისხმობ!), რომელთაც, მაღალი ალბათობით 60-70 წლების შემდეგ წიგნი არ წაუკითხავთ (თუმცა, როგორც თქვენ აღმოაჩინეთ, თურმე არც მაშინ იკლავდნენ თავს), ვერ გამოვიდნენ სოციალისტური რეალიზმის კორიფეების: ლეო ქიაჩელის, დემნა შენგელაიას, ალიო მირცხულავას, ხუტა ბერულავას, არ გაგიკვირდეთ და გიორგი შატბერაშვილის და. ა. შ. ლიტერატურული მიზიდულობის ორბიტიდან, სამიანზეც ვერ ერკვევიან ვერცერთ თანამედროვე ევროპულ ლიტერატურულ მიმდინარეობაში, ისეთ ყბადაღებულშიც კი, თითქმის უკვე მოძველებულში, როგორიცაა მაგალითად, პოსტმოდერნიზმი, არ იციან ლიტერატურის თეორია (დარწმუნებული ვარ სოსიური, პოლ დე მანი, ბარტი და ჟერარ ჟენეტი არც გაუგიათ), არა აქვთ კრიტიკოსისთვის აუცილებელი ალღო ნიჭიერების და უნიჭობის გასარჩევად, და ა. შ. დაუსრულებლად!.. (შედარებით ახალგაზრდები უარეს დღეში არიან, 60-70 წლებშიც კი არაფერი წაუკითხავთ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი მაშინ დაბადებულებიც არ იყვნენ, ე. ი. მათ საერთოდ არაფერი წაუკითხავთ!), - მოკლედ, არაკომპეტენტურობის ამ ჭაობში, მეტს რატომ უნდა ველოდოთ?

ერთხელ ლევან ბერძენიშვილმა თქვა ჩვენს მთავრობაზე, მსოფლიოში ისეთი პატარა თარო არ გაუკეთებიათ, მათ მიერ წაკითხულმა წიგნებმა რომ შეავსოსო . . . გიკვირს „რაღაც“ რომ „გაეპარათ“? მე ის უფრო გამიკვირდებოდა, რომ არ „გაპარვოდათ“. „გაეპარათ“ კი არა, აზრზე არ არიან! მე თუ მკითხავ, ვინმე შიო უგულავამ კარგი საქმე გაუკეთა ქართულ ლიტერატურას, თავისი „პლაგიატით“ თუ მისტიფიკაციით ბოლომდე ახადა ფარდა ბევრ რამეს... ამიტომ, ჩემთვის პირადად აუცილებელია წინასწარ ვიცოდე, ვინ არიან ჟიურის წევრები, რადგან ლიტ. იმბეცილების „მსხვერპლი“ არ აღმოჩნდეს ჩემი მოთხრობა, რომელიც ბოლო „ალავერდში“ უკვე აღმოჩნდა...

ჩვენი ბრალია, არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა სახელგატეხილ კონკურსებში, სადაც იმარჯვებს ისეთი ტექსტები (პიროვნულად არავის ვეხები), რომლებიც ასე იწყება: „მიწის სუნი ასდის ამ მარტოობას და ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ადამიანებმა მიწასავით გამომიყენეს. ნაადრევად დამბარეს, დამფარცხეს, დამმარგლეს და ახლა, როცა მოსავლის მოწევნის ჟამი დადგა, მომინდა სოიოს მარცვალივით მიმობნეულ წლებზე ზერელედ გადამეხედა. შევძრწუნდი, ღმერთმანი!“, ახლა მეორე: „ალბათ მხოლოდ მომაკვდავები შეიგრძნობენ ხოლმე თუ რა მშვენიერია სიცოცხლე... და როცა ყველაზე მეტად გინდა, სწორედ მაშინ აღარა გაქვს დრო...“ - ლექსო, ეს უარესი არ არის უგულავას შემთხვევაზე?

P.S.

სიმართლე გითხრათ, როგორც წესი, არ მიყვარს ხოლმე ამგვარ დისკუსიებში მონაწილეობა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ვერ შევაკავე სათქმელი ჩემში!

ავტორი: **ოთარ ჯირკვალიშვილი**

მიხარიხარ ლექსო, ახლა უკვე საჯაროდ გიხდი მადლობას იმისთვის, რომ ამ „რთულ“დროს არ ჩუმდები!

ავტორი: **მარიტა სახლთხუციშვილი**

ძალიან კარგი კრიტიკაა ლექსო, ბევრი ადამიანის სათქმელი ითქვა, როგორც შენ თქვი, ყველა ერთად უნდა დავდგეთ, რადგან მწერლობა ყველას საკუთრებაა. ვიზიარებ შენს აღშფოთებას და მოვითხოვ ზემოთ აღნიშნული სამართლიანი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს!):

„საქართველოს მწერალთა კავშირმა ოფიციალურად, პოპულარული მასმედიის წყაროების (როდესაც ვამბობ, პოპულარული-მეთქი, ცხადია, არ ვგულისხმობ, მაგალითად, საქართველოს მწერალთა კავშირის „მწერლის გაზეთს“) საშუალებით (პრესა, ინტერნეტი, ტელევიზია, რადიო...) ქართველ ხალხს, არგენტინის მთავრობასა და საზოგადოებას მოუხადოს ბოდიში;

2) სასწრაფოდ განადგურდეს „ალავერდის” დარჩენილი ტირაჟი;

3) სამსახურეობრივი გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის გამო, მწერალთა კავშირში დაკავებული თანამდებობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დატოვოს კონკურს „ალავერდის“ ჟიურის ყველა წევრმა;

4) კონკურს „ალავერდის” ჟიურის წევრებს აეკრძალოთ მინიმუმ 5 წლის ვადით ყველა ლიტერატურულ კონკურსში ჟიურის წევრობა.“

ავტორი: **ფიქრია ფირცხალაიშვილი**

... მაშინ ასევე წარმატებით შეგვიძლია დავუშვათ ზემოხსენებული უკუმოპარვის ვარაუდი. თქვენი „მსჯელობა“ კი (არ მიწყინოთ-მეთქი, უნდა მეთქვა, მაგრამ გადავიფიქრე; სწორედაც რომ, უნდა გეწყინოთ, გეტკინოთ და ეგება, მიხვდეთ), ამართლებს რუსულ გამოთქმას: „კაჟდიი რასსუჟდაეტ პო მერე სვოიეი ისპორჩენნოსტი”... და მაინც, რა კავშირი აქვთ ოცეულში მოხვედრილ იუნკეს, ოცეულში ვერმოხვედრილ უგულავას და ლექსო დორეულის მიმართ მართლაც შურისა და ღვარძლით სავსე წერილის უვინაოდ ხელმომწერ ოც „მწერალს” ერთმანეთთან. რა და - არაფერი!!! იმიტომ, რომ ალვარო იუნკე მწერალია! დროა ვიცოდეთ, რომ მწერლობა კავშირის არწევრობა-წევრობიდან კი არა, კალმის წვერიდან იწყება! მწერალი ღირსებაა, მწერალს უფლის ბაგიდან ადამიანის გულამდე მოაქვს სიტყვა. სიტყვა კი, ღმერთია! ვცდილობდი, ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ პრობლემა სხვარიგად მომეგვარებინა, მაგრამ ჯერ სასულიერო პირების არაინფორმირებულად, გნებავთ არასწორი ინფორმაციის დატვირთვით ჩაბმამ, შემდეგ კი, რაც ყველაზე საზარელია (ცუდია იმად, რომ ახალგაზრდებში დიდი დაპირისპირების საბაბი შეიძლება გამხდარიყო და დიდ საფრთხეს შეიცავდა, მაგრამ საბედნიეროდ მომეცა საშუალება მათ ერთ-ერთ საუკეთესო წარმომად-

►► დასასრული მე–12 გვ.

▶▶ *მე–11 გვერდიდან*

გენელთან გასაუბრებისა და მათ ყველაფერი სწორად შეაფასეს), ახალგაზრდა მწერალთა ერთი ჯგუფის არასწორმა ინფორმირებამ და, სულ ბოლოს, საიდუმლო ამ ოცი მწერლის ღვარძლით სავსე წერილმა და მოღწეულმა ხმებმა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ვაიმწერალი ჩემზე, ლექსო დორეულსა და კიდევ ვიღაცებზე რბილად რომ ვთქვათ, არც თუ ისე სასიამოვნო ლექსიკით საუბრობენ, მაიძულა ამ წერილის დაწერა! რადგან მიმაჩნია, რომ მუშტი მორაგბეებმა მოედანზე უნდა იხმარონ კამათისას, რადგან მათ იქ კალამს არავინ შეუტანს. სამწერლო „მოედანზე" კი ასეთ იარაღად კალამი ითვლება. ხოლო ბილწსიტყვაობა ბილწი ადამიანების იარაღია. ამიტომ ყოველგვარო ინტრიგების ხლართვასა თუ ადამიანების შეურაცხყოფას სჯობს, ვიფიქროთ, რამ დააწერინა ლექსო დორეულს ეს წერილი. ეგებ, ეს წერილი, მხოლოდ იმ შეცდომების აისბერგის მხოლოდ მწვერვალია, რომელი შეცომებითაც ასე უხვადაა არა მარტო მწერლობის, არამედ მთელი საქართველოს ვაიყოფა მოფენილი. ამიტომ, ყველა, ვისაც გული შესტკივა საქართველოსა და ქართულ მწერლობაზე (მწერლობა ხომ ერის სახე უნდა იყოს), გამოვთქვათ ჩვენი აზრი, რათა შევძლოთ მართებული ცხოვრება.

ავტორი: **რამაზ ბერაძე**

როგორც იქნა, ყინული დაიძრა, საჭიროა და აუცილებელია ეს წერილი საჯარო გახდეს, რომ ყველამ გაიგოს თუ რა ცუდ დღეშია დღევანდელი ქართული მწერლობა.

ავტორი: **ამირან ჯმუხაძე**

ისეთი საინტერესო წერილია, დავიძაბე ემოციურად. მაგრამ, ისე მაინტერესებს, რაღა მწერალთა კავშირის „უზუსტობა-სუსტობა გიკვირთ, სხვაგან მყარად ვდგავართ?

ავტორი: **გვანცა გუნცაძე**

ძალიან ცუდი ფაქტია ნამდვილად პლაგიატიზმი,

ძალიან ცუდი ფაქტია საკონკურსო ნაწარმოებების მიმართ ასეთი გულგრილი დამოკიდებულება. მეც გამიჩნდა ეს ეჭვი სხვათა შორის, რომ ტექსტები რედაქტირების და ყოველგვარი ყურადღების გარეშე იყო შეყრილი წიგნში.

აქედან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ ჩემი მოთხრობა მოხვდა საუკეთესო ოცეულში, აღარ მახარებს.

რა ვიცი, შეიძლება ლოტოტრონის პრინციპით იხელმძღვანელეს?

ავტორი: **ა-007.**

ხოოო! საინტერესოა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ალვარო იუნკე და ვუთანაგრძნე.

ყველა სფეროში ასეა, მე მგონი.

ავტორი: **ტენდი**

„...ქართველმა მწერალმა რამაზ ბერაძემ, რომელიც, სხვათა შორის, მწერალთა კავშირის წევრია, ხუმრობით ისიც კი მითხრა: „რა ბედნიერი ხალხი ვყოფილვართ ქართველები, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთხრობების ოცეულში შესული „საფრთხობელები" ჩვენთან გამართულ ერთ რიგით კონკურსზე, სადაც 15-დან 35 წლამდე თანამედროვე ავტორები იღებდნენ მონაწილეობას, ოცეულში ვერაფრით მოხვდაო"

ჰმ! თქვენ, ეტყობა ჯერ კიდევ არ იცნობთ ნიჭიერ ქართველ ხალხს!.. :)

(ა, ამისთანა ამბავზე იტყვიან გურიაში – ნენა, რას არ დეინახავს და არ გეიგონებს აი დასაფსები თვალი და ყურიო...)

ეჰ, და მარტო ამას რომ ვხედავდეთ და ვისმენდეთ!

სტატია საინტერესო, აქტუალურია ნამდვილად!

ავტორი: **ჯინა**

სამწუხარო კურიოზია ნამდვილად...

ავტორი: **არმენ არუთინოვ**

არმენ, ჩემო კარგო, კურიოზი კი არა და ლიტერატურის დასამარებაა

ავტორი: **ტენდი**

უდიდესი სიამაყით ვაცხადებ, რომ ჩემი ნაწერი „45 000 ევრო" და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის, გამოჩენილი არგენტინელი მწერლის, ალვარო იუნკეს, საქვეყნოდ ცნობილი მოთხრობა „საფრთხობელები", ერთ კრებულშია მოთავსებული... სულ რაღაც რამდენიმე გვერდი აშორებთ ერთმანეთისგან.

მე ფრიად ნასიამოვნები გახლავართ ამ ფაქტით. მადლობა ჟიურის.

ავტორი: **მე-კალ-მე**

ლექსო, ძალიან ძალიან თერგივით მოვარდნილო პოეზიაში და არამარტო!

მიხარია, რომ დგახარ, იქ, სადაც სიმართლეა, არ გაინტერესებს, ვის რა ასაკი აქვს, რა რეგალია და რა დამსახურება. ამგვარ დამოკიდებულებას, როგორც წესი, ბევრი მტრულად განწყობილი მოპაექრე გამოუჩნდება ხოლმე.

მაგრამ ეს არ გაფრთხობს, ამით გვჯობიხარ „კორექტულ ბებრობას". გენაცვალე, შედეგი ასეთ უკომპრომისო მხილებას მოაქვს ხოლმე.

ავტორი: **კრავაი ზვერელი**

მოამზადა
თეკო დადიანმა

ПОЕЗИЯ



ჯემალ მაღრაძე

ტირიფი

ჩემს სახლთან ახლოს ტირიფი დგას
ცადაზიდული,
შევყურებ მას და მიხარია ჩუმი შრიალი,
მეჩურჩულება, ალბათ, უთქმელ
ზღაპრებს მიყვება,
მისთვის ერთია, დილაა თუ ღამე გვიანი.
ღამით, პირველი სხივი როცა
მოსწყდება მნათობს,
ხან როცა მთვარე ღრუბლებს იქეთ
მიმალულია,
სიო საამო ვერ შორდება, ეალერსება
და ის ალერსი, ალბათ, წმინდა
სიყვარულია.

ადრიან ზაფხულს

შემოგაცვდება თეთრი სამოსი,
ფრთებს შეიკვეცენ ზამთრის ქარები,
მაშინ ჩამოვალ, ადრიან ზაფხულს
შენს ბაღნარებში შევიპარები.
თვალს მიმოვავლებ მშობლიურ სოფელს,
ხაროში თოვლი მაინც იქნება,
ჩემო სოფელო, შენზე ფიქრები,
მოგონებებში არ იძირება.
გამახარებენ ხოდაბუნები,
ხავერდოვანი მთები, ველები,
სიამის მფენი კუთხე-კუნჭული,
თვალშეუდგამი ყანები, ზვრები,
ვერ მოვისვენებ, არ ჩამოვიდე,
არ ვნახო შენი ტურფა ზაფხული,
არ მოვისმინო ოდელა უთხარ,
ან იმერული კოხტა მგზავრული.
შემოგაცვდება თეთრი სამოსი,
ფრთებს შეიკვეცენ ზამთრის ქარები,
მაშინ ჩამოვალ, ადრიან ზაფხულს
შენს ბაღნარებში შევიპარები.

მალხა

ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა იერუსალიმში ჯვრის მონასტრის მახლობლად ნახა სოფელი მალხა, რომლის მკვიდრნი გურჯებად იწოდებოდნენ. ამჟამად სოფელი უკაცურია.

სევდიანი ისტორია, უსულდგმულო
ტრამალი.
ქარი მტვრის გულს ატრიალებს,
ქარ-სამუმი, ფრთამალი.
მერე მალხას გადაუვლის და ვით მტვერი,
გაქრება,
გულში ცეცხლი დანთებული არ ნელდება,
არ ქრება.
ჩემი ფიქრიც იმ ქარს გაჰყვა, სად
მიმაფრენს გრძნეული?
ნეტავ მხარე მომატარა მახლობელ-
შორეული.
დამანახა იგი მიწა, სად სახლობდნენ
გურჯები,
მტრის წინაშე ქედუხრელნი, ულმობელნი,
ურჩები.
სად გამქრალა ძველი მალხა უკაცური,
ტიალი,
ნუთუ მართლა აღარ დარჩა კაცი
ადამიანი?
სად წასულხართ, რომელ მხარეს,
სადაურნი საითა?
ალბათ, ნებით არ დანებდით წაგიყვანეს
ძალითა.
დავიჯერო, ისე გაქრა თქვენი კვალი
შთენილი,
არვინ დარჩა ამბის მაცნედ ბედად
გადარჩენილი?
ვის შევჩივლო თქვენი ბედი, ვინ მიამბოს
მართალი?
ვინ ჩამიქროს დანთებული გულში
ცეცხლი, ხანძარი.
ქარი ტრამალს დასტრიალებს, ღმუის
როგორც ნადირი,
ანაზდეულ მალხას ნახავს ბარად
ჩამოვარდნილი,
უცებ ისე მიყუჩდება, როგორც მალხა
მდუმარი,
გაბრუნდება დარცხვენილი, ვით უღირსი
სტუმარი.
სევდიანი ისტორია, უსულდგმულო
ტრამალი,
ქარი მტვრის ბუღს ატრიალებს
ქარ-სამუმი, ფრთამალი,
მერე მალხას გადაუვლის და ვით ნისლი
გაქრება,
გულში ცეცხლი დანთებული არ ნელდება,
არ ქრება.

დედას

აქ ყველაფერი შენს თავს მაგონებს,
ჩემო ნისლივით გამქრალო დედა,
მომაგონდები, გამახსენდები,
დამეუფლება ჭმუნვა და სევდა.
აქ ყველაფერი შენს თავს მაგონებს,
აგერ ის შენი პატარა ჯოხი,
ეზოში შენი ნაფეხურები,
ბოსტანში შენი პატარა თოხი.
ამოვიარე გზა და ბილიკი,
მოვედი, რად არ გამიღებ ჭიშკარს,
შემოვაბიჯებ ციცქნა ეზოში,
ასე მგონია, სახლის წინ ზიხარ.
აქ მხვდება მხოლოდ სიცარიელე,
ღამე შავი და ღამე უღრანი,
გაციებული შენი ლოგინი,
გაციებული შენი ბუხარი.
ისევ დარდი და ისევ ვარამი,
რად ირევიან ღამის ფერები,
შემოვალ სახლში თვალცრემლიანი,
შენს ღამაზ სურათს მოვეფერები.
აქ ყველაფერი შენ თავს მაგონებს,
ჩემო ნისლივით გამქრალო დედა,
მომაგონდები, გამახსენდები,
დამეუფლება ჭმუნვა და სევდა.

აქ დავიბადე

აქ დავიბადე, აქ გავიზარდე,
აქ ამოვიდგი ენა,
მაშინაც ქროდნენ ცივი ქარები,
ქვენა იყო თუ ზენა.
მე აქ დავკრიფე პირველად ია,
ფრთხილად შევახე ხელი,
მე აქ მინახავს მწვანე მინდვრები
კამკამა ცვარით სველი.
პირველი ჩიტიც აქ დავიჭირე,
ახლაც ფართხალებს გულში.
ყაყაჩოების აბრიალება
ადრე დათესილ ხნულში.
საყორნია და ვარდანის სერი,
ჩემი ლეღვნულას წყალი,
იქ გოგო მახსოვს ცისფერთვალება,
ის ჩემი სოფლის თვალი.
საით წასულხარ, სად დამეკარგე,
ცისფერთვალება ქალო,
მოგონებები დაიძვრის გულში,
აფრთხიალდება სული,
იქ გაფრინდება, სადაც ბავშვობის
დარჩა პირველი ხნული.



თემურ ჩალაბაშვილი

პაპის და შვილიშვილისას

ლუკა, სხივს
გავხარ დილისას,
ღამე ჩემია,
დღე – შენი.
პაპის და შვილიშვილისას
რას გაიგებენ
ესენი...

გიორგი ფარეშიშვილს

შენი დაღონება მაღონებს და,
შენი სიხარული მიხარია.
ჩვენს შორის პატარა მანძილია,
პატარა, სულ მცირე ტიხარია.
ასაკი, თუმცაღა შუაშია,
თავად დრო-ჟამია უასაკო.
პური გემრიელი ყუაშია,
ღვინოც ძველიაო საარაკო.
გიორგი ხომ მთვარის სახელია.
თავად მზიანო და მთვარიანო,
მიგულე! (რა გასამხელია) და,
რა ვუყოთ, თუ ხანდახან ვჟამიანობ!..

მცხეთობა

დღეს მცხეთობაა
და უფლის ხმებით
თითქოს ივსება
ჩემი პალატა.
ფანჯრებს მოაწყდა
მზე საოცარი
და იმნაირად გამოანათა,
ალბათ, მაღლდება
სვეტიცხოველი,
დაჰღუღუნებენ
მტრედნი ალერსით
და ძველებურად
შემართებული –
ლოცვად შემდგარა
უნეტარესი...

2013 წელი, 14 ოქტომბერი
ალ. ალადაშვილის სახ. კლინიკა

ციცო ერისთავს

შენ სიკეთით ხარობ,
იწვი, როგორც კვარი.
ერისთავის ქალო,
საით მიიჩქარი.
ლამაზო და სადა,
აბა, როგორ არ ვთქვა,
არ მინდოდა თქმადა.
მაგ თვალებმა გაგთქვა.
ერთგულებას უჩვევს
სულ თან დაატარებ.
შენ ოცნებით ცხოვრობ,
მამულს მგლოვიარებ (ხშირად მგლოვიარე).
როცა ძინავს თბილისს,
შინ ბრუნდები მარტო,
გათენებას დილის
მხოლოდ მისთვის ნატრობ,
რომ წევრს ჩვენი ამქრის
გაუნათო გული
და ქალაქში დაჰქრით –
შენ და სიყვარული...

ჯალალედინი

13 ნოემბერი ხსენების დღეა
ასი ათასი მოწამისა

ტაძრის გუმბათზე
უწმინდური დაიდგა ტახტი,
შემოახია სიონს ღამის
შავი მერდინი.
არბევდა ქალაქს
გულბოროტი – თვით სიკვდილს ჰგავდა,
ცურავდა სისხლში – სისხლიანი ჯალალედინი.
სულს ლევდა მტკვარი,
ნაფლოქვარი სტკიოდა მიწას,
ასი ათასი შეწირული –
მეტეხთან იწვა...
... და ერთი რწმენა
დაჰნათოდათ – სახეებს ნათელთ,
ბედნიერთ უფლის ღაღადისი
ესმოდათ ქართველთ...

●

ვიცი, მოვკვდები უდაოდ,
დამიტირებენ უდაოდ...

ნინო ჭუმბურიძეს

წმინდანის სახელს ატარებ, ნინო,
და გშვენის კრთომა –
მაგ ლამაზ თვალთა.
თვით ხარ სიკეთე,
კი არა ცდილობ,
ცამ დაგაბერტყა
სიმდაბლის კალთა
და სიყვარულით გული რომ გასცემს,
ეგაა, ალბათ,
თვით უფლის ნება.
ყოველი სიტყვა
ბაგიდან თქმული –
მოყვასის გულში
იმედად ჩნდება
და დაგდევს შუქი დედის და ქალის,
რამ უსახური
არა გწამს, არ გსურს.
გყავს ბედნიერი –
ამაყი ქმარი
ჭუმბურიძეთა
მშვენიერ ასულს...

2013 წელი, ივნისის 12

●

პროფ. შალვა პეტრიაშვილს – უწმიდესისა
და უნეტარესის ილია მეორის პირად ექიმს
– ლექსპრომტად...

ღმერთმა გარგუნა
ბედი ექიმის
და სითბოს საგზლად
ჩამორიგება.
სწორედ ამგვარი
სიყვარულისგან
ტრფობის ტაძარი თუ აიგება.
გიცნობ – სავსე ვარ
ბედნიერებით,
მეტყვი სიტყვას და
მარჩენ უწამლოდ.
შენ საქართველოს
გულს ეფერები,
ეგებ პოეტის
გულსაც უწამლო...

2013 წელი, 13 ოქტომბერი,
ალ. ალადაშვილის კლინიკა

გარდასახვა

სულ მზის სხივი დამდევდა,
ფერიც ბევრჯერ ვიცვალე.
მე დღეს დავიბადე და,
გუშინ გ ა რ დ ა ვ ი ც ვ ა ლ ე...

ხუმრობანარევი

ყველაფერი –
ცრუ სამოთხედ მოჩანს.
ვგრძნობ, სიყალბის
ცრემლი რარიგ ჰყვავის.
ერთგულებას მეფიცება როცა,
მოღალატე საკუთარი თავის...

მინაწერი რევაზ ბალანჩივაძის წიგნზე

შენეული თბილი გული,
დავალ, სულ თან დამყვება,
შენი წიგნი, დიდებული –
მიყვარს, მეამაყება.
ვინ შეკვეცოს წარსულს ფრთები
ან მომავლის ფიქრები,
გაფრენილა სიჭაბუკე,
დღეს ვართ, ხვალ არ ვიქნებით.
ეჰ, რამდენი სიხარული,
რა დარდები გიგრძნია,
ცრემლითა და სიყვარულით –
ჩაკირული წიგნია...

პოეტ მანანა დანგაძეს

ცრუ სოფელმა
მეც მრავალჯერ მანანა,
ცას შევთხოვდი
დანთებული სანთლით.
გეფიცები,
შენმა ლექსმა, მანანა,
უფრო მეტად –
შემაყვარა ქართლი...

მიხეილ ქვლივიძის ადგილი დიდუბეშია. სამწუხაროდ, ეს ასე არაა

დაუტოვია ზღვა სიყვარული,
მის ხსენებისას – ცრემლის გუბეა.
ახლა სხვაგან წევს სევდით ფარულით,
კაცი, რომელიც სადიდუბეა...

სადაბადებისდღეო

წლები გადის,
ძველებურად
ვეღარა ვარ მხნედა.
ვბერდები და
უფრო მეტად
მენატრება დედა.
რა სცოდნია წუთისოფელს,
ვაი, ნათლად ვხედავ.
სიჭაბუკით რომ ვბედავდი,
ახლა ვეღარ ვბედავ.
ნოემბერი –
ჩემი თვეა,
სევდა დამებედა.
დიახ, სწორედ
ნოემბერში –
მე „მიპოვა“
დედამ!..

2013 წელი, 6 ნოემბერი

შვილიშვილ ლუკას – შესაგონებლად

(სადაბადებისდღეო საჩუქარი)

მინდა მორჩილ იყო
მარად უფლის ნების.
და არ დაიზარო,
შენმა გახარებამ,
ხშირ-ხშირად იკითხო
წმინდან სეხნიების –
ლუკას ლექსები და
ლუკას სახარება...

2013 წელი, 6 ნოემბერი

მთის ფანტაზია

(ჩანახატი)

გოჩა კუჭუხიძე

(ლაპარაკობს *ძველი მოჩვენება*)

წამოვდექი საფლავიდან და მივდივარ. ირგვლივ ბნელი ხევებია, ჩირგვებში მივაბიჯებ... ჰა, ჰა, ჰა... მეც ერთ დროს მაგ ქვეყანაში მიცხოვრია, ფიზიკურ ქვეყანაში... ფიზიკური ქვეყნის შვილნო, თუ ვინმეს შეგხვდით, შეგაშინებთ, ეს არის ჩემი ბუნება... მე მოჩვენება ვარ... როდის გავხდი მოჩვენება, აღარც მახსოვს... თითქოს ვცხოვრობდი ფიზიკურ ქვეყანაში, მერე მომკლეს... ერთმა ხევსურმა მომკლა, თოფით ჩასაფრებულმა... აი, იმ ჩირგვებში იყო ჩასაფრებული... ჰმ, მიყვარს მაგ ჩირგვებთან მისვლა... ნეტა, მართლა ვცხოვრობდი ფიზიკურ ქვეყანაში თუ მესიზმრა და სულ მოჩვენება ვიყავი? ჰა, ჰა�ა... მოჩვენებად ვარ დაბადებული, სულ მოჩვენება ვიყავი და მესიზმრა, რომ ოდესღაც ვცხოვრობდი ფიზიკურ სამყაროში... მთვარე ანათებს, მთვარე კაშკაშებს, აგერ იქ, მთვარის შუქში, მგელი დგას ხოლმე და ყმუის...

(ლაპარაკობს *მინდია*)

მიყვარდა ნენე, ძალიან მიყვარდა, თითქოს მისი ფიქრებიც კი მესმოდა ხოლმე... ბათარეკაც მეცოდებოდა, მაგრამ ეგენი ერთმანეთისთვის არ იყვნენ დაბადებულნი. ბათარეკას ნენე მოსწონდა და უნდოდა, რომ ლამაზი ცოლი ჰყოლოდა. მე კი ვიცოდი, რომ ნენე და მე ერთმანეთისთვის ვიყავით გაჩენილნი მიწაზე. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მიწაზე ვცხოვრობდი, ასე მეჩვენებოდა, რომ მე და ნენე უფალმა დაგვლოცა და ჯვარი დაგვწერა, ერთ ოჯახად შეგვქმნა მე და ნენე და მერე იმ ქვეყანაში გაგვიშვა, – ერთად იცხოვრეთო... იქ კი ბათარეკა დანიშნეს მასზე... მერე წმიდა მთის მღვიმეში გავიპარეთ მე და ნენე... „მიყვარხარ, მინდი; მინდიხარ, მინდი“... – ასე მეუბნებოდა ღიმილით... ის ღამე იქ გავათიეთ... აღარ ვიცოდი – მთვარე დაგვნათოდა თუ მზე შემოსულიყო მღვიმეში... თითქო ვარსკვლავები კიაფობდნენ... მერე ქალაქში წავედით... არ უნდა ამოვსულიყავით მთაში... მეგონა, გავაგებინებდი ბათარეკას, ერთმანეთისათვის რომ ვიყავით გაჩენილნი... შევუთვალე ბათარეკას, – შენ მხოლოდ მოგწონს ნენე, ჩვენ კი ერთმანეთისთვის გაგვაჩინა ღმერთმა, თუ მზექალას გაიცნობ, მზიანა სოფელში რომ ცხოვრობს, იმასთან ბედნიერი იქნები, ერთმანეთს ჰგავხართ-მეთქი... მართლა ძალიან ჰგავდნენ ეგ და მზექალა... მოველ თუ არა სოფელში, მაშინვე მითხრეს, – ბათარეკა შენს მოსაკლავად წამოვიდაო... გავიქეცი, ჯვარისკიდესკენ წავედი... ფიქრებიც ამერია მაშინ... ვეღარა ვხვდებოდი, რომ იქ ჩამისაფრდებოდა, დავინახე, – თოფს მიმიზნებდა... არ მინდოდა სიკვდილი და დავიყვირე, – არ მომკლა, ბათარეკ-მეთქი... მაინც ისროლა... მერე? მერე თითქო დამეძინა, მერე გამეღვიძა... ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სიზმარი იყო ეს ყველაფერი და სინამდვილეში არც არა მომხდარა რა... იქნებ მესიზმრა, რომ ოდესღაც იმ ქვეყანაში ვცხოვრობდი და ბათარეკამ მომკლა? როდის დაიწყო ცხოვრება, არ ვიცი... მგონი ერთ დღეს, ერთ შორეულ დღეს დამბადა ღმერთმა ამ მთაში, ჩემი მოგონებებიანად დამბადა და მას შემდეგ დავდივარ... არადა, სინამდვილეში, იქნებ, არც არაფერი ყოფილა და მხოლოდ მგონია, რომ ოდესღაც იქაც ვცხოვრობდი... ერთხელ ხმა ჩამესმა, – გაჭედილი სული ხარ, ჯერ აქ არ ამოსულხარო... არ ვიცი, როგორი სული ვარ... წმიდა მღვიმესთან დავდივარ ხოლმე... რატომ მიყვარს ეს თბილი მღვიმე? არ ვიცი, – მოჩვენება იყო ვითომ ყველაფერი?...

(ბათარეკა *ლაპარაკობს*)

არ მინდოდა მომეკლა, მაგრამ საცოლე წამართვა... წესია ასეთი, – უნდა მომეკლა... ხო, წესია... ახლა ამბობენ, – მოჩვენებების ველზე დადისო... რა ვიცი, სად დადის, – რად მართმევდა საცოლეს?! არ მიყვარს მოჩვენებების ველზე გავლა... სხვა მოჩვენებაც დადის ხოლმე ღამით ხარხარით, – რა ვიცი, – ასე ამბობენ... ძველ მოჩვენებას ეძახიან... ერთხელ თითქოს მართლა მომესმა ხარხარის მსგავსი, – ჭიუხებში რომ მივდიოდი, – მაშინ... უნდა მომეკლა მინდია, – წესია...

(ლაპარაკობს *ნენე*)

მიყვარდა მინდია, ძალიან ლამაზი თვალები ჰქონდა, თანაც – დიდი; რომ შემომხედავდა, ასე მეგონა, გულში გამიარს-მეთქი... ისეთი თბილი იყო... ჩემთვის უნდა ეზრუნა მთელი ცხოვრება! შვილებს გავუჩენდი, ბედნიერები ვიქნებოდით; რად გავჩნდით მთაში?! ბათარეკას რა უნდოდა ჩემგან?! რად დამნიშნეს მაგაზე?! მაგასთან ხომ უბედური ვიქნებოდი! რა მინდოდა ბათარეკას გვერდით?! მამიკლა, მამიკლა ჩემი მინდი... ერთადერთი ნუგეში მაქვს, იმ ქვეყანაში შევხვდებით ერთმანეთს; აქაურები ამბობენ ხოლმე – მოჩვენებების მინდორზე დადის მინდიაცაო... მღვიმესთან დაჰლანდა გორაის ბალღმაო... არ ვიცი, ეგებ ვერა სცილდება იმ ადგილებს, ერთმანეთს სადაც ვხვდებოდით? მინდი... წმიდა მღვიმეს გავცქერი ხოლმე, თითქო შუქი დაჰნათის... ვარსკვლავები დასციმციმებენ... მინდი, არავის წავყვები, ხომ იცის ბათარეკამ, რომ უკვე შენი გავხდი, შენგან შვილი მეყოლება, გავაჩენ, გამოვაჩენ ამ ქვეყანაზე... მოგკლეს და მაინც ერთად ვიქნებით... რა შემზარავად ყმუის ეს მგელი! ბრდღვიალა მთვარეს შეჰყმუის. რად შეჰყმუი მთვარეს, მგელო? ჩემსავით უბედური ხარ?!

(მგელი)

თეთრად იყურებოდა, თეთრად, თეთრად... დღეს არა შიოდა... ციოდა, ბნელოდა კიდეც და მერე კი ერთგან გამოჩნდა თეთრად... შეხედა, ცივი ჰაერი შეიყნოსა... ის კი ძალიან დიდად ანათებდა... მერე აყმუვლდა... არ იცოდა, რად აყმუვლდა, სიბნელე და სიცივე ჩამოწოლილიყო, შეჰყმუოდა იმ თეთრს, უკუნეთში მას შესცქეროდა...

(ბათარეკა)

აღარ შემიძლია სიცოცხლე! მინდია მოვკალი... განა მართლა ძალიან მძულდა, მაგრამ საცოლე წამართვა... მერე, რა მოვიგე?! ნენემ მითხრა, – მისგან ბავშვი მეყოლება, მინდია იმ ქვეყანაშია, მაგრამ მაინც ერთად ვიქნებით, თუ გინდ, მამკალიო... არ მოგკლავ... არ მოგკლავ, ნენევ... მე კი რაღად მინდა სიცოცხლე...

შავად მოქუხს წყალი! ეს მგელი ისევ მთვარეს შეჰყმუის... თითქოს მოჩვენების ხარხარიც ჩამესმის, ძველი მოჩვენება ხომ არაა? ასე მგონია, ჩემს სისულელეებს დასცინის... მინდიას სულის ხარხარიც მესმის იმ ტიალი მინდვრიდან ღამით... მაინც ჩემია ნენეო... დამცინით, მინდვრის ლანდებო? სიგიჟეებს ჩავდივართ ამ სოფელში? რა, არ უნდა მომეკლა მინდია?! მაგრამ რა მომცა მაგისმა მოკვლამ?! ნენეს გარეშე უნდა ვიცხოვრო? მიყვარდა, ძალიან მიყვარდა! განა მარტო წესებისთვის მოვკალ... მზექალა ნახე, ნენე ჩემიაო... ნენე მიყვარდა, და ეგ სამაგიეროს მთავაზობდა, თითქოსდა, ნივთებზე ლაპარაკობდა... ყველაფრის მცოდნედ მოჰქონდა თავი! ჩვენს სოფელში, ნენეს გარდა, სხვა ჩემი ტოლი, ქალი არ ყოფილა... ნენემ კი – სულითა ვგრძნობ მინდიას, ის არის ჩემი ქმარიო... შენზე მეტს მე ვგრძნობდი, ქალავ! ბავშვობაში მესიზმრა – ანგელოზი ჩამოფრინდა ლურჯი, მზით სავსე ციდან, ჩამოვიდა, გვირგვინი დაგვადგა... წავა აქედან ნენე და მერე ერთად იქნებიან?! არა, ნენე, შენა ხარ ჩემი სულისა და სხეულის ნაწილი, ჩემთვის შეგქმნა გამჩენმა, ჩემთვის! ბავშვობიდან შენს მეტი არავინ იყო ჩემს გვერდით, სულ მეუბნებოდნენ – შენი ცოლი იქნებაო, ჩემს ცოლად დაგინახე ბავშვობიდან... შენ რა გესმის! მაშ, სხვისი გახდი?.. ამ მდინარეს მივცემ თავს... აქ გადავინთქმები... სად გამექცევი, მინდიავ?! ცაში ახვალ ღმერთთან? იქ დამემალები? არააა, შენც ცოდვილი ხარ... ალბათ, ცაში მე არ ამომიშვებენ, ასე არ არის?! ჰოი, დავიტანჯეეე.... ნენესაც ვძულვარ, ყველას ვძულვარ, მარტო ვარ... ვინ ხარხარებს იმ მინდორში... წყალში გადმოვინთქმები, წამოვალ, მანდაც მოგძებნი... რა შავად ქუხარ, წყალო...

(შავი *მდინარე*)

ვქუხვარ, მოვქუხ... ძალა ვარ დიდი... ლოდებს და ქვებს ვეჯახები... მიყვარს სიცოცხლე... ლოდები შემომხარიან, მზე დამბრჭყვიალებს ხოლმე და უხარიათ ლოდებს და ხეებს ჩემი ქუხილი, მოვქუხ და მოვიხარი, ჰაااااااა...

სარკმელი

ადრე გავიღვიძე... ადგომა მეზარებოდა, სარკმელს გავხედე, – ბინდ-ბუნდი იდგა; ჯერ ძალიან ადრეა; მეძინებოდა... ნეტა, რომელი საათია? ღრუბლებს მივადევნე თვალი, – ტაატით მიდიოდნენ... ვარდისფერი შუქი აციმციმებულა ღრუბლებზე... რა უცნაური შუქია? თითქოს შიგნიდან ანთებულან შუქით ღრუბლები... როგორღაც სწრაფად მოძრაობენ... თითქოს ჩემი სარკმლისკენ მოდიანო... როგორღაც უცნაური მეჩვენება სამყარო... ღმერთო ჩემო, სიზმარში ვარ? არის კი ეს რეალური ქვეყანა? არა, ჯერ არ გამიღვიძია და სიზმარს ვხედავ! აგერ, თეთრი ანგელოზი ზის ღრუბელზე... ჰმ, ცხადია, მძინავს! არადა, დღეს ადრე ვიყავი ასადგომი, რა დროს ძილია! ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, ასეთი რამ სხვა დროსაც მომსვლია...

თვალებს ძალიან, ძალიან ვახელ, ძალიან ვიძაბები და აჰა! – ჩემს საწოლში გავიღვიძე. მაინც რა უცნაურობა იყო... წამოვდექი... სარკმელთან მივედი... მიყვარს დილის სიო...

მანქანები ჯერ არ გამოსულიყვნენ, მიცარიელებულიყო ქუჩა. ღრუბლებს ავხედე – ვარდისფერი შუქი თითქოს შიგნიდან იღვრება და თითქოს იღიმებიან ღრუბლები... და იდუმალია სამყარო... აგერ, იქით, მარჯვნივ, თეთრი ანგელ... რა მემართება?! ისევ მძინავს?! ისევ?! არის ეს რეალური ქვეყანა?! არა, არა, ნამდვილად ისევ მძინავს! წუხელ ძილის წამალი დავლიე და იმის ბრალია... საკვირველებაა, ღმერთმანი, ვეღარ მომიხერხებია გაღვიძება! ასე თუ გაგრძელდა, დამაგვიანდება სამსახურში... ეეეეჰ, – ახლა კი უკვე მთელი ძალით შევინძერი, ვცადე, სხეული შემეგრძნო და აჰა, – გავახილე საწოლში თვალები, თავიც გავაქნიე, გამოვედი სიზმარეთიდან, გამომეღვიძა, როგორც იქნა... დიდება შენდა, ღმერთო! ეს რა უცნაურობა იყო... საათს დავხედე, – რვა სრულდებოდა. სასწრაფოდ წამოვდექი, ჩავიცვი. მაგვიანდებოდა.

მალე უკვე ქუჩაში მოვაბიჯებდი. გაზეთები ვიყიდე – გზაში

წავიკითხავ-მეთქი. თანამშრომელი შემხვდა: „დაგვაგვიანდა, მგონი“, – მითხრა; მე ჩემი ამბავი მოვუყევი, – სიზმარში ვნახე, რომ გამეღვიძა, არადა, მეძინა-მეთქი... „მეც მომსვლია ეგეთი რამე“, – გაეცინა; – „რა არ ხდება“!

ეს ჩანახატი, ალბათ, გამოქვეყნდება, აი, გხედავ კიდეც, მკითხველო, როგორ გაგიშლია ფურცელი, კითხულობ... როგორ ფიქრობ, ღირდა გამოქვეყნება?

ისევ უცნაურ ხასიათზე ვარ, – ასე მეჩვენება, რომ ტაატით მიირწევიან ღრუბლები და შიგნიდან ვარდისფერი შუქით განათებულან... აი, იმ ღრუბლებში თითქოს სარკმელია გაჭრილი, თითქოს იქიდან იყურებიან...

მკითხველო, შენ არასოდეს შეგიმჩნევია ზოგჯერ იდუმალი შუქი? არა გქონია ისეთი განცდა, რომ ჩვენს ქვეყანას კეთილი ანგელოზები გადმოჰყურებენ მიღმიეთიდან და თბილად გვლოცავენ იქიდან?! არა?! აბა, გახედე ხოლმე – რა თბილი შუქით არის ზოგჯერ ირგვლივ ყოველივე სავსე... ხშირად ვზივარ სავარძელში, გავყურებ სარკმელს და ვფიქრობ – არის კი ეს რეალური ქვეყ... ■

თამაზ ჩადუნელი

ჩემს ხალხს

მგონი, ყველა ცდა უსაშველოა,
ტყე იქცა ველად, გახმა სახოხბო...
ჩემი სამშობლო საქართველოა,
შენ რას ტრაბახობ? რა გვაქვს სახოტბო?

დიდი ხანია, გულს მიღრღნის ეჭვი –
დღეს საქართველო ვითომ ჩვენია?
ყველას სურვილი კლავს ჩვენი შეჭმის,
უსინდისობის არვის რცხვენია.

საქართველოო! ზოგი შესძახებს,
ისე, რომ ჟრჟოლა დაგივლის ტანში.
შენს წმინდა გრძნობებს ხელს ვინ შეახებს,
მაგრამ სიყვარულს რად უნდა ტაში?

ჩემთვის ერთია, თერგის წყალს დალევ
თუ მისისიპის გამოგყვა ხიბლი,
რუსის გზას მისდევ თუ უსმენ დალესს
ან იმედი გაქვს ციური იღბლის.

ჩემთვის ერთია, თუ მშობელ მიწას
არ ხარ შეზრდილი ყრმობის ფესვებით,
და თუ ქართულად არ ხედავ სიზმარს,
საქართველოს ბედს ნუ შეეხები.

ეს საქართველოს სიყვარულია,
რისთვისაც გცემენ, გკლავენ და გწვავენ.
ეს საქართველოს სიყვარულია –
დედაზე ტკბილი, ღალატზე მწარე.

და ახლა, როცა ბევრი ქართველი,
გადაიხვეწა საქართველოდან,
თავზე მოირგო შარავანდედი,
ვინც საქართველოს ნგრევას შველოდა!

ხალხი დანებდა შიშსა და შიმშილს,
ოცნებამ ფრენა შეწყვიტა შიშით,
საზიზღრობაა შენს ქვეყანაში
სხვისგან მალულად შიმშილის შიში.

შიმშილმა ჩაკლა ქართველ ქალებში
იაფ მეძავად გაყიდვის შიში
და ვის ჩავხედოთ ახლა თვალებში?
დას... დედას... ცოლს... თუ ჭირია სხვისი?

მიდის ქართველი საქართველოდან...
მიდის... სად მიდის, არავინ იცის.
სად ჯანდაბაში არის სამოთხე,
სად – ერთგულება მშობელი მიწის?..

მოუსვლელეთი, ახლო და შორი,
ქართველებს გულში მაგრად იხუტებს,
ვინც არ იზარებს, ძაღლი და ღორი,
ყველას სურს, ქართველს სახლში მიუხტეს.

სიტყვით თუ ფულით, ტყვიით თუ გულით,
პრესით თუ წნეხით, ძალით თუ ხერხით,
ყველა გვებრძვის და ყველას ვნებდებით!
რა გვჭირს? რა ღობე-ყორეს ვედებით?..

გ ა დ ა-რჩეულებს

ვინ გაჩუქათ ვერცხლი?
ვინ გაგხადათ მწერი?
თქვენ ჭიკჭიკით მერცხლის
თავს დაგვამხეთ ჭერი.
„გაგახსენდათ“ ხალხი,
„შეგეცოდათ“ გლეხი,
დაამსგავსეთ ნახირს
ამდენ თავსატეხით.
დღეს ჰპირდებით ედემს
უხელფასო მუშებს,
„აგულავებთ“ დღემდე
როსკიპებს და მრუშებს.
დაერიეთ ქურდებს,
დაგვაჯექით ქურდად!
ხალხს უყრიდით ხურდებს,
შიშით მართვა გსურდათ.
მწერალსა და პოეტს
სულს შიმშილით ხდიდით;
განათლების მინისტრს
არ სჭირდება წიგნი!
უცხოს მოიმედემ
ხალხი გაიმეტეთ,
არიგებდით მედლებს,
ჩუმად ყიდდით მეტეხს...
არაბსა და ჩინელს
გვარს აძლევდით ქართულს,
დარდი გაუჩინეთ
ლუკმის ძებნით გართულს.
კიდევ ყელყელაობთ,
ხართ გველივით ჭრელი.
ხალხის მართვას ლამობთ?!
არ გენდობათ ერი!
თითქოს ხალხზე ზრუნავთ.
ო! დიდი გაქვთ „ღვაწლი“.
გული დაინურა,
სულ სიცრუე გვაწვიმს...
თქვენს სახელებს აწი
გადაფარავს ანწლი.
გამყიდველთა ნაწილს
გეშინოდეთ ბაწრის.

საქართველოო

ქვეყანა დარჩათ ჩარჩებს,
გაყიდულია ყველა;
კაცად ერთიც რომ დარჩეს,
თუ არ გაიჭრა ველად,
გაუფუჭებენ სახელს,
გადასანსლავენ ხელად.

ყველაზე „დიდი კაცი“
აქ მევახშეა ახლა
და საარჩევნო ვარცლში
ძველ სოროსელებს ხარშავს.
სიმართლის თქმას ვინ გაცლის,
უმალ გიხშობენ ხახას.

ოცი წელია, ხალხი
უცხო ჰანგებზე ტოკავს,
გადაჰყვა „ნატოს“ ძახილს,
სხვის უკანალის ლოკვას.
დღეს გვიანია დარდი,
ლოყების ჩამოხოკვა.

ევროპა – ძველი კახპა –
გაზში ხელახლა გაგვცვლის,
ჩვენთვის არც „ნატო“ გალხვა,
აღარ გვაღირსა „მაპი“.
ვის რაში უნდა გლახა
ჩამოხეული კაბით...

თუ სხვა მილიარდს გაძლევს,
შენგან რამდენი მიაქვს?
ხე-ტყეს – წიფელას, ნაძვებს –
ატანთ ქარსა და ნიავს,
ყიდით სახლსა და ნაკვეთს,
რასაც სამშობლო ჰქვია.

ყიდით სახნავს და სათესს,
სპილენძს, მარგანეცს, ოქროს.
მოიმკით, რასაც დასთესთ,
ხვალ შვილი პასუხს მოგთხოვთ –
მეხი გასკდება ცაზე!
მერე ზაფხულში მოთოვს...

სხვა ტომს სამშობლოს აძლევთ.
შველას უცხოსგან ელით?
უცხო გულცივად ჩაგწევს...
სახრავს იშოვის მგელი.
შენ გაილოკავ თათებს,
ის შენს დავარდნას ელის...

ქართველი მონად გარბის,
ჩინელი მორბის გლეხად,
ზანგი მათხოვრად დადის,
გზაჯვარედინებს ხეხავს...
ლმობიერია ხალხი,
ხურდას უყრიან ჩეჩქად.

„ოცნება“ კოცნის „ნაცებს“,
თურმე ასე სურს სოროსს;
ბეჭებზე ვინ ვის დასცემს,
ხალხი იხილავს ბოლოს.
ზოგს შამპანური დასჩქეფს,
ზოგი ჭამს ხახვს და ბოლოკს.

მილიონერი მოყვრად
სხვა მილიონერს ეძებს;
იმედი მრჩება ოხრად,
ვერ ვეღირსებით ედემს;
ელჩის წინ მუხლზე ხოხვა
არ ეკადრება მეფეს.

დღეს პატრიოტი ყველა,
ალბათ, ჩემსავით ფიქრობს;
ცხვრები გადიქცნენ მგელად,
ბოზებს სურთ, იმინისტრონ!
ყველას კომბალი უნდა,
ტყავი რომ გადაიძრონ.

ვიდრე ფულია მეფე
და იყიდება ყველა,
თავს უტოლებენ ღმერთებს,
კრავებს სჭირდება შველა!
ვინც ფულით გააკერპეთ,
ლეთა წაიღებს ყველას.

პასუხი პუტინს

თუ დღეს შენი მოქალაქე
ჩემი ქვეყნის გულში სახლობს,
რაღას ითხოვთ? ჩვენს ქალაქებს?
მეტი რაღა გინდათ, ხალხო?!

კეთილისმსურველის როლი
დიდ ხანს უნდა ითამაშოთ?
სადაც შეხვალთ, რჩება ბოლი,
როგორც გინდათ, დაპარპაშობთ!

კვნესა, ცრემლი, მოთქმა, სისხლი
თქვენთვის არის სათამაშო,
თქვენი იარაღი იბრძვის
და იძახით – ჩვენ არ ვართო!..

ყველა ქართველს ვეტყვი ნათელს –
პუტინს ჩვენი მტერი ჰქვია!
ჩვენც თქვენსავით ვანთებთ სანთელს,
თქვენ კი რატომ გვესვრით ტყვიას?

თქვენ ცრემლებს ღვრით, ჩვენს მიწაზე
გეჩაგრებათ თურმე ხალხი,
ჩვენი ხალხიც, ოს-აფხაზიც
გამოაბით რუსულ მარხილს.

შორს ვერ წავა ეგ მარხილი –
სიცრუით და სისხლით სავსე.
ღმერთმა ნუ ქნას, ქედწახრილი
ყოფა მოეთმინოს ქართველს!

სულ ერთია პოლიტიკა
ლენინ-ელცინ-პუტინური,
გარეგნულად ქრისტიანებს
მადა შეგრჩათ მონღოლური.

კონსტანტინე (კოტე) კონსტანტინეს ძე ჩოლოყაშვილი

ელდარ ნადირაძე

კოტე ჩოლოყაშვილმა ოთხმოცდათერთმეტი წელი იცოცხლა, ის ასაკოვანი წავიდა ამქვეყნიდან, მაგრამ მისმა გარდაცვალებამ ღრმა სინანული დაგვიტოვა იმის გამო, რომ მან პირნათლად ატარა უღელი სულითა და სხეულით ლამაზი ქართველისა და მისი ამქვეყნიდან წასვლით უთუოდ დარჩა სიცარიელე, რომელსაც დიდი ხანი ვერავინ შეავსებს.

გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა: რაინდობა ჩვენი ეროვნული პროფილის შნოიანი ხაზულიაო – და თუ ეს ასეა, მაშინ კოტე ჩოლოყაშვილი სრული განსახიერება ყოფილა ამ რაინდობისა. მას ჰქონდა პრეტენზია, ეცხოვრა ქართველი კაცის დამღით და, თუმცა მის ეპოქაში ეს ყოველთვის არ იძლეოდა აღფრთოვანების საფუძველს, ისე მივიდა ცხოვრების დასასრულამდე, რომ შნოიანი ქართველობა ბოლომდე შეინარჩუნა. აი, რატომ უყვარდათ იგი განსაკუთრებული სიყვარულით.

ხალხის გულისყური და მისი განაბული სუნთქვა მუდამ გულითადობით იღებს ისეთ გმირს, რომელშიც მისი ეთნიკური და ეროვნული თვისებებია გამოხატული, რომელიც თავის თავში დაატარებს პატარა საქართველოს, სწორედ, რომ ამ „პატარა საქართველოს“ მატარებელი კაცი იყო კოტე ჩოლოყაშვილი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში იძლეოდა ღირსეული ცხოვრების მაგალითს და ამით იცავდა ჩვენს არაერთხელ შებღალულ ეროვნულ თავმოყვარეობას.

კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ჩოლოყაშვილი დაიბადა 1922 წლის 18 აგვისტოს, თბილისში, კონსტანტინე დავითის ძე ჩოლოყაშვილისა და ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჩერქეზიშვილის ოჯახში. 1940 წელს დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1945 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1942 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ჯერ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ხოლო ოდანავ მოგვიანებით ეთნოგრაფიის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად, სადაც გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა როგორც მკვლევარი და ქართული ეთნოკულტურის მეისტორიე.

ბატონი კოტეს სამეცნიერო კვლევის სფეროს წაროადგენდა ქართველი ხალხის ისტორიის და ეთნოგრაფიის ისეთი საყურადღებო პრობლემა, როგორიც არის საბრძოლო იარაღი; კვლევის შედეგები მთლიანად წარმოაჩინა და განაზოგადა მის საკანდიდატო დისერტაციაში „საბრძოლო იარაღის წარმოებისათვის საქართველოში“, რომელმაც ავტორს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოუპოვა (1961 წ.). ეს ნაშრომი იყო პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც ვრცლად წარმოჩინდა ქართული საბრძოლო იარაღის განვითარების გზები იმ ექსპონატების საფუძველზე, რომლებიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. მონოგრაფიაში განხილულია მათი წარმომავლობის, კლასიფიკაციისა და ქრონოლოგიის საკითხები და მეცნიერულ პარამეტრებშია მოქცეული ეს უხვი და მრავალფეროვანი მასალა. ნაშრომში კერძოდ განხილულ იქნა იარაღის კონსტრუქციის, ტექნიკისა და ფუნქციის საკითხები, ასევე მათი შეწირვა-ჩუქების წესის ტრადიციები საქართველოში. ამ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები შუქს ფენს საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მრავალ საკვანძო საკითხს და თავის მხრივ წამოჭრის კულტურულ ისტორიულ პრობლემებს, რომელთა შემდგომ გაღრმავებულ კვლევას შეუძლია სხვა მნიშვნელოვანი შედეგების მოცემა. კოტე ჩოლოყაშვილმა თავის ნაშრომებში დაადასტურა საბრძოლო იარაღების წარმოების სიძველე და მისი უწყვეტი კავშირი ძველ ქართულ მეტალურგიასთან.

ქართული საბრძოლო იარაღის კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი ნაშრომები, როგორებიცაა „ბულატის თბილისელი ოსტატები“, „ქართული ჯაჭვი და ჯავარდენი“, „თბილისური საჭურველის ისტორიიდან“, „ქართული ჩაჩქანი“, „თოფი ქართული წარწერით“, „შურდული“, „ქართველი მამაკაცის სამოსისა და საჭურველის ზოგიერთი ელემენტის ურთიერთკავშირის შესახებ“, „ქართული თოფი“, „საქართველოს მუზეუმის საჭურველის ფონდის ისტორია“, „ქართული საბრძოლო იარაღი – ფარი“ და სხვა, სულ ორმოცდაათზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევა, რომელმაც დამსახურებულად მოუპოვა ქართული საბრძოლო იარაღის მეისტორიეს საპატიო სახელი.

ბატონი კოტე იყო პიროვნება, რომელიც თბილისს ამშვენებდა, ამიტომ, მისი მონაწილეობის გარეშე იშვიათად თუ ჩაუვლია ისეთ ღონისძიებას, რომელიც ეხებოდა ქართულ კულტურას; იგი აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებში, საიუბილეო საღამოებსა თუ ეროვნულ დღესასწაულებში. არ იყო საზოგადოება, სადაც მას არ მიესვლებოდა, სასურველი სტუმარი იყო ყველა შეკრებისა, სადაც თავისი ორიგინალური გამოსვლებით მუდამ დადებით ემოციებს აღძრავდა. მისი ასეთი სახალხოობა იყო უმთავრესი მიზეზი თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევისა. ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო პიროვნება და ასეთი დაფასება სავსებით ლოგიკურია.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ 1991 წელს თბილისის მოვლენების შედეგების რეაბილიტაციის მიზნით შექმნილ საქართველოს ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდს საზოგადოებამ კოტე ჩოლოყაშვილი ჩაუყენა სათავეში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კოტე ჩოლოყაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა, იგი წლების განმავლობაში უკითხავდა სტუდენტებს ლექციებს ქართულ ეთნოკულტურაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, მუზეუმთმცოდნეობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიასა და ფიზკულტურის ინსტიტუტში. მისი ყოფნა სტუდენტებთან დღესასაწაულს ჰგავდა, ბატონი კოტე იყო ლექტორი, რომელიც არა მხოლოდ თავისი ცოდნით, არამედ თავისი საქციელით, თავისი პოზიციით, თავისი ცხოვრების წესით სამაგალითო იყო ახალგაზრდობისთვის, რომლებიც მას მუდამ გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო კოტე ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბატონი კოტე მხოლოდ იუმორით თუ აღნიშნავდა თავის თავადურ წარმომავლობას, სხვა მხრივ არასდროს ცდილა ამ რანგით პირველობის მოპოვებას, მაგრამ ყოველ წამს იგრძნობოდა მისი არისტოკრატიზმი და ოჯახიშვილობა და ეს არც იყო გასაკვირი, მიუხედავად ამისა, მუზეუმი მისთვის მაინც იყო დიდი სკოლა და დიდი ასპარეზი საკუთარი შესაძლებლობის მობილიზებისთვის, იგი 1942 წელს მოვიდა მუზეუმში და სამოცდაათი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართული კულტურის წარმოჩენის საქმეს, დიდი ხნის განმავლობაში იყო მუზეუმის „მეცნიერული პროპაგანდის განყოფილების ხელმძღვანელი“. ამ კომუნისტური ელფერის მქონე სახელწოდების ქვეშ მოიაზრებოდა საქართველოს ისტორიის (ძალიან ფართო გაგებით), მისი ეთნოკულტურის პოპულარიზაცია, პროცესის ორგანიზება და წარმართვა, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბის საზოგადოებისათვის. საქართველოს მუზეუმის გამოფენა იყო სივრცე, სადაც „ბატონობდა“ კოტე ჩოლოყაშვილი, აქ ჩანდა საქართველო მთელი თავისი მნიშვნელობით და მისი წარმდგენი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ისეთი კაცი, როგორიც კოტე იყო: აღნაგობით, ტაქტით და იუმორით გამორჩეული. ნიშანდობლივია, რომ ხშირად უბრალო ადამიანები მუზეუმსა და კოტეს ერთმანეთთან აიგივებდნენ და დირექტორადაც იგი მიაჩნდათ...

ისეთი ჭარმაგი ადამიანის გარდაცვალება, როგორიც იყო ბატონი კოტე ჩოლოყაშვილი, არ არის ტრაგედია, რადგან ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და არცერთ სულიერს არ აცდება ეს განსაცდელი, მთავარია, ღირსეული შემცვლელი მოდიოდეს იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვიდექით. ბატონ კოტეს ყოველთვის ჰქონდა იმისი ღრმა რწმენა, რომ ახალგაზრდობაშია ძალა ქვეყნის მომავლისა და აყვავებისა. მან მთელი სიცოცხლე შეალია ამ თეზის პრაქტიკულ დასაბუთებას და ეჭვი არ გვეპარება, რომ მისი აღზრდილი ქართველებიდან ერთ-ერთი აუცილებლად დაიკავებს მის ადგილს. ■

„უწინ, ჩვენ დროს“

თამილა მაკარიძე

თელავის გიმნაზიაში თურმე, რიტორიკას, ლოგიკას და ასტრონომიას ასწავლიდნენ. თელავის გიმნაზიის რა მოგახსენოთ, მაგრამ ი. ჭავჭავაძის 23-ე სკოლაში ფსიქოლოგიას, ლოგიკას და ასტრონომიას გვასწავლიდნენ. გვეამაყებოდა, რომ სკოლა ილია ჭავჭავაძის სახელობის იყო. 1943 წლიდან 1954 წლამდე 11 წელი აქ გავატარე და არ მახსოვს, რომ პირველი სართულიდან მეორეზე მასწავლებლების კიბით ავსულიყავი, ეს მარმარილოს ლამაზი კიბე მხოლოდ მასწავლებლებს ეკუთვნოდათ, ჩვენ კი გვერდით, რკინის მაგარი „რიკულებიანი“ და ასეთივე მაგარი სახელურებიანი განიერი კიბე გვქონდა, აბა! რა გაუძლებდა ამ ენერგიის, ძალის, გასწრების სურვილის და სწრაფვის მოზღვავებას, რაც დიდი ნაკადით მოედინებოდა ჩვენს კიბეებზე. ბატონ გია მურღულიას (გამოვხატავ დიდ პატივისცემას მის მიმართ) სატელევიზიო გამოსვლა ჰქონდა, სადაც იგი ამბობდა, რომ საერთაშორისო კონკურსზე ინტელექტის დონის კვლევაში მოიგეს კორეელებმა, პირველ და მეორე წელსაც, ამ წარმატების მიზეზი კორეელებმა ასე ახსნეს: „ძველი საბჭოთა სკოლის სახელმძღვანელოებიდან ვივარჯიშეთ“. მეხუთე კლასის გრამატიკის ძველი სახელმძღვანელო შევადარე ახალს და გავოცდი, წინადადებები დამძიმებულია, გრძელი, განმარტებები გართულებული.

20 მაისს სწავლის პროცესი მთავრდებოდა და იწყებოდა გამოცდებისთვის მზადება, ყოველი გამოცდის შემდეგ ცხადდებოდა ნიშნები. მაშინვე, დაუყოვნებლივ! იქნებ ვერ ჩააბარა მოსწავლემ და რატომ უნდა გააგრძელოს გამოცდები.

ახლა გადავდივართ „ევროპული სტანდარტებით“ რეფორმირებულ გამოცდებზე, ე. წ. „ეროვნულ გამოცდებზე“. იწყება გამოცდები და აგვისტოს შუა რიცხვებში მთავრდება, ეს პერიოდი უმძიმესი მოლოდინის და დაძაბულობის გაუთავებელი დღეებია. ბოლო არ ჩანს მშობლებისა და ბავშვებისათვის, ერთნაირად დამქანცველია.

რა გახდა ასეთი!

ჩვენ მეორე დილითვე ვიცოდით ნიშნები. ფსიქიატრიაში ცნობილია, რომ ფსიქოზი არ ემართებათ მათ, ვისაც უკვე მისჯილი აქვთ და იციან განაჩენი, ხოლო ფსიქიურად ავად ხდებიან სასჯელის მოლოდინში მყოფი პატიმრები.

რა გამოცდებია, თუ ბოლო არ ჩანს, თუ მოლოდინი სტრესსა და მოლოდინში ამყოფებს აბიტურიენტს და მის ოჯახს.

გინახავთ, უნარ-ჩვევები როგორია? არა მგონია, ამ უნარ-ჩვევების ჯერ კერძო მასწავლებელთან, მერე საგამოცდოდ მომზადებულმა დამწყებმა სტუდენტმა მეტი ლოგიკა, სააზროვნო საშუალებები, ზნეობის მეტი ნორმები გამოამჟღავნოს, ვიდრე იმ თაობამ, რომელსაც ეს უნარ-ჩვევები არ ჩაუბარებია.

პიროვნული თვისებები – ზნეობრიობა, სამართლიანობა, კეთილზნიანობა, გულმოწყალეობა, მორალი, პრინციპულობა – ყველაფერი ეს უნარია, ბოძებული ღვთისგან, რომელიც ადამიანს თან დაჰყვება (საბა, განმარტებითი ლექსიკონი). ჩვევებს მერე იძენს – ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. გამოცდები უნარ-ჩვევებში რას ამჟღავნებს – ცოდნას ზნეობის გარეშე? – უნარს მორალის გარეშე? ჩვევებს – ადამიანობის გარეშე? ამიტომ ეს უნარ-ჩვევები ჯერ კიდევ დაბალ კლასებში უნდა შეისისხლხორცოს ბავშვმა ოჯახში, უნარი თუ ექნა, ჩვევებს მერე შეიძენს, ოჯახშიც და გარემოშიც.

ამას რომ თავი დავანებოთ, აბიტურიენტს, რომელსაც ჟურნალისტობა უნდა, შეიძლება ბიოლოგიურზე მოხვდეს. იმას მაინც მივაღწიოთ, ნიშნების მოლოდინში არ ვამყოფოთ ისინი.

დანამდვილებით ვიცი, რომ ივანე ჯავახიშვილს უნარ-ჩვევები არ ჩაუბარებია, არც არნოლდ ჩიქობავას (ბიძაჩემთან ერთად სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში), არც ქართული ნევროლოგიის ოსტატს, ბატონ პეტრე სარაჯიშვილს, თქვენ წარმოიდგინეთ, არც განათლების ყოფილ მინისტრს, ფრიად განათლებულს ფილოსოფიაში, როგორც ამბობენ, მოაზროვნე პრეზიდენტობის კანდიდატს არა აქვს ჩაბარებული უნარ-ჩვევები, ისე რომ ვთქვათ, რაში ჭირდებოდა, ნიჭი და უნარი არ აკლდა, ჩვევები, ოჯახში და გარემოსთან ურთიერთობაში შეიძინა, ის ხომ ჩვენთვის მისაბაძი უნდა იყოს, მაშინ ვეკითხები მკითხველს, იქნებ უნარ-ჩვევების მაგიერ, ქართული ლიტერატურის და ისტორიის მეტი ცოდნა მოეთხოვათ ბავშვებისთვის გამოცდების პერიოდში და იქნებ პრეზიდენტობაზეც მეტი პრეტენზია ჰქონოდათ. ■

ბილეთი №13

შემოდგომის სევდაშეპარული თბილისური საღამო იყო. გზის გასაყართან ზამთარი ჩასაფრებულიყო და თავს გვახსენებდა; გარემოსავით, მეც ამინდის ხასიათი მეცვა…

სწრაფი ნაბიჯით შევედი ორთაჭალის სადგურში. იქ სიხალვათე იყო – აღარც ხალხი ირეოდა, ტრანსპორტიც კანტიკუნტად მოჩანდა. დავიგვიანე, ვიფიქრე გულში და პირველივე სალაროსთან მივედი...

– უკაცრავად, კახეთისკენ რამე გადის?

– ბოლო ავტობუსი თელავამდე... თხუთმეტ წუთში გავა, – მიპასუხა მოლარემ. თელავის გაგონებაზე ცოტა კი შევჭოჭმანდი, მაგრამ მერე ვიფიქრე, იქიდან რამეს გავყვები, ბოლო-ბოლო გზას ტაქსით გავაგრძელებ-მეთქი. ყოველ მიზეზგარეშე უნდა ჩავსულიყავი კახეთში, გადაუდებელი საქმე მქონდა.

– კარგი, ქალბატონო; ერთი ბილეთი, თუ შეიძლება.

– აი, ინებეთ, – მითხრა და თან სათვალის ზემოდან შემათვალიერა. ბილეთი გამოვართვი, ისე, სხვათა შორის დავხედე და: – რაღა მაინცდამაინც მეცამეტე ბილეთი?! ავტობუსი ცარიელია, – ვთქვი გაოცებულმა და მოლარეს მივაჩერდი.

– რა ვქნა, გენაცვალე, ახლა გავყიდე მეთორმეტე ბილეთი... იქნებ სულაც ბედნიერება მოგიტანოთო... რა იცი, რა ხდება... – გამიღიმა ჩემი ბედის გამრიგემ და ფანჯარა ცხვირწინ მომიხურა.

რა მექნა, ბედს დავმორჩილდი, ავედი ავტობუსში, რომელიც, ის იყო, გასვლას აპირებდა. ადგილის მოძებნა არ გამჭირვებია ჩემი თანამგზავრის წყალობით ცარიელ ავტობუსში მხოლოდ ერთი კაცი იჯდა – ბილეთი №12-ის მფლობელი – მაღალი, სიმპათიური, შავტუხა, ტიპური კახელი. სხვა გზა არ მქონდა, მივუჯექი გვერდით. ბილეთის გაცვლა არც მიფიქრია, ანდა ვისთვის უნდა გამეცვალა ადგილი, აკი გითხარით, ავტობუსში ჩვენს მეტი არავინ იყო.

ეს ამბავი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მოხდა. მოგეხსენებათ, მაშინ არც მობილური ტელეფონები იყო და არც სხვა რაიმე გასართობი, რომ დრო გამეყვანა.

ჩემს დანახვაზე შავტუხას სახე გაუბრწყინდა და სასაუბროდ მოემზადა. დაიწყო და... დაწვრილებით მომიყვა – ვინ იყო და სად მიდიოდა... რომ წარმოშობით კახელი ვარო (ამას ხომ უთქმელადაც მივხვდი), ახლა გლდანში ვცხოვრობო, თელავში დეიდასთან მივდივარ, ჩემს დეიდაშვილს დაბადების დღე აქვსო... ერთი პირობა სხვა ადგილას გადაჯდომაც განვიზრახე, მაგრამ ვიფიქრე, ისეთი ბედი მაქვს, გზად ვაითუ ვინმე უარესი ამოვიდეს და ახლა იმან გამიბურღოს ტვინი-მეთქი).

სიმართლე გითხრათ, მისი ამბავი საერთოდ არ მაინტერესებდა, ჩემს თავში ჩავიკეტე, ფანჯარას მივაშტერდი და მშვენივრად მოვახერხე შემომავალი ინფორმაციის დაბლოკვა. მალე სოფლებს ბინდი შეეპარა, ფანჯრიდან აღარაფერი ჩანდა და მეც დავიღალე გარემოს თვალიერებით, ჩემი თანამგზავრი იმ ეტაპზე იყო, რასაც „გაგება და სიყვარული“ ჰქვია. გარემოს თვალიერება რომ შევწყვიტე და ხმა ამოვიღე, ძალიან გაეხარდა (აქამდე, იქნებ, მუნჯიც კი ვეგონე).

– ინდე, მაგრე, შე დალოცვილო, შენა!!! ლაპარაკი გცოდნიაო...

ახლა ჩემი ჯერი იყო, – დრო ხომ უნდა გამეყვანა, დავიწყე ლაპარაკი და აღარ გავჩუმებულვარ. ისე, რომ ვთქვა, დიდი გულისყურით კი მისმენდა. მივაღწიეთ, როგორც იქნა, თელავს. ავტოსადგურში შევედით და მაშინვე ტაქსის ძებნა დავიწყე.... ისეთი თანხა დაგვისახელეს, ფეხით ნავსულიყავი, ჯობდა. არც არაფერი აღარ იქნებაო, დამამშვიდეს ადგილობრივმა მძღოლებმა – ასეთ დროი იშვიათია, იყოი ვინმე იქით წამსვლელიო...

ჩემმა შავტუხამ, რომელიც გვერდიდან არ მომშორებია, შეწუხებულმა შემომთავაზა: ეგრე ხო ვერ მიგატოვებ, წამოდი, ჩემი დეიდაშვილი აქვე ახლოსა ცხოვრობს, მანქანას ვეთხოვები და მე წაგიყვანო. არჩევანი არ მქონდა და დავთანხმდი.

სადღაც ათი, თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, მე ცოტა მოშორებით გავჩერდი, სანამ ის დეიდას ელაპარაკებოდა... ჩემდა ბედად, მისი მანქანიანი დეიდაშვილი სახლში არ აღმოჩნდა, – „აქვეა, გენაცვათ, გასული, ახლავე მოვა, შემოდით, ქა, სახლში დაელოდეთ... არა გცხვენიათ, გარეთ რასაი დგახართო... შესულები არ ვიყავით, თამადამ (რომელიც კახური სიკეთით იყო გაჯერებული), შემოსწრებულებს გაუმარჯოსო, დაიძახა და ყანწიც მოითხოვა; უკვე კარგად შეზარხოშებული იყო. კახელები ფეხზე ადგნენ და დიდი სიყვარულით შესვეს ჩვენი შემოსწრების სადღეგრძელო... ისე მშიოდა, ბევრი პატიჟი არ დამჭირვებია, მე და შავტუხა დიდი მონდომებით შევუდექით სუფრის შენაკლულებას... ამ დროს ვიღაცამ იხუმრა: – რა იყოთ, მტრის ოჯახში ხომ არ ხართო!? მასპინძელი გადაგვერია – მიირთვით, გენაცვალე, ამაი ვინა კითხამს, ეგ მე ვიციო… ამასობაში ღვინოც ჩამომისხეს… უარი ვთქვი, არა, არ ვსვამ საერთოდ-მეთქი და – ვიცი, ვიცი, ღვინო რა საკადრისია, კონიაკი გაუხსენიო, ეგ როგორ შეგვეშალაო... ჩვენი მოსიყვარულე მასპინძელი ნამეტანი ყურადღებას გვაქცევდა. ახლა კონიაკი ჩამომისხეს და, რომ არ დამელია, უკვე აღარ გამოდიოდა, მოკლედ, გახურდა ქეიფი... სად იყო, სად არა, „მუზიკანტებიც“ შემოგვიერთდნენ. ჩემი შავტუხა ორი ყანწის წყალობით უკვე ისეთ გუნებაზე დადგა, ხელიც გაშალა, აბა, ტაში, ტაშიო და გადამიცეკვა კიდევაც. მაშინ კი ვიკადრე, სუფრიდან წამოვდექი და, სანამდის კიდე შეიძლება რამე შევცვალო, გარეთ გავალ-მეთქი, ვიფიქრე. ჩემი ადგომა და სამი კარგა მოსული ქალბატონი უკან დამედევნა. ვიფიქრე, ავუხსნი სიტუაციას-მეთქი და დავიწყე: იცით, რა... ვიცით, გენაცვალე, იგეთი ოჯახია, ჩიტის რძეი არ მოგაკლებენო... მეც ეგრე გავყე ჩემ ქმარსა და დღეს სამი შვილი გვყავ, მაშაა, – მითხრა ფაშფაშამ, მეორემ, რომელიც გასასვლელ კარებს სიგანეში ფარავდა. აქ ძალით არაფერი გამოვიდოდა, ახლა ხერხით უნდა მეჯობნა, დავბრუნდი სუფრასთან და, რახან არავის ვიცნობდი, ისევ „იმაი“ მივუჯექი გვერდით, მაგრამ კახურად რომ „ვთქოო“, „იმაი კი ვიცნობდიი, რო“. ჩემი ოქრო ჩემთანო, დაიძახა სასმელით გათამამებულმა, ასე ვთქვათ, სასიძომ და ტაშიც დასცხო... მერწმუნეთ, იქ იუბილარი აღარავის ახსოვდა, ისეთი ამბავი ატყდა... აღარ ვიცოდი, რა მექნა და ისევ ჩემი შავტუხას შებმა დავიწყე... ახლა სახლში წამიყვანე და ხვალ ჩემი ფეხით გეახლები-მეთქი... ერთი გულიანად გაიცინა, დღევანდელი კვერცხი გერჩივნოსო, არ გაგიგონიაო? კაცოო, ახლა კი მართლა გავბრაზდი: რა კვერცხი, რა ქათამი, მე აღარ მეკითხებით?! არც კი გიცნობ... ვინ ხარ-მეთქი?!

მე ძაან კარგად გიცნობ, მთელი გზა გულისყურით გისმენდიო, რა აზრიც გამოთქვი, ყველა მომეწონაო და რა ვიცი. სხვა რომ ვეღარაფერი ვაწამე, მოდი, გავიპაროთ-მეთქი, შევთავაზე და ახლა ამაზე იცინა: აბა, მითხარი, ამაზე კაი ადგილაი სად წავალთო... (გულში გავივლე – ეგეც შენა, კონიაკს რო უჭახუნებდი, აბა, რა გეგონა-მეთქი). ცოტა ყურადღება როგორც კი მოდუნდა, შეუმჩნევლად ავდექი და ჩუმად გაპარვა დავაპირე. ის იყო, კარს მივუახლოვდი, რომ უკანიდან მესმის:

„რათა, შვილო?! რათი გვიწუნებ? ქორწილს გვიშლი. ვაჰ, ეს რა იციან ამ ახალგაზრდებმა“'-ო... ის ფაშფაშა ქალი ისე სწრაფად ლაპარაკობდა, სიტყვის თქმა არ მაცალა – ისევ შემომაბრუნა სუფრასთან. მგონი, იმ ქალს ყველაზე მეტად უნდოდა ჩვენი დაქორწინება. ღმერთს ვევედრებოდი, ოღონდ ახლა მშვიდობით გამიყვანა და სხვა დროს კონიაკს სათოფეზეც არ გავეკარები-მეთქი. თამადა გააქტიურდა, ახლავე დარეკეთ და ბიჭის დედას შეატყობინეთ, პატარძალი მოგვყავ, სუფრა გაშალოსო... თან თადარიგი დაიჭირა: აქედან ყველა თბილისში მივდივართო...

ვაიმეე, ძლივს ჩამოვედი... ახლა ისევ თბილისში? რას მერჩით, რა გინდათ... ისევ ის სამი მოსული ქალბატონი დამიდგა გვერდზე. სირბილით მიმიყვანეს მანქანამდე, თან ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ თავი ფეხით მოგვყვებაოოო. „მუზიკანტები“ ერთ მანქანაში ჩასხდნენ, რომელიც ჩვენი მანქანის გვერდით იდგა, და, რაც ძალი-ღონე ჰქონდათ, გაჰყვიროდნენ ამ ოჯახში მტრედი ბუდეს იკეთებსო...

რა მტრედი?! რისი თბილისი? ძლივს ჩამოვაღწიე თელავამდე... არ მინდა გათხოვება, ხალხნოოოოო!! ვყვირი, მაგრამ ვინ გისმენს. ის იყო, ყველანაირი იმედი გადამეწურა და ვიფიქრე, რაც იქნება, იქნება-მეთქი, რომ ჩვენი მანქანის მძღოლმა, რომელიც სამართალდამცავი აღმოჩნდა, დაიძახა: „მე მგონი, აქ სხვანაირადაა საქმე,! მითხარი, შვილო, შენხელა შვილი მყავ, მენდე და ხელსაც ვერავინ ვერ გახლებსო... მომისმინა, მერე თავში ხელი შემოიკრა: რასა შვრებით, ჯო! მაჭერინებთო? ამ ხნის კაცი ვარ და ამისთანა რამეი არ შავსწრობივარო, ემ ბალღს ხელს ვერავინ ვერ ახლებს, პირობა მივეციო... უი, გაგახარა ღმერთმა, ძლივს ერთი ნორმალური კაცი არ გამოჩნდა, –ვიფიქრე გულში. – აბა, მითხარი, ვინა ხარ? სად მიდიხარ? და მე მიგიყვანო...

დავემშვიდობე ჩემ „საოცრებას“ და ვთხოვე, თვალით აღარ დამნახვებოდა, რაც მერე ვინანე, რადგან ცოტა ხანს მიყვარდა კიდეც. ასე დამთავრდა „მოტაცება კახურად“, ანუ ბედნიერი „ბილეთი №13''.

P.S. ძალიან ლამაზი ქალაქია თელავი. იქ თუ მოხვდებით (არა, ასეთ სიტუაციას არ ვგულისხმობ), არ ინანებთ: განცვიფრდებით კახელების სტუმართმოყვარეობით, სიალალით, და განსაკუთრებული იუმორით. სიტყვებით ვერ გადმოსცემ იმ განცდას, რაც ამ ქალაქში მოხვედრილს მისი ნახვისას დაგეუფლებათ, განსაკუთრებით წლის ამ პერიოდში.

აი ასე… ამ ალალად მდიდარ სამფლობელოში სიყვარული სუფევდა, საღამოს თბილი ნიავი სასიამოვნოდ გვეფერებოდა და შემოდგომის სურნელით გვაბრუებდა, ჰოდა, რა გასაკვირია, კაცს ცოლის მოყვანა მოსდომებოდაააა!

ლხინი იქა, ლხინი აქა.

მერი-მარიამ გიგაური

●

...მე ვარ სიჩუმე,
მყუდროებას არასდროს ვარღვევ,
არავინ მიცნობს,
ვერვის შეხვდები სიჩუმის მნახველს,
ვარ უტყვი სევდა,
სიყვარულის თანმდევი სითბო...
არავინა ვარ,
მხოლოდ სიჩუმის ნიჭი გამომყვა.
ჩემს უტყვ გულისთქმას
ხან მზის სხივებში,
ხან კი თოვლის ფიფქებში ვმალავ.
არაფერს ვითხოვ,
და თუკი მიხმობ,
მე მოვალ და სიჩუმით მიცნობ.
არავინა ვარ.
ალბათ, ჩემი ლექსის მუზაც
სიჩუმე იყო.

დრო სახელდების

ისე მიგვქონდა შემოდგომა
ჩვენი სულიდან,…
ფოთოლნაყარზე ავაყვავეთ გაზაფხულები,
გვჯეროდა კიდე დადგებოდა
დრო სახელდების,
ვაყურადებდით, არ გვესმოდა
მტკიცე ფეხის ხმა.
გვქონდა შეკითხვა და პასუხი
შეხვედრა ღმერთთან,
ჩვენ ერთმანეთიც შევიძინეთ
ღალატთან ერთად,
ისე დავშორდით საუკუნის გზის გასაყართან,
რომ დაბრუნებით „გამარჯვება“
თავიდან გვეთქვა.
იყო წვიმებიც, უსასრულო ქარტეხილები,
არ გვასველებდა, რადგან
ჩვენი ქართული გვეცვა,
როცა ვისწავლეთ საუბარი უფალო, შენთან,
ნაკლებად შორი მოგვეჩვენა
მიწიდან ზეცა.

ეკას

(საღამოს საუბრიდან)

ღამის ანაზდეულ ლანდებს ვებრძვი,
ვებრძვი ცხოვრებიდან გადმონაშთებს.
წუხელ კიდევ ერთხელ გესაუბრე...
ვძლევთ და უნდა ვძლიოთ კიდე რამდენს?!

სხვა.. სხვა უფრო ნაკლებ, უფრო მეტად,
სულის სამყოფელი „გვენაკლმეტა“,
მოდის უნაყოფო… ნაირ-ნაირ,
შეპარ-შემალული… წარსაწყმედად.

დროის ყიდვა-ყიდვით ვხასიათობთ,
ვკარგავთ ძლივს მიღებულს ნიშანსვეტად.
შანსი მოცემული რარიგ გვიღირს,
რად ვბევრობთ?! რად არ გვეხარბება?!

უფლის სიყვარულით ნაზიარებ –
ქართულს ვილოცებით სადიდებლად,
გული ყოფილაო თვითონ ღმერთი,
ჩვენში ამიტომაც ასე ფეთქავს.

ნაუწყვეთი

ძველი რვეულიდან

თავს ვიქცევ

გაპრანჭვას ჯობს სადად ყოფნა,
სად რკინა და სად აგური,
ჯერ კი ვუძლებ, არ თავდება
ყოფნა ჩემი, სადაგური,
შემიტყუა, ეს ქვეყანა
მახე არი, სათაგური.

ძველი საავადმყოფო

გალავნიანი ეზო, შენობა –
გაცემულია აქვე, იჯარით;
შემოხვევია სუროს ენები,
დგას პოსტამენტი, ნაილიჩარი.

ჩაძირული უტოპია

კვლავ წარმოსთქვამენ სიტყვებს გიზგიზას,
ბევრი ამაოდ ყეფს;
ვიღა ირწმუნებს კომუნიზმისას,
რუსულ-მონღოლურ ბლეფს.

ახალი ეპოქა

ქაღალდი ცეცხლის ფასია,
სიძვირევ, გული მომიკალ,
ისე ჰგავს, ლექსის მტერია
საბაზრო ეკონომიკა.

ჩვენ, საწყლებს, წყალი წაგვიღებს,
იმედი არ გვაქვს ტივების;
დადგა ეპოქა უწყალო –
წყალწყალა დეტექტივების.

წინამძღოლები

ვისი ტიკი-ტომრებია
ან რა ჭირი ელანდებათ,
გადაქელეს საქართველო
თვითმარქვია ბელადებმა.

დღევანდელი ჰონორარი

ოქრო ხურდაში გავცვალე –
ღმერთი არ არი მართლა –
ვბეჭდავ ათი წლის ნაწვალებს,
მოლარე მიწვდის ათ ლარს...
ერთი სიკეთე კი ახლავს –
ბევრი არ უნდა დათვლა.

მცირე მონახაზი

გიცნობენ, როგორც წირპლიან მგოსანს,
არ დაგიმალავ, ჩემთვის ურგია –
ეგ შენი ესეც, ეგ შენი პროზაც,
ეგ ლექსი და ეგ დრამატურგიაც.

სადისტად გაჩენილი

(კრიმინალური სამყაროდან)

ვის ეპარები უკნიდან,
ბილწო, ბოროტო ტურავ,
არსებას, ცოცხალს, რატომ კლავ,
შენ გააჩინე თუ რა?!
ღირსი ხარ, სული ამოგხდეს
ასევე სადისტურად!

ზოგიერთთა გასაგონად

ლექსებიც და წერილებიც
იწერება საჯაყი,
ფრთხილად იყავ, კოსრა თავში
არ დაგიშვან ნაჯახი.

არაფერი შეცვლილა

„გოგრა ვერ გახდება
შირაზის შუშა“...

თქვეს, დაწერეს – ჯინჯოლია
თურმე გახდა აჯინჯალი;
შუშა კიტრად ვერასოდეს
გადიქცევა ბადრიჯანი.

აკაკისებური

სხვას რომ ჰგონია, ის არ ხარ,
შენ რომ გგონია, არც ისა,
ფრთები შეკეცე, შე კაცო,
ასე რამ გაგანარცისა?!

ეკოლოგიური კატასტროფის წინადღე

წუხილმა წელში ვით არ გამხაროს,
მოწამლული მაქვს გული, გუნება;
ღმერთის აწყობილ, შექმნილ სამყაროს
ბოლო მოუღეს მაიმუნებმა.

თავს ვიღუპავთ

რა დროს გურულობაა და
რა დროს მეგრელობა?
მალე ამდენ გიჟის ხელში
გვეტირება ყოფა.

ღვთის რისხვა

სასჯელს რომ ვიხდით, ცხადია,
რამდენი რა გვაქვს ნაზღვარი;
ქართველი თუ გათახსირდა,
არ იცის ზომა-საზღვარი!

გაბუქული

არ მჭირდება მე შენთან
ხმალ-ისარი, თოფი;
ისე, რამე რომ იყოს,
ლუკმად არ მეყოფი!

ხვადაგი

კაცად არასდროს ვარგოდი,
ნამუსს ვერ გატყობ ერთ ბენოს,
ღირსი ხარ, გაგილაწუნონ,
შე მართლა ვირო, ბეხლეწო!

აგუგუნებული კაფე

შამპანურზე, კონიაკზე
ერთურთს პატიჟობენო,
არის ლოშნა, ჭახაჭუხი,
მჭახე ბგერებს შობენო,
აქ სხვა ხტუნვა-გრიალია,
ვინ მოგისმენს, შოპენო?!

მოთქმა არაფერს უშველის

თავზე ცა დაგმხობია,
ნუ იძახი: ოხ, ოხო!..
ოხვრას ბევრად ჯობია –
მტერი შენი ახოხო!

საქმის ვითარება

რა დროს უაზრო ფიცი-მტკიცია,
სულ არ მჭირდება ფუჭი რენომე;
წიგნი ვერაფრით გამომიცია,
ვარ კლასიკური უპატრონო მე.

ყველაფერი თქვენია

გადაგვაქციეთ მონებად,
არაფრის არ მაქვს მე ნება,
სახელიც თქვენ და ქონებაც,
მწერალო ბიზნესმენებო!

ჩემი თაობა

წელიღა დაგვრჩა ათიოდე,
თავი გვეჭრება, ვიჯაყებით,
სანამდე უნდა დავდიოდეთ
ჰუმანიტარულ პიჯაკებით?!

„მკვლევარი“

იკვლევს არქეტიპს, ეძებს იპოსტასს
და ბოლოს მიდის ოიდიპოსთან.

მკვდარი ძვირფასი ხდება

ასავალ-დასავალს ვინ ჩაწვდეს სულთა,
სიყალბის ფესვსა თუ ფუძეს?
იმას არ უყვარდა, ამასაც სძულდა,
ის მოკვდა, ეს ლექსებს უწერს.

მადაზე მოსულს

ნამდვილად მისაჟეჟი ხარ,
ეს რა წესია, ძამო,
დაკლა, გაჟუჟო ღორები,
მერე მუჟუჟი ჭამო?!

უკულმართობა

ხშირად ხდება – „ფინაჩი“
სუფთად გადის ფინალში.

სვიანები

ნეტა სადა დევს ამჟამად
(ფიქრები დამესია) –
„დახურულ მაღაზიებზე“
მიმაგრებულთა სია?!.
რა ანისი და კრწანისი,
რის ნაღდი, რის ნისია?!
თუ გაჩნდი, კიდეც ივარგე,
ცხოვრება ამისია,
მისცხე, არც უნდა გაგაჩნდეს
სხვა გეზი, სხვა მისია!

უბედური შემთხვევა

(ვაჟას სათაგური გამახსენდა)

საკუჭნაოში წრიპინებს თაგვი,
იქ, საცა ლურჯი ვედრო დგას ნაგვის:
სატრფოზე ოხრავს, ვინ დამიწყევლა,
ხაფანგში მოჰყვა ჩემი ფიცხელა.

ქართული რეკლამა

(ხელში ასაფეთქებელი სასმელი)

არ ვიცი, ვინ ვის აჯობა,
აღარც ის – ვინ ვის ერჩოლა;
მსოფლიოს ყველა შამპანურს
გადაუჯოკრავს „თერჯოლა“.

მომიტინგეთა ნარჩენები

ნუთუ პირში ამ გიჟებს
ჩვარს არავინ ჩაჩრის?!
გმირად უნდათ კურთხევა –
მოღალატის, ლაჩრის.

გაგრძელება იქნება

გუტა ფორია

გრძნობათა ქაოსი

ესკიზები



ბორის დავითაია

ტკივილი

„ტკივილს ჭიქაში დანით ვერ ჩათლი“...

სხვანაირადაც ამბობენ : „ჭიქა არაყი ტკივილს შველის“-ო.

მაგრამ არაყი სხვაა, ჭიქა – სხვა.

სულს ტკივილი მუსრავს, ჭიქას – ქვა; არის და არც არის საერთო მათ შორის.

ტკივილი უდაბნოს გველივით დაგგესლავს და უმოწყალოდ შეგატოვებს ვეება სივრცეს. დათრგუნვილს საოცრად გინდება, განერიდო წუთისოფელს და რჩები განუსაზღვრელობის პირისპირ...

ტკივილი ბნელეთიდან გადმოხვეწილი საშინელებაა. და მე მაინც ტკივილს მივენდე. ჩემს ბედს ტკივილის ღადარში ვაწრთობ. ალბათ, ამ ტკივილმა გადამარჩინა მაშინ, როცა ძალიან მიჭირდა.

შეუძლია ტკივილს შველა?.. ნუთუ მხოლოდ ბოღმიანთა მოგონილია ეს!.. ჭიქა არაყიც, ღვინოც...

გულიდან ადვილად ვერ გაცოცხავ იმას, რაც სულს ძალიან ემწარება. ამიტომ, იქნებ, ერთია სული და გული, ან სულაც სხვადასხვანი არიან... რადგან, ზოგჯერ სულს რაც სწადია, მას გული ეურჩება. გულისნადებს კი სული ეწინააღმდეგება და ეს, იქნებ, სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი მოვლენა!

დიახ, ტკივილს დაგეშილი გუმანი აქვს და ეკლიანი ისრებით სულს შხამავს. იქნებ, გულის სევდას სული ყაჩაღივით ჩასაფრებია და სხვანაირად არც შეუძლია?.. ამიტომ ისინი განუყრელნი არიან – მთისა და ნისლივით.

ნისლი და ბური ტკივილის ძმობილია და არც ენაღვლებათ, მთას როდის რა უხარია და როდის რა არა.

იქნებ, არის გამოსავალი ან არც არის?

ტკივილი სიხარულის მტერია და უბედურების ძმობილი...

ცრემლი ტკივილის საზრდოა და ბედნიერების მოშურნე.

და ორივე ავაზაკივით იმალება არსებობის გუდაში და, როგორც ნაჯახით ვენახის მჩეხველები, უმოწყალოდ ირჯებიან და მიზანს აღწევენ.

შესაშურია ტკივილთა სოლიდარობა: ეს უკეთურნი და ავნი, თითქოს ერთმანეთის საფანელითა და ილაჯით მტკიცობენ და საოცარ ერთგულებას ავლენენ სიხარულზე, სიცოცხლესა და ბედნიერებაზე იერიშის მისატანად...

რადგან ცხოვრება კამათელს ჰგავს, რა დაჯდება ბედისწერის კაზინოში, არავინ იცის, თუმცა ერთი მუდამ უნდა გვახსოვდეს: სალმობა და უბედურება ეულად ზეციდან მეხივით ჩამოიქცევა თუ ჭაობიდან შრეკივით ამოძვრება, გული სამყაროს ხელა უნდა გქონდეს, სული კი მთის წყაროსავით ანკარა და მაშინ ყველაფერს ეშველება.

მაშინ ტკივილის მაჭანკლები უკან დაიხევენ.

და მაინც, თუ არ დაგითმო და ინდომა შეწინააღმდეგება, მაშინ რჩევისთვის ნურავის მიაკითხავ... მხოლოდ იფიქრე, იფიქრე და მიხვდები, რომ ტკივილი ადამიანის ყოფის ნაწილია და მასაც სწავლა და მიღება უნდა ისე, როგორც ამ ქვეყანაზე ყველაფერს. ისიც ზოგჯერ მარგებელია, როგორც შხამის წვეთი.

ხარკს ისევე ითხოვს, როგორც სიცოცხლე და სიყვარული.

მაინც რა არის ასეთი?

იქნებ ყველაფერი აბსურდია – თვით ცხოვრებაც კი!

დრო და შენ

ჰო, როგორ მინდა, ჩემი სულის ჰანგები არ გაცვდეს ქარში.

გიმზერ გონების თვალით და დუმილის დაშვებული აფრით. უპირველეს ყოვლისა, ვებრძვი დროს. დროს, რომელიც უმოწყალოდ ანგრევს ყველას და ყველაფერს. დრო იწელება და, ისე სწრაფად ნაწილდება წლებად, საათებად, წუთებად და წამებად, რომ, სამწუხაროდ, უკან მოხედვასაც ვერ ვასწრებთ და როგორც ქვაზე ვერაფერს დარგავ, დროს ვერ შეაჩერებ:

დრო აღარ იცდის, დრო უღვთოდ გარბის... მიდის, მიძალიანდება...

იქნებ, გგონია, ამის მიზეზი საათია, ჯადოქრის მიერ მოგონილი დროის აღმრიცხველი ?

ან დროის საზომი მზის ამოსვლა ან ჩასვლაა?

ცდები, ჩემო კარგო. ამბობენ, მაშინაც კი, როცა საათი ჯერ გამოგონილი არ იყო, ტრიალებდა დედამიწა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა დრო...

მაშინაც იბადებოდნენ, იზრდებოდნენ და ამ მშვენიერი სამყაროდან მიდიოდნენ. ყოველი ამის მიზეზი დრო იყო და არის. დიახ, დაბადებაც ითვლის დროს, ახალგაზრდობაც და დროს მოაქვს სიბერეც. თვით დრო უსვამს წერტილს სიცოცხლეს სიკვდილით.

დრო უმოწყალოა!.. თოფშემართული ყაჩაღივით გვაცხრება თავზე!“... ველოდებით, ის უჟამო და დაუსაბამო როდის შემოგვსალტავს მსახვრალ ხელებს. მე უკვე ვგრძნობ, რომ თანდათან ვილევი, ვპატარავდები.. დუნდება ჩემი მგლური მუხლები, ითენთება ჩემი ზამბარასავით მოქნილი კუნთები, იშრიტება ხანძარივით მოლაპლაპე ჩემი სული...

რა გაეწყობა? ვემორჩილები უნებლიეთ, როგორც მისაღების გარდუვალობას.

თვით წელიწადის დრონი: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი: ფურცელ-ფურცელ გადაიშლებიან და ცარიელ ქაღალდებს დაემსგავსებიან დროის გარეშე. .

უფალო, თავად შექმენი და შემოგვთავაზე ასე, ნება თქვენია.

შეძლებს კი ვინმე, დროის შეცვლას თუ შეჩერებას?

შავი წვერის არგათეთრებას?.. ახალგაზრდის არ დაბერებას?

რკინის ჟანგისგან დაცვას?.. დედამიწის ტრიალის შეჩერებას?

იქნებ, არც უფალია ამის შემძლე?

მხოლოდ მზე, მთვარე და დროა მარადიული?

დროის მოქიშპე მხოლოდ სიყვარულია! – გრძნობათა ეს უხილავი ჯადო, თუმცა ხშირად ავგოროზი?

მოდი, დროს გავეჯიბროთ, ერთურთს ტრფობა ვაჩუქოთ, მზეს და მთვარეს სითბოს და მფარველობას დავესესხოთ!

დამიჯერე, მხოლოდ ამაშია შველა და ხსნა და არა ზღვის გადაღმა ან მთებს იქით. თუნდაც ვარსკვლავთა გროვაში რაღაცის ძებნაში .

შველა მხოლოდ დროის მოგებაშია: ყველაფრის მოსწრებაში, მისაღების მიღებაში, მოსამკელის მომკაში...

დაგვიანება დროის ნაცარია. როგორც ღადარში შთანთქმულს ვერ აღადგენ, ისე დაკარგულ დროს ვერ აინაზღაურებ. დრო ქმნის ისტორიას და საკუთრად მიითვისებს ყოველივეს...

რადგან სიცოცხლე და ბედნიერება ჩვენით არ იწყება და ჩვენით არ მთავრდება, მოდი, დროს დავასწროთ, დავასწროთ კიდევ იმიტომ, რომ ეს შეჩვეული სიცოცხლე გავა და უნებლიეთ, დაუპატიჟებლად გველაძუა სიკვდილი ეულად მოგვადგება კარს.

ახლა დროის ქროლაზე ფიქრი მტკივა სხვა ტკივილზე მეტად.

და ... შენ და დრო ხართ განუყრელად ჩემთან.

გამიღიმე

უცნაური როდია, როცა რაიმეს ვპოულობთ, იმავდროულად რაღაცას ვთმობთ ან ვკარგავთ უეჭველად.

იქნებ, გაკვირვებით მკითხო, ძვირფასო, ეს რა ფილოსოფია მოგიგონიაო?

ძებნა და პოვნა სასიამოვნო რამ არის – სიხარულის მომგვრელი. სიკეთისა და ბედნიერების ნაწილი. ხოლო დაკარგვა საპირისპიროა!

იქნებ, ფიქრობ, ეს მოვლენები ერთდროულად არ ხდებაო?

დამიჯერე, ძვირფასო, ერთი მეორის ხარჯზე ზეიმობს: ჩვენ ყოველდღიურად ვიხარჯებით, გავცემთ ენერგიას, სითბოს, სიყვარულს, იმავდროულად მას ვიღაც იღებს, – ამით ის ცხოვრობს, ლაღობს, ხალისობს...

იქნებ, ასე მარტივად უფრო გასაგებია?

ისევ გაუგებარია?

აგიხსნი კიდევ ერთხელ. შენი პოვნით რაღაც მნიშვნელოვანი შევიძინე, მაგრამ იმავდროულად რაღაც უნდა გავცე და დავიხარჯო. სხვანაირად უბრალოდ არ გამოდის. შენც უნდა მომბაძო. გასცე რამე, რომ მიიღო სასურველი. აი, პოვნა – გაცემის უბრალო ფილოსოფია.

სახე რად გაქვს მოქუფრული!.. მაინც ვერაფერი გაიგე?

როგორც აგიხსენი, ზუსტად ამგვარია სამყაროს არსებობის არითმეტიკა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ანგარიშიანობა გვმართებს. ამაში არ მეთანხმები?

რად დუმხარ?.. გევედრები, დამიჯერე, რაღაც უნდა გასცე, რაღაცა დათმო, თუ გინდა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი შეიძინო!

დარწმუნება გიჭირს?

სხვანაირად როგორ აგიხსნა? სულის ფრთებია საჭირო, ვით სივრცე, ვით მაჯისცემა... როგორ შეგიძლია, ცხოვრებაში ეული იყო. არავის ენდო, არავინ გენდოს?

საშველი უსაშველოდან გამოსავლის პოვნაშია. ვიცი, მაცდუნებლად მუდამ ეშმაკი დაგვდევს, სამტროდ ჩაგვსაფრებია. სწორედ ამიტომ გვჭირდება ერთმანეთის სითბო და ღიმილი. ნუ შეგაშფოთებს ის, რომ რაიმე დაგაკლდება, დანაკლისს მე შეგივსებ, – ვალია ეს ჩემი .

რატომ არაფერს მპასუხობ? იქნებ, დაგარწმუნე და აღიარება გიჭირს?.. ვგრძნობ, უკვე აგენთო თვალებში შუქი. ბედის ღადარში სულის გამობრძმედაზე თანხმდები?

მაინც არ გჯერა?.. ღმერთოო!

თურმე, როგორი მომჭირნე ყოფილხარ?.. არ გსურს, რაიმე გაიღო, რომ დაგაკლდეს. ეს სიძუნწეა, ეს კრიჟანობაა! იცოდე, წავალ, ზურგს შეგაქცევ!

წავიდე! მოგშორდე!.. დაგეხსნა?.. უიმეე! შენს ცდუნებას არ ვცდილობ, დამიჯერე. დათმე რამე, გამოიმეტე, გახდი გაბედული და ამით ბედნიერი იქნები...

სხვა მოვძებნო და ის დავაჯერო?

მაგრამ, შენ რომ უარგყო, ვინღა შევითვისო და შევიმიჯნურო?.. განა ასე ადვილია უარყოფა იმისა, ვინც გენატრება და ეტრფი?.. სევდას ჩაგბარდე!.. უპეებზე ცრემლის მუდმივი ცივი გუბე გავიჩინო და ბრმა ტყვიასავით მძიმე გავიხადო ხვედრი?

ტირი?

ვატყობ, შენი ნდობის ქარავანი მტვრიან ტრამალზე თვლემს. გავა ჟამი, სიცხადე მოვა და, რაც ახლა მშვენიერებად იღვრება და გასხივოსნებს, ფერფლად იქცევა. გჯეროდეს ეს.

ვგრძნობ, ორივეს ერთი რამ გვწადია, ამიტომ, გთხოვ, დათმო რაიმე, მარგო, მიბოძო საბოძველი. მზე მაშინ არის სანატრელი, როცა საკუთარ მოვალეობას ასრულებს, – ანათებს და ათბობს სამყაროს.

აი, ასე!.. გამიღიმე. ესეც მადლია ადამიანური.

ფერები

რა დამავიწყებს, რომ ყველანი ბავშვობიდან და ბრჭყვიალა ფერებიდან მოვდივართ.

დაილოცოს ის სათავე, ფუძე და ფერთა ულევი სკივრი, რომელიც კონა-კონა საჩუქრად გვიბოძა უზენაესმა.

წითელი, ყვითელი...

მწვანე, ლურჯი...

ვგრძნობ, ვგრძნობ კი არა, მოწიწება შენდამი ისეთივე მარადიული, წმინდა და ულევია, როგორც მთის წყარო ჩუხჩუხა და თოვლიანი მაღალი თეთნულდი.

რა არის ყოვლის მიზეზთა მიზეზი?

რა არის ან მშვენიერება, ან სიცოცხლე ან თუნდაც ფერები?

მსგავს შეკითხვას მაგიური უნდა ერქვას, რადგან მათზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. მიუხედავად ხელოვანთა ცდისა და განმარტებებისა.

ნუ მეტყვი, ცდებიო. დედამიწაზე არ მეგულება ისეთი სრულყოფილი ადამიანი, შენ, რომ არ ხიბლავდე. მეც ვერ ვიქნები ეული, თვალდაფსილი, გულდახურული...

ცისარტყელას ხომ თვალები ცნობს და გრძნობა აღიქვამს?

ჩვენში ისე ღაღად, ისე უშუალოდ შემოდიხარ, შენეულ ადგილს ეულად იკავებ და მარადიულად რჩება. სხვა ვის შეგადარო?

ესთეტიკას, ემოციას, ხასიათს ქმნი...

მისტერიის, ცხოველმყოფელობის, მოვლენის ემპირიული შემეცნების სათავე ხდები...

შენშია მარადიულობა. იგი გავსებს და გამდიდრებს.

სადაც ფერთა მეჯლისია, იქ ჭეშმარიტებაა, სიცოცხლეა, აღტაცებაა...

ნუ მეტყვი, ვარდი ჭკნებაო!

ვარდი ჭკნება, მაგრამ შენ არ ქრები, არ ხუნდები ჯადოქმნილო. დაუსაბამოდ ულევი ხარ. თუმცა დაბრმავება საკუთარ ბრწყინვალებასაც ძალუძს.

შენ, ყოვლის მომცველო, ზღაპარს იქით ხარ, მის მიღმა. შენს გარეშე არც არაფერია მშვენიერება და სილამაზე...

რას მიგამსგავსო! რა გიწოდო, რა გაგიბედო, ფერო დიდებულო?

ნატიფი, მწყაზარი, ნარნარი, სხივცისკარა, თვალცელქა თუ კოპწია?..

იქნებ, ყველაფერი ერთად?

შესამკობი არ მენანება... ვალშია კაცობრიობა შენს წინარე.

ვიცი, ტლუსა და ბეცს ვერ იტან...

გვალაღებ და გვახალისებ, გვრთავ და გვაკოხტავებ და, ვისაც შენით დატკბობა სურს, სრულებით არ არის საჭირო, ასლად გაგიხდეს, რადგანაც ცდა უშედეგო იქნება – შენ ხომ განუმეორებელი ბრძანდები, ფერო დიდებულო!..

შენებრ ქარაფებს უშიშრად ვინღა დაეკიდება, ნეტარქმნილო?.. ლექსების სტრიქონებად ვინ იქცევა, ვინ გადმოიფრქვევა ეკლესიების ფრესკებიდან და ფერწერული ტილოებიდან?

შენ, შენ, მხოლოდ შენ და კიდევ შენ...

„ზოგიერთი ლექსი ზეპირად ვიცი, ხშირად ვიმეორებ მათ და არასდროს მავიწყდება“, რადგან ვიცი, ფერებთან ერთად აკვნიდან მომყვება. ■

ოთი ჩანტლაძე

პატიება



ძველ ამბავს გიყვებით: „სამნი ძმანი გურულები“ – გოგი, კოტე, აჩიკო – ვერაზე ცხოვრობდნენ, ჩვენს მეზობლად; ბიჭებს დედა ზრდიდა, ნინა დეიდა, გაანათლოს ღმერთმა იმისი სული; მამა მეორე მსოფლიო ომიდან არ დაბრუნებულა, ჰოდა, გოგის, აჩიკოზე თითქმის ათი წლით უფროსს, ჭაბუკობაშივე მოუწია ოჯახის თავკაცობა, ეს კი იოლი რამ არ გახლავთ, მით უფრო, თუ აჩიკოსნაირი ძმა გყავს – ცელქი, მამლაყინწა, თავისნათქვამა. გოგი, ნაადრევად დავაჟკაცებული, როგორღაც ახერხებდა უმცროსი ძმის დაუოკებელი ენერგიის მოთოკვას, მაგრამ ერთხელ ისიც ჭკუიდან გადაიყვანა აჩიკოს ონავრობამ და ბიჭი ხუთმეტრიან საკუჭნაოში შეკეტა:

– ბოდიშს სანამ არ მომიხდი, მივქარე და მაპატიეო, მანამდე მანდ იქნები!

გავიდა საათი – საკუჭნაოდან ჩამი-ჩუმი არ ისმის. გოგი შეფიქრიანდა, ერთი სული აქვს, სანამ აჩიკოს ხმას გაიგონებდეს... ბიჭი უტეხად დუმს. გადის მეორე საათიც და, როცა გოგიმ გადაწყვიტა – გამოვუშვებ, ეგ ბოდიშის მომხდელი მაინც არ არისო, საკუჭნაოდან გაისმა:

– გოგი!

– ჰო, – გაუხარდა უფროს ძმას, იფიქრა, პატიებას მთხოვსო.

– გოგი! – ყვირილზე გადავიდა გოგის „პატიმარი“.

– რა იყო, ბიჭო, რა გაყვირებს?!

– გოგი, არ მაპატიო!

– რაო, რაო?

– არ მაპატიო, გოგი, არ მაპატიო! გესმის, გოგი, არ მაპატიო!

...

აჩიკო – იგივე არჩილ გოგელია – უკვე სამოცდაათს გადასცდა, თუმცა ხასიათი დიდად არ შესცვლია.

ფილიპინეებმა უშველეს

ეპიგრამა კოლაუ ნადირაძემ, ერთი შეხედვით, ალოგიკური სახელით გადანათლა – „ფუნაგორია“. რა ნახა საერთო პოეტმა სატირულ ლექსსა და ფუნის მაგორებელ ხოჭოს შორის, გადაჭრით ვერაფერს მოგახსენებთ... ალბათ ის, რომ ეპიგრამა ადამიანურ ნაკლს ისევე ასორსალებს, როგორც ფუნას – ფუნაგორია. ასეა თუ ისე, ნათლობა იღბლიანი აღმოჩნდა – ლადო ასათიანისა და მისი პოეტური საძმოს მცდელობით „ფუნაგორია“ რუსთველისეულ „სალაღობო ლექსად“ დამკვიდრდა ჩვენში.

ჩინებულ ფუნაგორიებს წერს რუსლან მიქაბერიძე, ცნობილი მსახიობი; აი, ამის ნიმუშიც:

ერთხელ მედეა ჩახავა მისი ასაკისათვის არსაფერის როლზე დაამტკიცეს. დაიწყო რეპეტიციები. რეჟისორს არაფერი გამოსდის, მაგრამ მედეა ჩახავას, დიდ მსახიობს, ვინ რას შეჰკადრებს! იქნებ რაიმე გვისაშველოსო და სპექტაკლში რეჟისორი თემურ ჩხეიძე შეუშვეს, მედეა ჩახავას ვაჟი. მან პირველივე რეპეტიციაზე როლიდან მოხსნა დედამისი და მარინე ჯანაშიათი ჩაანაცვლა.

რუსლანმაც ეგრევე აჯახა:

ჯანაშიასთან მედიკო,
ცხადია, ჩანდა მომსხვილო...
რა პრინციპული ყოფილხარ,
როლიდან დედამოხსნილო!

ფუნაგორიის ჟანრში ცნობილ პოეტებსაც უცდიათ კალამი:

ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულია... უკმაყოფილო ხალხი დრტვინავს, აპროტესტებს, აქციებს აწყობს; პრესაც გადაჭრელდა ხელისუფლების ლანძღვა-გინებით.

პასუხად მთავრობა პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების უდიერად მოხსენიებისათვის უზარმაზარ ფულად ჯარიმას აწესებს.

იმხანად ფილიპინების პრეზიდენტად ქალბატონი აკინო გახლდათ.

და ირაკლი აბაშიძემაც გამოსავალს უმალ მიაგნო:

მე იმის ფული ვინ მომცა,
პრეზიდენტს ცოლი ვაგინო...
ფილიპინებში გოვუშობ:
შენს ქმარს გავკარი, აკინო!

თამაზ კვაჭანტირაძე

მელოდეება ალუბლის ხე

ზურმუხტისფერი მდელო,
თეთრი გვირილებით,
თუთარჩელა ღამე,
ვერცხლისფერი ფრთებით.
ეფერება მინდვრებს
მტრისგან დანათოვარს,
შესციცინებს იებს,
მზის სხივების მთხოვარს.
მელოდება ალუბლის ხე,
მე რომ დავრგე ბაღში,
აფხაზეთო, დაგიბრუნებ,
ჩაგიხუტებ გულში.
ცის ვარსკვლავებს ქარგავს
ოცნებები ჩემი,
სოხუმო, მენტრება
სიყვარული შენი –
ზურმუხტისფერი მდელო,
თეთრი გვირილებით,
თუთარჩელა ღამე,
ვერცხლისფერი ფრთებით.

ლექსის ჩივილი

არაფრით არ დაიჯერებ,
ლექსი ლარი არა ვღირვარ?!
თეატრიდან დათხოვილი,
უთეთროდ სახლში ვზივარ.
არაფერი აღარა მაქვს,
თეთრები დაგვითვალო?!
არც რვეული, არც კალამი,
სალამი შემოგითვალო.
შინაპატიმრობა მისჯილს,
ერთ ლუკმას ვინ მაღირსებსო?
მიშას წერილები ვწერე,
სასაცილოდ აიგდესო.
საჩივარს ვინ წაიკითხავს,
უთვალავი რამ არისო,
ედუარდისგან დევნილები,
თოვს, თოვს, თოვლს ბარდნისო.
ჩემს გულში კი მართლა თოვდა,
იმდენი წყენა მახსოვდა,
აფხაზეთი და მშიერი
შვილების ცრემლი მათოვდა.

თეთრი გვირილები გემშვიდოობებიან

ამინდი დამწუხრდა, ქარია, თოვს.
მოიღრუბლა ზეცა, სევდას ქსოვს.
ღიმილი გაქრა, შორიდან თრთის,
სანთელი დნება, ნათელი კრთის.
ძირს ნიჩბები და მხუთავი გაზი!
სიხარული მწუხარედ იქცა, ტირის
ვაზი,
განწირული შვილების, უიღბლო ბედის,
სისხლი რომ იღვრება, ცრემლებია
დედის.
თეთრი გვირილები გემშვიდობებიან,
სიო აკვნებს ეფერება ნაზად და ნელა,
9 აპრილს გმირებო! მოკრძალებით
თავს გვიხრიან ყვავილები – ია და
ენძელა.

ფიროსმანს

მზის თეთრი სხივის ფერები გახლავს
და თუთარჩელას იდუმალება,
დიახ, შენშია ღვთაებრივი ფერები
და კიდევ ბევრი რამ იმალება,
ქვეყნად ვერავის ვერ შევადარებ
ამოუცნობი მნათი ფერებით,
++თვითონ მინახავს, შენზე მსმენია,
რომ სულს ხატავდი შენ მოფერებით.
რა არის იგი, რასაც ვერ ვხედავთ,
ასე უმანკო, ნაზი, პატარა,
სულია შენი მატარებელი,
მთელს დედამიწას შემოგატარა,
ლამაზი შენი შემოქმედება,
მნათი ფერებით სიცოცხლით სავსე
და თუ რამ სითბო გულს მოგკლებია,
დღეს ცისარტყელა ფერებით ავსებს.
მზის თეთრი სხივის ფერებით გახლავს
და თუთარჩელას იდუმალება.

ღიმილი წამართვეს (1992 წ)

ჩემი სიცოცხლე ყვავილების სითბოს
ითხოვს –
სიყვარულის ღვთაებრივ ძალას.
ოცნების ვარდს ნუ გამიხმობთ –
გზას ვადგავარ ტაძრისკენ სავალს.
ქვეყნად მე ბევრი წამება მერგო,
მზე მეფერება, მეყო ტკივილი.
სული მაღლდება ოცნებით ცამდე
ბოროტებასთან ბრძოლით დაღლილი.
მზის სხივებზე სიცილი გაქრა –
სევდა ახელს თვალებს უსაზღვრო.
გულში ყველაზე დიდი ჭრილობა
დამრჩა –
ღიმილი წამართვეს ნაზი და უმანკო.

ლია გაგუჩია

ენა ქართული



ქართული ენა, ქართული რწმენა, ქართული სული,
მრავალი ტანჯვით ნაწამები, ჩვენად მოსული,
უძლიერესი, უწმინდესი, როგორც ტაძარი,
ზოგჯერ უსიტყვოდ ნაამბობი, არვის სადარი.
პირველი სიტყვა, წარმოთქმული ჩვილი ბავშვისა,
ქართული ენა – სიძლიერე ცეცხლის ალისა,
ქართული ენა – სიმდიდრეა საგანძურისა
არ იკარგება საქმე ქმნილი წინაპარისა.
ქართული ენა რაკრაკია ნაკადულისა,
ქართული სული – მარგალიტი სამკაულისა,
სული უკვდავი შეუბღალავ წმინდა სჯულისა,
რწმენა და სასო, ენა დიდი სიყვარულისა.

ქრისტინა ღვინაშვილი

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:
ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ძვირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს "ასავალ დასავალის სტამბაში"
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39
ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ წივწივაძე

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

E-mail: litsaqartvelo@yahoo.com
ტელ.: 293 69 77

გამოდის პარასკევობით